# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 27 თებერვალი 2001 №33 (1306) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



გელა კეთილაძის ფოტო

ზაზა ჯანაშია: მეც აქ ვარ

# ყველანი აქ ვართ, ყველა ითამაშებს

## გერმანიაში ქართველებს უთვალთვალებენ

დღეს, შუაევროპული დროით შვიდის ნახევარზე, საქართველოს ნაკრები კიოლნის „მიუნგერსდორფერშტადიონზე" რუმინეთის ნაკრების მასპინძლობამდე ბოლო ამხანაგურ მატჩს დაიწყებს ბუნდესლიგის „კიოლნის" წინააღმდეგ.

ჩვენი ეროვნული გუნდი, რომლის შემადგენლობაშიც 18 ფეხბურთელია, გერმანიაში გუშინ დილით შეიკრიბა და სასტუმრო „დორინტიში" დაბინავდა. საღამოს კი ნაკრებმა „მიუნგერსდორფერშტადიონზე" საათნახევარი ივარჯიშა.

მწვრთნელების — რევაზ ძოძუაშვილისა და დავით ყიფიანის განკარგულებაში ეს ფეხბურთელები არიან:

*მეკარეები: დავით გვარამაძე, ირაკლი ზოიძე.*

*მცველები: ლევან სილაგაძე, რევაზ ქემოკლიძე, ვალერი აბრამიძე, სევასტი თოდუა, ზურაბ ხიზანიშვილი.*

*ნახევარმცველები: ლევან კობიაშვილი, ლევან ცქიტიშვილი, მალხაზ ასათიანი, გიორგი ნემსაძე, ალექსანდრე რეხვიაშვილი, თემურ ქეცბაია, რატი ალექსიძე.*

*თავდამსხმელები: არჩილ არველაძე, შოთა არველაძე, მიხეილ აშვეთია, ზაზა ჯანაშია.*

რევაზ ძოძუაშვილის თქმით, რომელსაც გუშინ კიოლნში დავუკავშირდით, დღეს ნაკრებში გამოძახებული ყველა ფეხბურთელი ითამაშებს და თავის გამოჩენის საშუალება მიეცემათ. მწვრთნელებს თურმე განსაკუთრებით ჩელსელი რატი ალექსიძისა და მოსკოვის „ლოკომოტივის" ჭირვეული ფორვარდის ზაზა ჯანაშიას მზადყოფნა აინტერესებთ.

იხილეთ მეორე გვერდი



გელა კეთილაძის ფოტო

რატი ალექსიძე ისევ ნაკრებშია

# სანამ ჩაავგდებ, ამოიღე ევროკენჭისყრა სტამბოლში

*გუშინ სტამბოლში ევროპის საკალათბურთო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის კენჭისყრა მოეწყო. ეს შეჯიბრება 31 აგვისტოდან 9 სექტემბრამდე გაიმართება თურქეთში: ჯგუფური ეტაპი ანკარასა და ანთალიაში, მეოთხედფინალიდან მოყოლებული — სტამბოლში. კენჭისყრამ ევროპის თექვსმეტი ნაკრები ასე გაანაწილა:*

**A ჯგუფი.** ანკარა

საფრანგეთი
ლიტვა
ისრაელი
უკრაინა

**B ჯგუფი.** ანკარა

ესპანეთი
თურქეთი
სლოვენია
ლატვია

**C ჯგუფი.** ანთალია

იუგოსლავია
გერმანია
ხორვატია
ესტონეთი

**D ჯგუფი.** ანთალია

იტალია
რუსეთი
საბერძნეთი
ბოსნია




REUTERS სტამბოლიდან

ევროპის საკალათბურთო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მონაწილე გუნდთა წარმომადგენლები კენჭისყრის შემდეგ



ალექსანდრე რეხვიაშვილს (მარჯვნივ) კიოლნში იტალიელები დააკვირდებიან

# ძველი ტრილოგია

## კალაძეს არც კოჭი გაუტყდა და არც [illegible]

**„მილანის"** ქართველი მცველი კახა კალაძე დაშავდა და რამდენ ხანს მოუწევს უქმად ყოფნა, ექიმებმა დღეს უნდა თქვან.

კვირას, „იუვენტუსი" — „მილანის" მატჩში, კახა კალაძეს მწვრთნელისგან მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის, ზინედინ ზიდანის პერსონალური მეურვეობა ჰქონდა დავალებული და სანამ ფეხზე იდგა, საქმესაც ჩინებულად გაართვა თავი. მატჩის დამთავრებამდე 21 წუთით ადრე კი, ზიდანთან მორიგი ორთაბრძოლისას, კალაძეს ძველმა ტრავმამ შეახსენა თავი, ჩვენებური შესაცვლელი შეიქნა, ზიდანმაც გაილაღა და გოლი გაიტანა.



კალაძე, ზიდანი, კოჭი...

— ხვალ კახას რენტგენს გადაუღებენ და ამის შემდეგ გვეცოდინება, რამდენად სერიოზულია მისი ტრავმა, რამდენ მატჩს გამოტოვებს. მას ადრე მარჯვენა კოჭი გაებზარა და რამდენიმე კვირა ფეხი თაბაშირში ჰქონდა — გვითხრა „მილანის" ქართველმა სელექციონერმა რევაზ ჭოხონელიძემ გუშინ, როცა მილანში შევეხმიანეთ — კახა „იუვენტუსთან" მატჩის დროსაც იმ კოჭმა შეაწუხა. როგორც თქვა, ფეხი საშინლად ეტკინა. ჯერჯერობით მხოლოდ ის ვიცით ზუსტად, რომ კალაძეს კოჭი გატეხილი არა აქვს. დანარჩენი, უკვე გითხარით, ხვალ გვეცოდინება. მისი „იუვენტუსთან" თამაშით კი ყველა ძალიან კმაყოფილი დარჩა. მან ზიდანს გასაქანი არ მისცა და მწვრთნელის დავალებაც უშეცდომოდ შეასრულა. ერთი-ორჯერ ზიდანი გვარიანადაც ანერვიულდა და მან კახას პროვოკაციაზე წამოგებაც სცადა, აქაოდა, ახალგაზრდაა და იქნებ ნერვები ვერ მოთოკოსო. კალაძე კი მშვიდად აკეთებდა თავის საქმეს. მატჩის წინ ალბერტო ძაკერონიმ ამის თაობაზე კახას საკმაო ხანს ელაპარაკა, ზიდანისგან ყველაფერია მოსალოდნელი და არ აჰყვეო.

**ქობა ინასარიძე**

# გერმანიაში ქართველებს უთვალთვალებენ

დასაწყისი პირველ გვერდზე

— საჭირო თამაშია. რუმინელების დასახვედრად „კიოლნთან" გაჯიბრება უდავოდ წაგვადგება. ჩვენი სახვალიო მეტოქე საკმაოდ ძლიერია. მასპინძლებმა რაც უნდა ძალა დაზოგონ, ისინი მაინც ბუნდესლიგაში თამაშობენ, გერმანელები არიან და მათი ხასიათისა, ალბათ, ყველას მოეხსენება. რა თქმა უნდა, ჯობდა, მეტოქედ რომელიმე ქვეყნის ნაკრები გვყოლოდა, მაგრამ ხელწამოსაკრავი არც „კიოლნია". ხვალ სტადიონზე ალბათ რამდენიმე კლუბის წარმომადგენელი იქნება და ჩვენს ფეხბურთელებს დააკვირდება. ვიცი, რომ ამ მატჩს იტალიის „ბოლონიას" ერთ-ერთი მწვრთნელი დაესწრება, გეცოდინებათ, ეს გუნდი რეხვიაშვილით არის დაინტერესებული. ნაკრებში ქუთაისის „ტორპედოს" რვა ფეხბურთელის გამოძახება კი, ვფიქრობ, გასაკვირი არ უნდა იყოს. საამატჩოდ ყველა ლეგიონერი ვერ გამოვიძახეთ და მათ ნაცვლად ტორპედოელები მოვიწვიეთ. გამოვცდით, ეგებ სამომავლოდ გამოგვადგნენ — გვითხრა რევაზ ძოძუაშვილმა.

კიოლნელი არჩილ არველაძე მხოლოდ საქართველოს ნაკრების მაისურას მოირგებს. არადა, მოსალოდნელი იყო, რომ არჩილი ერთ ტაიმს თავისი გუნდის შემადგენლობაში ითამაშებდა, მეორეს — ნაკრებში. სხვათა შორის, არჩილს ორიოდ დღის წინ ქალიშვილი შეეძინა და შაბათს „ბაიერნის" წინაალმდეგაც ამიტომ არ უთამაშია. ის მიუნხენში გუნდთან ერთად კი გაემგზავრა, მაგრამ შემდეგ ეს ამბავი ახარეს და კიოლნში დაბრუნდა.

**ქობა ინასარიძე**



არჩილ არველაძე

# გახოკიძე ალაპარაკდა და ათამაშდა

**კარგა ხანია,** ჰოლანდიის პსვ-ის ქართველ ნახევარმცველ გოგა გახოკიძეს ძირითად გუნდში არ უთამაშია და მწვრთნელ ერიკ გერეტს აქამდე სათადარიგოებში ჰყავდა გამწესებული. იმასაც ამბობდნენ, რომ ჩვენებური პსვ-ს მალე დატოვებდა და კარიერას სხვა გუნდში გააგრძელებდა, მაგრამ ბოლო დროს საქმე სხვაგვარად, გოგასთვის სასიკეთოდ წავიდა და გუშინწინ, ჰოლანდიის ჩემპიონატის მორიგ ტურში ითამაშა კიდეც. პსვ კონკურენტ „ფეიენოორდს" სტუმრობდა და მნიშვნელოვანი სამი ქულაც მიითვალა. გოგა გახოკიძე კი გერეტსმა დიდი ხნის შემდეგ მატჩის მიწურულს რამდენიმე წუთით ათამაშა.

— კმაყოფილი და გახარებული ვარ. როგორც იქნა, მწვრთნელი მენდო და მათამაშა. ვფიქრობ, ურიგო შთაბეჭდილება არ დამიტოვებია. ეს გერეტსმაც აღნიშნა ერთ-ერთი ჰოლანდიური არხისთვის მიცემულ ინტერვიუში. ბევრი რამ თქვა მან ჩემზე და მეც ნასიამოვნები ვარ — გვითხრა გოგა გახოკიძემ, როცა ეინდჰოვენში შევეხმიანეთ — რა ვიცი, მგონი, მწვრთნელი დავარწმუნე ჩემს შესაძლებლობებში და იმედია მომავალ მატჩებშიც მათამაშებს.

**— აქამდე რას გერჩოდა გერეტსი?**



გოგა გახოკიძე

— ენის პრობლემა მქონდა და მწვრთნელს ეს არ მოსწონდა. ხუთი დღის წინ კი მწვრთნელი და გუნდის პრეზიდენტი შემხვდნენ, ვიფიქრე, ახალი კლუბი გამომიძებნეს და გამიშვებენ-მეთქი. სულ სხვა თემაზე მელაპარაკნენ, ბოლოს კი გერეტსმა მითხრა, დროა, გათამაშოო. აქამდე 18 კაცს, რომლებიც ჩემპიონატის მატჩებისთვის ემზადებოდნენ, გერეტსი ახლოსაც არ მაკარებდა, ახლა კი ასეთ პრინციპულ შეხვედრაში მათამაშა. ვფიქრობ, ჩემსკენ შემობრუნდა.

**— ენა ისწავლე?**

— ჰო, ცოტ-ცოტა. ინგლისურად ავლაპარაკდი, კლუბმა მასწავლებელი დამიქირავა და მეც ნელ-ნელა ვსწავლობ. საფეხბურთო ტერმინები უკვე კარგად მესმის.

**— შენს გაყიდვაზე აღარ ლაპარაკობენ?**

— არა, ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის ამის თაობაზე არავის არაფერი უთქვამს.

**— კვირას ითამაშე და შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ მომავალში ხშირად გიხილავთ პსვ-ს ძირითადში?**

— ვერ გეტყვით, ალბათ, ასე იქნება. უკვე ვგრძნობ, რომ მწვრთნელი პატივისცემით მეპყრობა. გერეტსმა შანსი მომცა და ამას გამოვიყენებ.

**— გერეტსს პირადად შენთვის არაერი უთქვამს?**

— მატჩის შემდეგ მითხრა, კმაყოფილი დავრჩიო, გამამხნევა და დამაიმედა, მომავალშიც გათამაშებო. ის კი სიტყვის კაცია, არა მგონია, მომატყუოს.

**ქობა ინასარიძე**

# იტალიაში ვარჯიშის საქმეა

საქართველოს ნაკრებისა და რიგის „სკონტოს" ნახევარმცველი ზურაბ მენთეშაშვილი ამჟამად იტალიაშია, სერია B-ს „სალერნიტანასთან" ერთად ვარჯიშობს და სამ-ოთხ დღეში უკანვე, რიგაში დაბრუნდება.

— მართალია, მენთეშაშვილი „სალერნიტანაშია" და რამდენიმე დღეა, ამ კლუბში ვარჯიშობს, მაგრამ არ იფიქროთ, რომ იტალიაში დარჩება. გამორიცხულია, მან კარიერა იქ გააგრძელოს, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით ამისი პერსპექტივა არ არის. უბრალოდ, იგი იტალიაში ვარჯიშობს — გვითხრა „სკონტოს" მენეჯერმა მიხეილ ძოძუაშვილმა.

ზურა მენთეშაშვილი, შეგახსენებთ, „სალერნიტანაში" ადრეც ვარჯიშობდა, თუმც ისევ „სკონტოში" დაბრუნდა. ასე იქნება ამჯერადაც. ამბობენ, „სკონტო" და „სალერნიტანა" დამეგობრებული კლუბები არიან და მენთეშაშვილთან ერთად იტალიაში ერთი-ორი ლატვიელი ფეხბურთელიც არისო.

**ქობა ინასარიძე**



ზურაბ მენთეშაშვილი

## ჩვენი მეტოქე

2002 FIFA WORLD CUP KOREA JAPAN

### კვიპროსის ოთხთა ტურნირი

**უკრაინა 0:1დ.დ. (0:0) რუმინეთი**

0:1 ჩობოტარიუ (99)

რუმინეთი (ძირითადი შემადგენლობა): პრუნია; ჩობოტარიუ, რადოი, პროდანი; დუმიტრუ, ტამეში, ჯოანე, სოაცე; მარა, მოლდოვანი, მ. ნიკულაე

მწვრთნელი: ლადისლაუ ბოლონი

1 000 მაყურებელი

**კვიპროსი 1:2 ლიტვა**

1:0 იასემაკისი (29), 1:1 დანილევიჩიუსი (83), 1:2 პოშკუსი (87)

1 000 მაყურებელი

**ხვალ**

მატჩი მესამე ადგილისთვის

**უკრაინა — კვიპროსი**

ფინალი

**რუმინეთი — ლიტვა**

### იტალია

სერია B

XXIV ტური

**სალერნიტანა 0:1 ჯენოა**

### გერმანია

მეორე ბუნდესლიგა

XXIII ტური

**ჰანოვერი 1:1 ოსნაბრუკი**

# ბევრი უფროსი რა საჭიროა?!

დაურეგისტრირებელი შეხვდება საგაზაფხულო ეტაპს თბილისის „დინამო“. თუმც საქმე მაინც წინ მიდის — გუშინ ყველა საჭირო საბუთი შეგროვდა და სასამართლოს გადაეცა. გაცხადდა, რომ კლუბის დამფუძნებელი მხოლოდ სპორტსაზოგადოება — დინამო“ იქნება. ბოლო მომენტში უარყოფილ იქნა „დინამოს“ სამეთვალყურეო საბჭოს შექმნის იდეა. „რაც უფრო ნაკლები უფროსები ეყოლება გუნდს, მით უკეთესია — გვითხრა სპორტსაზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნიკა ივანიშვილმა და დაამატა ხუთშაბათისთვის ყველაფერი მოესწრება და „დინამოს“ თავისი ანგარიში ექნება ბანკში“.

ხუთშაბათამდე კი „დინამოს“ მეტად რთული მატჩი ელის სტუმრად ფოთის „კოლხეთთან“. რეგისტრასიის გაუვლელობის გამო, რა თქმა უნდა, გუნდის ახალი მთავარი მწვრთნელის დანიშვნა ვერ მოხერხდა „დინამოს“ კვლავაც რევაზ არველაძე კლუბის ფაქტობრივი და ჯერჯერობით ოფიციალურად დაუმტკიცებელი პრეზიდენტი წვრთნის და ზღვისპირელებთან შეხვედრაშიც ის დამოძღვრავს დინამოელებს.

ათგზის ჩემპიონთა რიგებში „კოლხეთის“ წინააღმდეგ ვერ ითამაშებს ორი ტრავმირებული ფეხბურთელი — ვახტანგ იაგორაშვილი და კოკა მიკუჩაძე აგრეთვე არჩილ სახვაძე რომელიც სამი გაფრთხილების გამო დისკვალიფიცირებულია.

აი, ამგვარად არის „დინამოს“ საქმე. საშემოდგომო ეტაპის შემდეგ წამყვანი მოთამაშეებისგან შეთხელებული, კვლავაც არარეგისტრირებული, დისკვალიფიცირებულ-ტრავმიანებით იწყებს საგაზაფხულო ეტაპს ქვეყნის ათგზის ჩემპიონი. „რაც არის, ეგ არის, ჩვენ ჩვენსას ვეცდებით“ — მოკლედ მოგვიჭრა რევაზ არველაძემ.

**დავით თავართქილაძე**

# ტორპედო კიოლნში, ტორპედო ქუთაისში



ვახტანგ ხვადაგიანი (№24) ბუქარესტიდან ქუთაისს დაუბრუნდა

**ქუთაისის** „ტორპედო“ განახლებული ეროვნული ჩემპიონატის მეთვრამეტე ხვალინდელი ტურის მატჩს გამოტოვებს და „მერანს“ თბილისში მოგვიანებით (7 ან 14 მარტს) ესტუმრება სათამაშოდ, ალბათ, ამის მიზეზიც მოგეხსენებათ. ქვეყნის ჩემპიონს რვა მოთამაშე (ზოიძე, გვარამაძე, თოდუა, ქმოკლიძე, აბრამიძე, სილაგაძე, ასათიანი, აშვეთია) ეროვნულ ნაკრებში არიან მიწვეული და მათ გერმანულ „კიოლნთან“ ლევანდელი ამხანაგური მატჩისთვის ამზადებენ ნაკრებისა და „ტორპედოს“ თავკაცები რევაზ ძოძუაშვილი და დავით ყიფიანი. ნაკრებსვე ახლიან კიოლნში ქუთაისური გუნდის ექიმი დავით მურღულია და მასაჟისტი ავთანდილ მიქაბერიძე.

დანარჩენი ტორპედოელები დღესდღეობით ქუთაისში არიან. შემადგენლობა შეთხელებული გუნდი 23 თებერვალს დაბრუნდა ბელგიიდან, სადაც თითქმის ერთთვიან შეკრებაზე იმყოფებოდა. სამწუხაროდ, ისე მოხდა, რომ ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, „ტორპედოს“ ბელგიურ ვოიაჟთან დაკავშირებით მკითხველს მწირ ინფორმაციას ვაწვდიდით. ამ ნაკლს ახლაც კი ნაწილობრივ თუ გამოვასწორებთ. რა გაეწყობა... ქუთაისში ჩამოსულმა „ტორპედოს“ მთავარ მწვრთნელთა თანაშემწეებმა უცხოური შეკრების ავ-კარგის ანალიზისგან თავი შეიკავეს, გვირჩიეს ძოძუაშვილ-ყიფიანს დაველოდებოდით და სრულყოფილი ინფორმაციაც მათგან მიგვეღო. ასე რომ, რაც შევიტყვეთ, იმაზე გეტყვით.

„ტორპედომ“ უცხოური შეკრებისას ხუთი ამხანაგური საკონტროლო მატჩი გამართა. პირველი 8 თებერვალს ლიეჟში, ბელგიის ულოთხედივიზიონელ „მონტენიესთან“. ჩვენებურებმა დამაჯერებლად სძლიეს მეტოქეს — 3:0. ორჯერ მიხეილ აშვეთიამ და ერთხელაც დავით ჯანაშიამ გამოიჩინეს თავი. 13 თებერვალს ქუთაისელები ბელგიის მეორედივიზიონელ „მოლენბეკს“ გაეჯიბრნენ, თანაც ჩვენი ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრები გუნდების წევრთა გარეშე იცით, ესენი უკრაინასთან სათამაშოდ იყვნენ მივლინებულნი თბილისში. „ტორპედომ“ 2:0 იმარჯვა. ბურთები დავით ჯანაშიამ და პაატა ჯინჭარაძემ გაიტანეს. მეორე დღესაც თავის შეკრების ადგილას, ქალაქ სპაში „ტორპედო“ შესუსტებული შემადგენლობით დაუპირისპირდა ადგილობრივ, ფაქტობრივად, სამოყვარულო (მეხუთე დივიზიონი) გუნდს და 3:4 დამარცხდა. მეტოქეს ირაკლი ვაშაკიძემ, გივი დიდავამ და დავით ჯანაშიამ გაუტანეს.

19 თებერვალს „ტორპედომ“ ჰოლანდიაში, ქალაქ ენსხედეში გადაინაცვლა და იქ შეკრებაზე მყოფ რუსეთის უმაღლესლიგელ „როსტსელმაშს“ ეთამაშა. თავიდან დაწინაურებულ რუსებს აშვეთიამ გაუქვითა — 1:1 ასეთივე ანგარიში დაფიქსირდა ორი დღის შემდეგ „ტორპედოსა“ და ბელგიის პირველდივიზიონელ „შარლერუას“ შეხვედრაში, რომელიც სპაში ჩატარდა. აქაც მეტოქემ გახსნა ანგარიში, საპასუხო კი მიხეილ ბობოხიძემ მიითვალა.

ზემოთ ვთქვით, „ტორპედო“ 23 თებერვალს, ეროვნული ნაკრების წევრთა გარეშე დაბრუნდა ბელგიიდან და ახლა ქუთაისში განაგრძობს ეროვნული ჩემპიონატისათვის მზადებას. მოვარჯიშეთა შორის ვახტანგ ხვადაგიანის შევნიშნეთ. როგორც ჩანს, მისი ტრანსფერი რუმინულ „დინამოში“ არ შედგა. აქვეა „ტორპედოს“ კაპიტანი კახა კვეტენაძე ეტყობა, ისიც ქუთაისში და არა ფოთში გააგრძელებს თამაშს. ტორპედოელებთან ერთად „ლოკომოტივიდან“ წამოსული ბორის გონჩაროვიც ვარჯიშობს.

**იუზა ძაძიტაძე**
*ქუთაისიდან*

# ოსური გვირილა
## „ალანიამ“ რუხაძე დაიტოვა და სამ ქართველს შეელია





შეგულებულ მამუკა წერეთელს „ალანიამ“ თორნიკე რუხაძე ამჯობინა

**„სხვადასხვა** მიზეზის გამო ექვს ფეხბურთელზე უარი ვთქვით. შელია, წერეთელი, ქარდავა, კოზმა, მარკუსი და სტანკოვიჩი გუნდიდან წავიდნენ“ — აი, ეს თქვა კვირას ვლადიკავკაზის „ალანიას“ მთავარმა მწვრთნელმა ალექსანდრ ავერიანოვმა.

მეტად უცნაურია ავერიანოვის სიტყვები. შელიასა და ქარდავაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, მოულოდნელია „ალანიადან“ მამუკა წერეთლის წამოსვლა. როგორც ცნობილია, სამიოდე კვირის წინ ქართველ მცველს თავად ბათრაზ ბითაროვი დაუკავშირდა. წერეთელმა და ბითაროვმა გუდაურში, სასტუმრო „მარკო პოლოში“ მოილაპარაკეს, შეთანხმდნენ და მამუკაც გახარებული შეუერთდა მოსკოვში კვიპროსული შეკრებისთვის გამზადებულ გუნდს.

„ალანია“ შაბათს დაბრუნდა კვიპროსიდან, ქართველებიც იქ გადიოდნენ წვრთნას სხვებთან ერთად და საკონტროლო მატჩებსაც სისტემატურად თამაშობდნენ. ამ სამეულის გარდა, ვლადიკავკაზურ გუნდში კიდევ ერთი ჩვენებური, უკვე ექსდინამოელი თორნიკე რუხაძე ისინჯებოდა. ქართველთაგან სწორედ იგი შემორჩა ავერიანოვის გუნდს. ოსებმა რუხაძეს კონტრაქტი გაუფორმეს და დღეს კვიპროსულ შეკრებაზეც წაიყვანეს. „ალანია“ ლარნაკაში 8 მარტამდე დარჩება და შეკრებიდანვე გაემგზავრება რამენსკოეში რუსეთის ჩემპიონატის პირველი ტურის მატჩში „სატურნთან“ სათამაშოდ.

„ალანიადან“ წამოსულ ქართველებზე კი ჯერჯერობთ ბევრს ვერაფერს გეტყვით. ოსურ კლუბთან გაყრის კონკრეტული მიზეზები მათი თბილისში დაბრუნების შემდეგ გაირკვევა.

**ბაატა ძმანტალიანი**

# ფოლადზე ნაწრთობმა ფინეთი არჩია

**საქმეს** ისეთი პირი უჩანს, ქართველ ლეგიონერთა სია ჩრდილოეთით გაფართოვდება — რუსთავის „გორდას“ 22 წლის მეკარე კლუბის ხელმძღვანელობას ეახლა და განუცხადა, მირჩევნია, კარიერა ფინეთის რომელიმე გუნდში გავაგრძელოო. ერთი სიტყვით, გიორგი ნიკურაძე, რომელიც მეთორმეტე ეროვნულისთვის „გორდაში“ „ლოკომოტივიდან“ გადავიდა, არც რუსთავის „ფოლადზე“ და არც სხვა ქართულ სარბიელზე აღარ ითამაშებს.

ნიკურაძე „გორდას“ ძირითადი მეკარე გახლდათ, თუმც რუსთაველებმა გუნდიდან მის წასვლამდე დაიჭირეს თადარიგი — საშემოდგომო ეტაპის დასრულების შემდეგ „ბათუმიდან“ 21 წლის გრიგოლ ბედიაშვილი დაიბრუნეს. ამ დღეებში კი გია გეგუჩაძის გუნდს კიდევ ერთი გოლკიპერი შეემატა — თსუ-დან წამოსული 27 წლის კოტე გუგუნავა. ვინ იქნება პირველი მეკარე „გორდაში“? ჩემპიონატი ხვალ განახლდება, მაგრამ გია გეგუჩაძემ „სარბიელის“ ამ შეკითხვას ასე უპასუხა: „ის, ვინც უკეთესად იქნება მზად“.

**დავით თავართქილაძე**



კონსტანტინე გუგუნავა


# ჰერბალ-ვი ვიაგრას მცენარეული ალტერნატივა



სექსუალური აქტივობის გაუმჯობესების აბსოლუტურად უსაფრთხო, მაღალეფექტური მცენარეული საშუალება

HERBAL VY — მამაკაცებისთვის — აბსოლუტურად უსაფრთხო მათთვისაც კი, ვინც დაავადებულია მაღალი წნევით, გულის დაავადებით ან სხვა დაავადებებით, — აუმჯობესებს ლიბიდოს, ასტიმულირებს ნევრო-სექსუალურ ფუნქციას, როგორც ფიზიკურ, ასევე ფსიქოლოგიურ ასპექტში; — ნარმატებით ხსნის სექსუალური დარღვევებით გამოწვეულ ტკივილებს წელისა და მუცლის არეში, მატებს ენერგიას და სიცოცხლის ხალისს; — რთული, ორგანული მიზეზებით განვითარებული იმპოტენციის დროს, აუცილებელი სერიოზული მედიკამენტოზური სამკურნალო კურსის განსაზღვრულ ეტაპზე „ჰერბალ ვი“ ქმნის შესანიშნავ ფონს და ახანგრძლივებს მათ ეფექტს;

*„ჰერბალ ვი“-ს უკომპლექსოდ იყენებენ აბსოლუტურად ჯანმრთელი მამაკაცებიც, რომლებსაც ნერვული დაძაბულობისა და გადაღლილობის გამო დროდადრო დაქვეითებული აქვთ სექსუალური აქტიურობა, აგრეთვე სპორტსმენები, საუკეთესო სპორტული შედეგების მისაღწევად!*

HERBAL VY — „ვიაგრა“ — უაღრესად პოპულარული, უსაფრთხო მცენარეული ალტერნატივა მსოფლიოს ელიტარულ საზოგადოებაში!

*ინგლისურ-შვეიცარიული კომპანია „სვისჰელსის“ ნაწარმი.*

აიღეთ ცხოვრებისგან საუკეთესო!

მოიკითხეთ სააფთიაქო ბაზებსა და აფთიაქებში

„სვისჰელსის“ ექსკლუზიური დისტრიბუტორი კომპანია „ფლორენი“ ტ. 99-87-37



# იყიდება

ბინა ინდივიდუალური პროექტით აშენებული რვაბინიანი სახლის მესამე სართულზე. საცხოვრებელი ფართი 250 მ². დამხმარე ფართი 80 მ² პირველ სართულზე.

☎ (231) 7 17 58



ქუთაისში

ირაკლი აბაშიძის გამზირი, 18. კინოთეატრ "სულიკოსთან"

## ინგლისი

### XXVIII ტური

**დერბი ქაუნთი 1:0 ასტონ ვილა**

1:0 ბარტონი (42პ)

დერბი ქაუნთი: ე. ოუქსი, ჰიგინბოთემი, ვესტი, რიგოტი, ს. ჯონსონი, დელაპი, ბარლი, დ. პაუელი, ლ. მორისი (მიურეი 89), შტრუპარი (ბოერტენი 70), დ. ბარტონი

მწვრთნელი: ჯიმ სმიტი

ასტონ ვილა: ჯეიმსი, ა. რაიტი (ლ. ჰენდრი 64), ალფაი, სტონტონი, ს. სტოუნი, ბოატენგი, მერსონი, ტეილორი (ჟინოლა 74), ბერი, დაბლინი, პაბლო ანხელი (ჯოუზიმი 46)

მწვრთნელი: ჯონ გრეგორი

გაფრთხილება: ჯონსონი, ბოატენგი

27 289 მაყურებელი

**მანჩესტერ იუნ. 6:1 არსენალი**

1:0 იორკი (3), 1:1 ანრი (16), 2:1, 3:1 იორკი (18, 22), 4:1 კინი (26), 5:1 სოლსკიაერი (38), 6:1 შერინგემი (90)

მანჩესტერ იუნ: ბარტეზი, გ. ნევილი, სილვესტრი, უესლი ბრაუნი, სტამი, როი კინი (ჩედვიკი 75), ბექემი, ბატი, სქოულზი, იორკი (შერინგემი 75), სოლსკიაერი

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

არსენალი: სიმენი, ლუზინი, ეშლი კოული (ლიუნგბერგი 46), გრიმანდი, სტეპანოვსი, პირესი, ვიეირა, პარლოუ (ვივასი 69), სილვინიო, ვილტორდი, ანრი

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

67 535 მაყურებელი

**ბრედფორდი 1:2 ვესტ ჰემი**

0:1 ლამპარდი (18), 1:1 ჯესი (62), 1:2 ლამპარდი (75)

ბრედფორდი: გ. უოლში, მიერსი, ვეზეროლი, ლოურენსი, უორდი, კარბონე, მოლენაარი (ჰოპკინი 64), ობრაიენი, ლოკი (მაკოლი 81), ჯეკობსი (რ. ბლეიქი 81), ჯესი

მწვრთნელი: ჯიმ ჯეფერისი

ვესტ ჰემი: ჰისლოპი, ს. პირსი, შტიმაცი, უინტერბერნი, შემელი (ი. პირსი 83), დეილი, კარიკი, ჯ. კოული, ლამპარდი, დი კანიო, კამარა (ტუკერი 71)

მწვრთნელი: ჰარი რედნაპი

გაფრთხილება: ლოკი, დეილი, დი კანიო

20 469 მაყურებელი

**ქოვენთრი 2:2 ჩარლტონი**

1:0 ბელამი (10), 1:1 რუფუსი (22), 1:2 იოჰანსონი (46), 2:2 ჰართსონი (67)

ქოვენთრი: ჰედმანი, ედვორთი, შოუ, ბრინი, ჰალი, ტომპსონი, კარსლი, ბ. ქუინი, ჩიპო (ალოიზი 59), ჰართსონი, ბელამი

მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი

ჩარლტონი: ილიჩი, რუფუსი, ტოდი, ფიში, კიშიშევი, კ. პაუელი, იენსენი (კონჩესკი 88), კინსელა (ნიუტონი 79), გ. სტიუარტი, იოჰანსონი (ლისბი 90), სვენსონი

მწვრთნელი: ალან კერბიშლი

19 480 მაყურებელი

**იფსვიჩი 2:0 ევერტონი**

1:0 ჰოლანდი (82), 2:0 არმსტრონგი (84)

იფსვიჩი: რ. რაიტი, უილნისი (ა. არმსტრონგი 46), კლაპამი, მაკგრილი, ვენუსი (როიზერი 73), ბრემბლი, მეჯილტონი (აბიდალა 81), ჰოლანდი, სკოუკროფტი, ბერჩილი, ჯ. რაიტი

მწვრთნელი: ჯორჯ ბარლი

ევერტონი: ჟერარი, ვეირი, ნიარკო, ს. ჰიუზი, ბოლი, ჯეფერსი (მაკლეოდი 74), ნეისმიტი, გრავესენი, ზავიერი, ტალი (ჯევონსი 74), კ. კემბელი

მწვრთნელი: უოლტერ სმიტი

გაფრთხილება: ბრემბლი, ნიარკო, ზავიერი

გაძევება: ნიარკო (71)

22 220 მაყურებელი

**ლესტერი 2:0 სანდერლენდი**

1:0 სტარიჯი (30), 2:0 აკინბი (65)

ლესტერი: როისი, როუეტი, მ. ელიოტი, ტაგარტი, ფ. სინკლერი, ლუისი, სევიჯი (მ. ჯოუნსი 83), იზეტი, დავიდსონი (გაპი 46), აკინბი (გუნლაუგსონი 88), სტარიჯი

მწვრთნელი: პიტერ ტეილორი

სანდერლენდი: სორენსენი, მაკინი, დ. უილიამსი, ტომე კრადოკი, კილბეინი (დიჩიო 75), მაკკენი, შვარცი, ოსტერი, ნ. ქუინი, არკა (მაკკარტნი 75)

მწვრთნელი: პიტერ რიდი

გაფრთხილება: ოსტერი, კილბეინი, ქუინი, უილიამსი

გაძევება: ოსტერი (65)

21 086 მაყურებელი

**მიდლსბრო 0:1 საუთჰემპტონი**

0:1 დრეიპერი (49)

მიდლსბრო: შვარცერი, ფლემინგი (გორდონი 46), ფესტა, ეჰიოგუ, ვიკერსი (გევინი 46), მასტო, კარამბუ, ინსი, ოკონი, ბოკშიჩი, რიკარდი (მარინელი 69)

მწვრთნელი: ტერი ვენებლზი

საუთჰემპტონი: პ. ჯოუნსი, პეტრესკუ, ბრიჯი, ლუნდეკვამი, რიჩარდსი, მარსდენი, დრეიპერი, ტესემი, ოკლი, ბიტი, კაჩლული (კ. დევისი 79)

მწვრთნელი: გლენ ჰოდლი

გაფრთხილება: ინსი

28 725 მაყურებელი

**ნიუკასლი 0:1 მანჩესტერ სიტი**

0:1 გოტერი (61)

ნიუკასლი: გივენი, გომა, გრიფინი, ა. ჰიუზი, აკუნა (უ. ბარტონი 68), დაიერი, ე. ქუინი, სოლანო, ამეობი (ლუა ლუა 69), შირერი, გალაჰერი (გლასი 69)

მწვრთნელი: ბობი რობსონი

მანჩესტერ სიტი: ვეივერი, ვიკესი, დანი, ჰაუი, ტიატო, გრენვილი, გრანტი, კანჩელსკისი, ჰაალანდი (შარპე 62), ჰაკერბი (უიტლი 77), გოტერი

მწვრთნელი: ჯო როილი

გაფრთხილება: გლასი

51 981 მაყურებელი

**ტოტენჰემი 1:2 ლიდსი**

1:0 ლ. ფერდინანდი (33), 1:1 ჰარტი (45პ), 1:2 ბოიერი (67)

ტოტენჰემი: სალივანი, იანგი, ს. კემბელი, შერვუდი, ს. დევისი (ტილერი 46), კინგი, კლემენსი (ივერსენი 79), ფრიინდი, დოჰერტი, ლ. ფერდინანდი (ქეთერინგტონი 79), რებროვი

მწვრთნელი: ჯორჯ გრემი

ლიდსი: მარტინი, ჰარტი, მილსი, რ. ფერდინანდი, მატეო, ბეტი, ბაკე (კიუელი 46), დაკური, ბოიერი, ვიდუკა, რობი კინი

მწვრთნელი: დევიდ ოლირი

გაფრთხილება: სალივანი, ფრიინდი, კინი

36 070 მაყურებელი

**ლივერპული — ჩელსი**

გადაიდო

# არსენს თოფი დაუქანგდა

შაბათი მშვენიერი საფეხბურთო დღე იყო — ასე ვთქვათ, რთული ტური.

ორთვიანი შესვენების შემდეგ „ნიუკასლის" რიგებში გამოჩნდა ალან შირერი, თუმცა ფანობამ უვარგისი თამაშის გამო სტვენით გაამათრახა საყვარელი გუნდი, რომელმაც სტუმარ „მანჩესტერ სიტისთან" წააგო. „სიტის" 9 დეკემბრის შემდეგ არ მოეგო და ახლა შონ გოტერის გოლით მოიპოვა სამი ქულა. ეს გოლი კი ანდრეი კანჩელსკისის გარღვევას მოჰყვა.

ამასობაში ტერი ვენებლზის ხელში პირველი სალიგო მატჩი წააგო 11 ტურში დაუმარცხებელმა „მიდლსბრომ", შინ — „საუთჰემპტონთან". ბოლო ათ შეხვედრაში დაუმარცხებელმა „ტოტენჰემმა" სეზონის პირველი საშინაო მარცხი იწვნია, თუმცა თავიდან კი უგებდა „ლიდსს". ზედიზედ ხუთჯერ დამარცხებულმა „იფსვიჩმა" მას შემდეგ გატეხა „ევერტონი", როცა ლივერპულელებს ალექს ნიარკო გაუძევეს. „ვესტ ჰემის" ყმაწვილთაგან შემდგარმა ნახევარდაცვამ ბრედფორდის სტადიონზე ლამაზი წარმოდგენა გაათამაშა და იქედან სამი ქულაც წამოიღო.

მაგრამ შაბათის ამბები კვირამ გადაფარა.

ერთი რომ, კარდიფის „მილენიუმზე" ლიგის თასის ფინალი გაიმართა „ლივერპულსა" და „ბირმინგემ სიტის" შორის. მეორეც „ოლდ ტრაფორდზე" „მანჩესტერ იუნაიტედი" „არსენალს" მასპინძლობდა.

ჩემპიონატის ლიდერსა და მის მთავარ მადევარს შორის შეხვედრას რამდენიმე მუხტი ჰქონდა. ამათგან ერთ-ერთი ის იყო, რომ ბოლო წლებში „მანჩესტერს" მეთოფენი შინ არ დაუმარცხებია. ამ უკანასკნელთ რომ გაემარჯვათ, პირველ და მეორე ადგილოსნებს შორის ათი ქულა იქნებოდა სხვაობა. ესეც რომ არ ყოფილიყო, „მანჩესტერი" და არსენალი" მაინც დაჭამდნენ ერთმანეთს.

მაგრამ ჭამა არ გამოვიდა.

ეგებ ეს იმის ბრალი იყო, რომ სტუმრებს არ ჰყავდათ დაცვის ტრიო ადამსი-კიოუნი-დიქსონი და დაცვის ცენტრი იგორს სტეპანოვსსა და ეშლი კოულს უპყრიათ. ეპყრათ სწორი სიტყვა არ არის, რადგან სანამ მოედანზე იყო, მეთოფეთა საჯარიმოში დუიატ იორკი ბატონობდა. ძირითადში მოხვედრილმა იორკმა პირველ ოცდაექვს წუთში ჰეთ თრიქი შეასრულა და როი კინსაც გაატანინა. თამაშის ბედიც ამ პირველ ოცდაექვს წუთში გადაწყდა.

იორკის ადრიან გოლს ათ წუთში ტიერი ანრის საპასუხო მოჰყვა. მეთოფეთა ბრწყინვალე კომბინაცია იმედს იძლეოდა, რომ ჯახი გაგრძელდებოდა. მაგრამ სულ მალე თამაში საკალათბურთო „ოლ სტარზს" დაემსგავსა და დევიდ სიმენმა ისე გაუშვა ოთხი გოლი, რომ ბურთს არც შეხებია. იორკი ყველგან იყო, დევიდ ბექემის ორმოციარდიანმა პასებმა სტუმართა ნახევარდაცვა უსაქმოდ დატოვა. მანჩესტერელთაგან ყველა თავდამსხმელმა გაიტანა, სოლსკიაერმაც და შეცვლაზე შესულმა ტედი შერინგემმაც. მეთოფეთაგან პატრიკ ლუნგბერგს შეეძლო გაეტანა. საბოლოოდ 6:1 გამოვიდა.

„არსენალმა" უარი თქვა ჩემპიონობისთვის ბრძოლაზე. ამ უცნაურ, მოულოდნელ თამაშში კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ „მანჩესტერი" წლეულსაც ინგლისის ჩემპიონია და მის მდევრებს



მანჩესტერი — არსენალი 6:1. მანჩესტერელმა დუაიტ იორკმა იგორს სტეპანოვსსა და „არსენალს" გადაუარა

მდევრები აღარც ეთქმით — ისინი უბრალოდ ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძვიან. თუმცა, სანამ შეეძლო, „არსენალი" არაფერს თმობდა ამ საკვირაო შეხვედრაში, მაგრამ ოავის ნახევარზე მეტად მსუბუქად მოძრავ მანჩესტერელებს ვერაფერი დაუპირისპირა და განადგურდა კიდეც. ამ განადგურების გარეგნული იერი მეტად მსუბუქი იყო, თუმცაღა მაინც ატარებდა მთელი სეზონის დაღს. „არსენალი" ერთადერთ გუნდად რჩებოდა, რომელიც ბოლო ოთხ წელიწადს წარმატებით თამაშობდა „ოლდ ტრეფორდზე" და ერთხელ ჩემპიონობაც წაართვა ალექს ფერგიუსონის გუნდს. მეთოფეებმა ამ სეზონშიც დაამარცხეს „მანჩესტერი" „ჰაიბერიზე", მაგრამ საპასუხო თამაშმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ალისფერებს ეგრეც არა ჰყავთ ტოლი ინგლისში.

პრემიერლიგის გამარჯვებულის ვინაობა კარგა ხანია არ იყო საიდუმლო, ახლა კი, ეს საკითხი საერთოდ აღარ არის აქტუალური.

**ირაკლი გამყრელიძე**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 მანჩესტერი | 28 | 20 | 6 | 2 | 65:18 | 47 | 66 | 14 | 12 | 1 | 1 | 40:7 | 33 | 37 | 14 | 8 | 5 | 1 | 25:11 | 14 | 29 |
| 2 არსენალი | 28 | 14 | 8 | 6 | 44:29 | 15 | 50 | 14 | 11 | 3 | 0 | 34:8 | 26 | 36 | 14 | 3 | 5 | 6 | 10:21 | -11 | 14 |
| 3 ლივერპული | 26 | 13 | 6 | 7 | 47:28 | 19 | 45 | 13 | 10 | 2 | 1 | 28:8 | 20 | 32 | 13 | 3 | 4 | 6 | 19:20 | -1 | 13 |
| 4 სანდერლენდი | 28 | 12 | 8 | 8 | 32:27 | 5 | 44 | 14 | 8 | 5 | 1 | 17:7 | 10 | 29 | 14 | 4 | 3 | 7 | 15:20 | -5 | 15 |
| 5 იფსვიჩი | 27 | 13 | 4 | 10 | 39:33 | 6 | 43 | 14 | 7 | 4 | 3 | 22:12 | 10 | 25 | 13 | 6 | 0 | 7 | 17:21 | -4 | 18 |
| 6 ლიდსი | 28 | 12 | 7 | 9 | 41:36 | 5 | 43 | 14 | 7 | 2 | 5 | 22:18 | 4 | 23 | 14 | 5 | 5 | 4 | 19:18 | 1 | 20 |
| 7 ლესტერი | 27 | 12 | 6 | 9 | 29:29 | 0 | 42 | 14 | 8 | 4 | 2 | 20:13 | 7 | 28 | 13 | 4 | 2 | 7 | 9:16 | -7 | 14 |
| 8 ჩარლტონი | 28 | 11 | 8 | 9 | 38:40 | -2 | 41 | 14 | 9 | 4 | 1 | 23:9 | 14 | 29 | 14 | 2 | 4 | 8 | 15:31 | -16 | 10 |
| 9 ჩელსი | 26 | 10 | 8 | 8 | 48:33 | 15 | 38 | 14 | 10 | 3 | 1 | 37:13 | 24 | 33 | 12 | 0 | 5 | 7 | 11:20 | -9 | 5 |
| 10 საუთჰემპტონი | 27 | 10 | 8 | 9 | 32:34 | -2 | 38 | 14 | 8 | 2 | 4 | 21:15 | 6 | 26 | 13 | 2 | 6 | 5 | 11:19 | -8 | 12 |
| 11 ნიუკასლი | 27 | 11 | 4 | 12 | 32:38 | -6 | 37 | 13 | 7 | 2 | 4 | 18:13 | 5 | 23 | 14 | 4 | 2 | 8 | 14:25 | -11 | 14 |
| 12 ტოტენჰემი | 28 | 9 | 9 | 10 | 32:36 | -4 | 36 | 14 | 8 | 5 | 1 | 23:11 | 12 | 29 | 14 | 1 | 4 | 9 | 9:25 | -16 | 7 |
| 13 ვესტ ჰემი | 27 | 8 | 11 | 8 | 35:32 | 3 | 35 | 13 | 4 | 6 | 3 | 18:12 | 6 | 18 | 14 | 4 | 5 | 5 | 17:20 | -3 | 17 |
| 14 ასტონ ვილა | 26 | 8 | 9 | 9 | 28:28 | 0 | 33 | 12 | 4 | 5 | 3 | 16:13 | 3 | 17 | 14 | 4 | 4 | 6 | 12:15 | -3 | 16 |
| 15 ევერტონი | 28 | 8 | 7 | 13 | 30:42 | -12 | 31 | 14 | 4 | 6 | 4 | 19:19 | 0 | 18 | 14 | 4 | 1 | 9 | 11:23 | -12 | 13 |
| 16 დერბი ქაუნთი | 28 | 7 | 10 | 11 | 28:43 | -15 | 31 | 14 | 6 | 6 | 2 | 17:16 | 1 | 24 | 14 | 1 | 4 | 9 | 11:27 | -16 | 7 |
| 17 მიდლსბრო | 28 | 5 | 12 | 11 | 31:35 | -4 | 27 | 14 | 3 | 5 | 6 | 15:18 | -3 | 14 | 14 | 2 | 7 | 5 | 16:17 | -1 | 13 |
| 18 სიტი | 28 | 6 | 8 | 14 | 31:46 | -15 | 26 | 14 | 3 | 3 | 8 | 17:21 | -4 | 12 | 14 | 3 | 5 | 6 | 14:25 | -11 | 14 |
| 19 ქოვენთრი | 28 | 5 | 8 | 15 | 26:48 | -22 | 23 | 14 | 2 | 5 | 7 | 11:21 | -10 | 11 | 14 | 3 | 3 | 8 | 15:27 | -12 | 12 |
| 20 ბრედფორდი | 27 | 3 | 7 | 17 | 17:50 | -33 | 16 | 13 | 2 | 4 | 7 | 11:22 | -11 | 10 | 14 | 1 | 3 | 10 | 6:28 | -22 | 6 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| მ. სტიუარტი (იფსვიჩი) | 15 |
| ჰასელბაინკი (ჩელსი) | 14 |
| ანრი (არსენალი) | 14 |
| შერინგემი (მანჩესტერ იუნ.) | 14 |
| ვიდუკა (ლიდსი) | 12 |

**XXIX ტური**

3 მარტი

არსენალი — ვესტ ჰემი
ქოვენთრი — ჩელსი
დერბი ქაუნთი — ტოტენჰემი
ევერტონი — ნიუკასლი
ლიდსი — მანჩესტერი
ლესტერი — ლივერპული
სიტი — საუთჰემპტონი
მიდლსბრო — ჩარლტონი

4 მარტი

იფსვიჩი — ბრედფორდი

5 მარტი

სანდერლენდი — ასტონ ვილა

## პირველი დივიზიონი

### XXXIV ტური

**ნორვიჩი 1:0 ვულვერჰემპტონი**

1:0 მაკვეიგი (3)

ვულვერჰემპტონი: ოუქსი, მუსკატი, ნეილორი, პოლეტი, დინინგი, ბატლერი, რობინსონი (ძიაბაია 78), სინტონი (რუსელი 68), ენდრიუსი, ბრენი, ნდა

მწვრთნელი: დევიდ ჯოუნსი

17 288 მაყურებელი

**ჯილინგემი 0:2 ფულემი**

0:1 კოლინზი (74), 0:2 ბოა მორტე (88)

ფულემი: ტეილორი, ფინანი, ბრევე, მელვილი, საიმონსი, კლარკი, კოლინზი, დევისი (ნეილსონი 68), გოლდბეკი (ბოა მორტე 64), საჰა (რიდლე 84), ჰეილსი

მწვრთნელი: ჟან ტიგანა

9 931 მაყურებელი

**ბარნსლი 3:0 ქრიუ**

1:0 ჯონსი (34), 2:0 რაიტი (66სკ), 3:0 შიპერლი (86)

**ბარნლი 1:0 ჰადერსფილდი**

1:0 დევისი (48)

**ნოტინგემი 3:1 გრიმსბი**

0:1 კემპბელი (16), 1:1 ედსი (55), 2:1 ედვარდსი (57), 3:1 ჯონსონი (86)

**პრესტონი 2:0 შეფილდ უენსდი**

1:0 მაკკენა (49), 2:0 მაკენი (52)

**შეფილდ იუნ. 1:0 კრ. პალასი**

1:0 სუფო (51)

**უოტფორდი 2:2 სტოკპორტი**

0:1 უილბრემი (23), 1:1 მუნი (78), 2:1 ნილსენი (80), 2:2 უილბრემი (90)

**ვესტ ბრომვიჩი 2:0 პორტსმუთი**

1:0 რობერტსი (10), 2:0 ჩემბერსი (69)

**უიმბლდონი 5:0 ქუინზ პარკი**

1:0 უილიამსი (42), 2:0 გეილი (52), 3:0 იუელი (62), 4:0 უილიამსი (75), 5:0 იუელი (80)

**ბოლტონი 1:4 ბლექბერნი**

0:1 ბენტი (45), 0:2 დანი (74), 0:3 იანსენი (81), 1:3 რიკეტსი (84), 1:4 ჰინეტი (89)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფულემი | 34 | 24 | 6 | 4 | 72:24 | 78 |
| ბოლტონი | 34 | 19 | 9 | 6 | 57:33 | 66 |
| ბლექბერნი | 32 | 18 | 8 | 6 | 51:31 | 62 |
| ბირმინგემი | 31 | 18 | 5 | 8 | 45:32 | 59 |
| ვესტ ბრომვიჩი | 34 | 17 | 8 | 9 | 47:39 | 59 |
| უოტფორდი | 33 | 16 | 6 | 11 | 56:47 | 54 |
| ნოტინგემი | 32 | 16 | 5 | 11 | 43:36 | 53 |
| შეფილდ იუნ. | 33 | 15 | 8 | 10 | 37:31 | 53 |
| პრესტონი | 33 | 16 | 5 | 12 | 44:41 | 53 |
| ბარნლი | 32 | 14 | 6 | 12 | 34:38 | 48 |
| უიმბლდონი | 30 | 12 | 8 | 10 | 51:34 | 44 |
| ნორვიჩი | 34 | 11 | 10 | 13 | 34:39 | 43 |
| ჯილინგემი | 33 | 9 | 12 | 12 | 42:45 | 39 |
| ბარნსლი | 34 | 10 | 8 | 16 | 34:43 | 38 |
| ვულვზი | 32 | 9 | 10 | 13 | 32:35 | 37 |
| კრისტალ პალასი | 33 | 9 | 10 | 14 | 46:50 | 37 |
| პორტსმუთი | 33 | 7 | 14 | 12 | 33:41 | 35 |
| გრიმსბი | 32 | 9 | 7 | 16 | 31:46 | 34 |
| ქრიუ | 32 | 9 | 6 | 17 | 31:45 | 33 |
| სტოკპორტი | 34 | 6 | 14 | 14 | 42:57 | 32 |
| ქუინზ პარკი | 33 | 6 | 14 | 13 | 33:53 | 32 |
| უენსდი | 33 | 8 | 5 | 20 | 34:60 | 29 |
| ჰადერსფილდი | 31 | 6 | 10 | 15 | 32:41 | 28 |
| ტრანმერი | 30 | 7 | 6 | 17 | 29:49 | 27 |

## მეორე დივიზიონი

34-ე ტური: ბრენტფორდი — ნოთსი 3:1; როვერსი — კემბრიჯი 2:1; კოლჩესტერი — ბრისტოლი 4:0; ნორთჰემპტონი — უიგანი 1:0; ოლდემი — ბორნმუთი 2:1; ოქსფორდი — მილუოლი 0:2; პიტერბრო — უიკომბი 3:2; პორტველი — ბერი 1:1; სუონსი — რედინგი 0:1; სუინდონი — ლუთონი 1:3; უოლსოლი — რექსემი 2:3; როთერემი — სტოკი 2:1

## მესამე დივიზიონი

34-ე ტური: კიდერმინსტერი — კარდიფი 2:4; ბრაიტონი — იორკი 1:1; დარლინგტონი — მაკლსფილდი 1:1; ექსეტერი — კარლაილი 1:0; ჰალიფაქსი — ტორკი 2:1; ჰარტლპული — მენსფილდი 1:1; ჰალი — ბარნეტი 2:1; ლინკოლნი — ლეიტონი 2:3; პლიმუთი — ჩელტენემი 0:0; როჩდეილი — შრუსბერი 1:7; სკანთორპი — საუთენდი 1:1; ჩესტერფილდი — ბლექპული გადაიდო

## გერმანია

### XXIII ტური

**ბაიერნი 1:1 კიოლნი**

0:1 კროიცი (25), 1:1 იანკერი (65)
ბაიერნი: კანი, იერემისი, ლინკე, სალიჰამიჯიჩი (სანიოლი 80), ლიზარაზუ, ფინკი, ტარნატი (შოლი 46), ეფენბერგი, პაულო სერჯიო, ელბერი, იანკერი
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
კიოლნი: პრიოლი, ქივიორი, სიხონე, კულმანი, კელერი, ვოიგტი, შპრინგერი, ტიმი, ლოტნერი (ბაუმჯმანი 90), კროიცი (ბარანეკი 90), დონკოვი (დვორაკი 70)
მწვრთნელი: ევალდ ლინენი
გაფრთხილება: იანკერი, სიხონე, ვოიგტი, კულმანი
36 000 მაყურებელი

**ფრაიბურგი 0:3 მიუნხენი**

0:1, 0:2 ბორიმიროვი (36, 43), 0:3 შროტი (50)
ფრაიბურგი: გოლცი, შ. მიულერი, დიარა, კელი, ცქიტიშვილი (ვილი 60), ა. ცაიერი, კობიაშვილი, კულიბალი, ვ ბუტი (რამდანე 70), იაშვილი, ვაისჰაუპტი (დორნი 46)
მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე
მიუნხენი: იენჩი, ტისი, ვოტავა, ტ. ჰოფმანი, ზელიჩი (ელერსი 39), შტრანცლი (ჰფუდერერი 84), ბორიმიროვი, ჩერნი, ბაიროფკა (პასლაკი 78), მაქსი, შროტი
მწვრთნელი: ვერნერ ლორანტი
გაფრთხილება: ბუტი, დიარა, რამდანე, ტისი, ელერსი, ჰფუდერერი
25 000 მაყურებელი

**შალკე 0:0 დორტმუნდი**

შალკე: რეკი, ჰაიტო, ნემეცი, ვან ჰუგდალემი, კმეტში, ბიუსკენსი, ლატალი, ბიომე, მიოლერი, სანდი, ე. მპენზა
მწვრთნელი: ჰუუბ სტევენსი
დორტმუნდი: ლემანი, ვიორნსი, ოლისე, კოლერი, ნერლინგერი, ჰაინრიხი, დედე, რიკენი, როსიცკი (სორენსენი 83), ადო (რეინა 61), ბობიჩი
მწვრთნელი: მათიას ზამერი
გაფრთხილება: ვან ჰუგდალემი, ნემეცი, მიოლერი, ბიუკენსი, ადო, ნერლინგერი, ოლისე, ლემანი
62 109 მაყურებელი

**ბოხუმი 0:0 შტუტგარტი**

ბოხუმი: ვან დუინჰოვენი, შტაკროტი (ფარენჰორსტი 81), მილინოვიჩი, სუნდერმანი, კოლდონგი, შინდცილორცი, მაიხელბეკი (მანდრეკო 46), ბასტურკი, ჰეშელი, მ. მარიჩი (ბალუშინსკი 46), კრისტიანსენი
მწვრთნელი: როლფ შაფშტალი
შტუტგარტი: ჰილდებრანდი, მარკეში, სოლდო, ბორდონი, ტიამი, მაისნერი (ჰინკელი 46), ჯორჯევიჩი (ზაიცი 81), ბალაკოვი, გერბერი, ტაიფერტი, განია (ადემარი 66)
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
გაფრთხილება: მაიხელბეკი, კრისტიანსენი, ტაიფერტი, გერბერი
18 800 მაყურებელი

**კაიზერსლაუტერნი 0:1 ჰანზა**

0:1 სალუ (2)
კაიზერსლაუტერნი: გ. კოხი, ბიელიცა (პეტერსონი 46), ჰ. კოხი, კლოსი (რაიხი 78), ბასლერი, ხრისტოვი, შტრასერი, ბუკი, ჯორკაეფი (მარშალი 67), კლოსე, ლოკვენცი
მწვრთნელი: ანდრეას ბრემე
ჰანზა: პიკენჰაგენი, იაკობსონი, ცალმანი, ბენკენი, ბაუმგარტი, შრიოდერი, რიდლევიჩი (ლანგე 89), ვიბრანი (ვაილანდტი 90), ლანცი, აგალი, სალუ
მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი
გაფრთხილება: ბიელიცა, შტრასერი, ბასლერი, რიდლევიჩი, ბაუმგარტი, იაკობსონი
გაძევება: ჰ. კოხი (76)
38 983 მაყურებელი

**აინტრახტი 1:2 ვერდერი**

0:1 აილტონი (21), 0:2 პიზარო (89), 1:2 ბაუმანი (90ს.კ.)
აინტრახტი: ჰაინენი, ბინდევალდი, რადა, კრახტი, შური, მუტცელი (ვიმერი 46), გებჰარდტი, სობოტზიკი (გუიე-მიენი 46), ჰელდტი (ფიორტოფტი 69), ჩენ-იანგი, კრიუპალოვიჩი
მწვრთნელი: როლფ დოშენი
ვერდერი: ფ. როსტი, ფ. ბაუმანი, ვერლაატი, კრსტაიჩი, ფ. ერნსტი, აილტსი, ფრინგსი, ბოდე, ა. ჰერცოგი (ტრარესი 71), პიზარო, აილტონი (სტალტერი 74)
მწვრთნელი: თომას შააფი
გაფრთხილება: ბინდევალდი, გებჰარდტი, ერნსტი
21 200 მაყურებელი



შალკე — დორტმუნდი 0:0. დორტმუნდელმა კრისტიან ვიორნსმა ემილ მპენზას ფეხად დაასწრო

REUTERS

# გოლცის კარი გაიღო

**ჰამბურგი 3:2 ვოლფსბურგი**

0:1 სებესკენი (11), 1:1 მეიერი (31), 2:1 ბარბარესი (45), 3:1 მაჰდავიკია (62), 3:2 მიულერი (71)
ჰამბურგი: ჰ. ბუტი, ჰოოგმა, ჰერჩი, იუფდალეში, ნ. კოვაჩი, ტოფტინგი (ფიშერი 74), ჰოლერბახი, კარდოზო (კინცი 82), მაჰდავიკია (პრეგერი 89), ბარბარესი, მეიერი
მწვრთნელი: ფრანკ პაგელსდორფი
ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, ბილისკოვი, ჰენგენი, იფეიბგვა, შნური, კუჰბაუერი (ს. მიულერი 69), სებესკენი, ვაისერი, მუნტიანუ, იუსკოვიაკი (ტ. მარიჩი 16), აკპობორი (რიშე 72)
მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი
გაფრთხილება: ჰოოგმა, მეიერი, კუჰბაუერი, ბილისკოვი, ვაისერი
35 355 მაყურებელი

**ლევერკუზენი 1:3 კოტბუსი**

0:1 მირიუტა (33), 0:2 ლაბაკი (42), 0:3 მირიუტა (62), 1:3 ზე რობერტო (74)
ლევერკუზენი: ცუბერბიულერი, ჟივკოვიჩი, რამელო, ლუსიო, პლასენტე, რ. კოვაჩი, ბ. შნაიდერი (პონტე 46), ბალაკი, ზე რობერტო, ბერბატოვი (რინკი 46), ნოივილი
მწვრთნელი: ბერტი ფოგტსი
კოტბუსი: პიბლიცა, ვატა, ჰუჯეროვიჩი, ბეეკი, შებოკი, რეზეკამპფი, აკპაროვიჩი (სკერბე 83), მირიუტა, მიჩევსკი (ლატუნდი 67), კობილანსკი, ლაბაკი (ს. ილიე 77)
მწვრთნელი: ედუარდ გაიერი
გაფრთხილება: ჟივკოვიჩი, ბალაკი, რეზეკამპფი, ჰუჯეროვიჩი, ვატა, ლატუნდი
22 000 მაყურებელი

**ჰერტა — უნტერჰახინგი**

უამინდობის გამო გადაიდო

**ის**, რაც პარასკევს, 23-ე ტურის პირველ მატჩში „ბაიარენაზე“ ხდებოდა, თამაშამდე წარმოუდგენელი ჩანდა. „ლევერკუზენი“ აუტსაიდერ „კოტბუსს“ მასპინძლობდა და მოგების შემთხვევაში პირველ ადგილზე ალზევდებოდა. მოგებას ვინ ჩივის, 62-ე წუთზე ბერტი ფოგტსის გუნდი 0:3-ს აგებდა. საბოლოოდ ლევერკუზენელებმა ერთი პრესტიჟის გოლის გატანაღა შეძლეს, ზე რობერტომ ანგარიში გაალამაზა — 1:3. შეხვედრის გმირი კი ვასილ მირიუტა გახდა, კოტბუსელთა თავხოტორა ნახევამცველი, რომელმაც ორი გოლი გაიტანა და ორჯერაც ჰეთ თრიქის შესრულების საუკეთესო შანსი დაკარგა. ლაბაკსაც მან დაასვა ბურთი თავზე და ანგარიში 0:2-მდე გაიზარდა.

ლევერკუზენელთა თავგამოდება, თამაშში გარდატეხა შეეტანათ, ამაო გამოდგა, „კოტბუსმა“ ბუნდესლიგაში პირველად მოიგო სტუმრად.

„როგორც ვატყობ, რამდენიმე ფეხბურთელთან სერიოზული საუბარი მომიწევს“ — თქვა ნამატჩევს მასპინძელთა თავკაცმა ბერტი ფოგტსმა, რომელმაც გვარების დასახელებისგან თავი შეიკავა.

ბოლო ორი ტურია, ლიდერთა ოთხეული ქულას ქულაზე კარგავს. წინა ტურში „ბაიერნმაც“ წააგო, „შალკემაც“ და „ლევერკუზენმაც“. მხოლოდ „დორტმუნდმა“ იმარჯვა და სამეულს წამოეწია. შაბათს მიუნხენელებმა შინ „კიოლნს“ ვერ მოუგეს. „შალკე“ და „დორტმუნდი“ კი ერთამანეთს გელზენკირხენში დაეჯახნენ და უგოლო ფრე გააგორეს.

კმაყოფილი ვარ. ასეთი თამაშით „კიოლნს“ ქულაზე მეტს ნაღდად ვერ გამოვჩებოდით — თქვა „ბაიერნის“ მწვრთნელმა ოტმარ ჰიცფელდმა.

მართალი იყო ჰიცფელდი. ბავარიელებმა შაბათს საზიზღრად ითამაშეს და არჩილ არველაძის გარეშე მოთამაშე კიოლნელებს 21-ე საუკუნეში პირველი ქულა მოაპოვებინეს. სტუმრები 25-ე წუთზე დაწინაურდნენ — შპრინგერის გრძელი პასი კროიცმა გამოიყენა და კანს ახლოდან გაუტანა. ეს გოლი „კიოლნს“, ალბათ, მოსაგებადაც ეყოფოდა, მინდორზე მეჰმეთ შოლი რომ არ გამოსულიყო. ტარნატის შემცვლელმა შოლმა მასპინძლები გამოაფხიზლა და პრიოლის კარისკენ გაახედა, 65-ე წუთზე კი იანკერს კარგი პასით წონასწორობა აღადგენინა.

გელზენკირხენის სტადიონზე შეკრებილი 63 ათასამდე ქომაგი საინტერესო და სანახაობრივი თამაშის საყურებლად გაემზადა, მაგრამ იმედი გაუცრუვდა. „შალკე“ — „დორტმუნდის“ მატჩი მოსაწყენი და უინტერესო გამოდგა. 90 წუთის მანძილზე ორი-სამი სახიფათო მომენტი თუ შეიქმნა. მასპინძლებთან შედარებით დორტმუნდელები კი ცდილობდნენ, შეეტიათ, მაგრამ პირველ წრეში და გერმანიის თასზე დამარცხებისთვის შური მაინც ვერ იძიეს.

„ვთვლი, რომ კომიკური თამაში იყო. არც ჩვენ გავრისკეთ და არც მასპინძლებმა, ამიტომაც ქომაგებმა დღეს ვერ ისიამოვნეს. ფრე სამართლიანი შედეგი გახლავთ“ — თქვა „დორტმუნდის“ თავკაცმა მათიას ზამერმა.

ამქვეყნად ყველაფერი მთავრდება და „ფრაიბურგის“ დაუმარცხებელი თუ გოლგაუშვებელი სერიაც შეწყდა. აქამდე „ფრაიბურგს“ ზედიზედ ათი მატჩი არ წაეგო, ზედიზედ ხუთჯერ კი გოლი არ გაეშვა. შაბათს კი. ის, რომ „მიუნხენმა“ ქართველთა გუნდი სტუმრად 3:0 დაჩაგრა, თავად მასპინძელთა უნიათო თამაშის ბრალი გახლდათ. იაშვილი, კობიაშვილი და ცქიტიშვილი ძირითადში იყვნენ, თუმცა თავიანთ გუნდს, ისევე როგორც დანარჩენები, დიდად ვერ წაადგნენ. იაშვილი მასპინძელთაგან ერთ-ერთი საუკეთესო იყო, კობიაშვილი კი — პირიქით. „ფრაიბურგმა“ ძალიან ცუდად კი ითამაშა, მაგრამ... არავინ იცის, როგორ განვითარდებოდა მოვლენები, 36-ე წუთზე ცაიერის თავური ხარიხას რომ არ მოხვედროდა და ცოტა ქვემოთ წასულიყო. ამ მომენტიდან ზუსტად ორ წამში (!) ანგარიში გაიხსნა — მიუნხენელთა ბულგარელმა ნახევარმცველმა დანიელ ბორიმიროვმა შროტისგან ბურთი მიიღო და გოლკიპერს... [illegible] სერია დაუსრულა. ბორიმიროვმა ... თავი ... შეძლო, კი შროტმა მესამეც დაამატა.

„კაიზერსლაუტერნს“ კვირას შინ „ჰანზა“ რომ დაემარცხებინა, ჩემპიონობის რეალურ კანდიდატებს შეუერთდებოდა, მაგრამ დაიწყო მატჩი და „ლაუტერნი“ ჩამორჩა. მეორე წუთზე ლანცის დარტყმული ბურთი კოხმა მოიგერია, თუმცა დამატებაზე ბაშირუ სალუმ იმარჯვა, ყველას დაასწრო და ხუთიოდე მეტრიდან გაიტანა. როგორც დარჩენილმა 88 წუთმა დაგვანახა, ეს გოლი „ჰანზასთვის“ სამქულიანი გამოდგა, არადა, მასპინძლებმა მარტინ პიკენჰაგენი ლამის დაბომბეს, თუმცა სტუმართა მეკარე საიმედოდ გაისარჯა.

მატჩის დებიუტში საკუთარ მინდორზე „ჰამბურგიც“ ჩამორჩა, თუმცა 52 წუთში მეიერის, ბარბარესისა და მაჰდავიკიას ძალისხმევით „ვოლფსბურგს“ 0:1 3:1-ად უქცია. ბოლოს მიულერმა მხოლოდ სხვაობა შეამცირა — 2:3.

ძაღლი შინ არ ვარგოდა, სანადიროდ გარბოდაო, ზუსტად ასაა ფელიქს მაგათის საქმე. ეს კაცი რამდენიმე კვირის წინ „აინტრახტიდან“ დაითხოვეს, რადგან მის ხელში ფრანკფურტულ კლუბს გავარდნა დაემუქრა. „აინტრახტიდან“ გაგდებული მწვრთნელი ახლახან „შტუტგარტმა“ შეიფარა, რომელიც ბოლოსწინა ადგილიდან ფეხს ვერ იცვლის და ლიგის დატოვების ერთ-ერთი მთავარი კანდიდატია. კვირას შტუტგარტელები ცხრილის ფსკერზე დაყვინთულ „ბოხუმს“ ეწვივნენ. ფორტუნა „შტუტგარტისა“ და მაგათის მხარეს რომ არ ყოფილიყო, ახლა „ბოხუმი“ მე-17 იქნებოდა.

**ვანო ოქრობირიძე**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ბაიერნი | 23 | 13 | 4 | 6 | 45:25 | 20 | 43 | 12 | 9 | 1 | 2 | 29:13 | 16 | 28 | 11 | 4 | 3 | 4 | 16:12 | 4 | 15 |
| 2 შალკე | 23 | 12 | 5 | 6 | 43:25 | 18 | 41 | 11 | 8 | 3 | 0 | 21:6 | 15 | 27 | 12 | 4 | 2 | 6 | 22:19 | 3 | 14 |
| 3 დორტმუნდი | 23 | 12 | 5 | 6 | 35:28 | 7 | 41 | 11 | 7 | 1 | 3 | 18:12 | 6 | 22 | 12 | 5 | 4 | 3 | 18:15 | 3 | 19 |
| 4 ლევერკუზენი | 23 | 12 | 4 | 7 | 40:28 | 12 | 40 | 11 | 8 | 1 | 2 | 24:8 | 16 | 25 | 12 | 4 | 3 | 5 | 16:20 | -4 | 15 |
| 5 ჰერტა | 22 | 12 | 1 | 9 | 44:39 | 5 | 37 | 11 | 6 | 1 | 4 | 27:20 | 7 | 19 | 11 | 6 | 0 | 5 | 17:19 | -2 | 18 |
| 6 ლაუტერნი | 23 | 11 | 4 | 8 | 32:30 | 2 | 37 | 12 | 6 | 3 | 3 | 16:9 | 7 | 21 | 11 | 5 | 1 | 5 | 16:21 | -5 | 16 |
| 7 ფრაიბურგი | 23 | 9 | 7 | 7 | 30:24 | 6 | 34 | 11 | 5 | 3 | 3 | 19:8 | 11 | 18 | 12 | 4 | 4 | 4 | 11:16 | -5 | 16 |
| 8 ვერდერი | 23 | 9 | 7 | 7 | 32:32 | 0 | 34 | 11 | 7 | 3 | 1 | 21:11 | 10 | 24 | 12 | 2 | 4 | 6 | 11:21 | -10 | 10 |
| 9 ვოლფსბურგი | 23 | 8 | 8 | 7 | 42:31 | 11 | 32 | 12 | 5 | 5 | 2 | 26:14 | 12 | 20 | 11 | 3 | 3 | 5 | 16:17 | -1 | 12 |
| 10 მიუნხენი | 23 | 8 | 7 | 8 | 30:37 | -7 | 31 | 11 | 5 | 3 | 3 | 15:16 | -1 | 18 | 12 | 3 | 4 | 5 | 15:21 | -6 | 13 |
| 11 კიოლნი | 23 | 8 | 6 | 9 | 40:37 | 3 | 30 | 12 | 6 | 3 | 3 | 26:14 | 12 | 21 | 11 | 2 | 3 | 6 | 14:23 | -9 | 9 |
| 12 ჰანზა | 23 | 8 | 4 | 11 | 22:34 | -12 | 28 | 11 | 4 | 3 | 4 | 13:16 | -3 | 15 | 12 | 4 | 1 | 7 | 9:18 | -9 | 13 |
| 13 ჰამბურგი | 23 | 8 | 3 | 12 | 45:45 | 0 | 27 | 11 | 7 | 1 | 3 | 25:14 | 11 | 22 | 12 | 1 | 2 | 9 | 20:31 | -11 | 5 |
| 14 აინტრახტი | 23 | 8 | 3 | 12 | 29:40 | -11 | 27 | 11 | 6 | 1 | 4 | 19:15 | 4 | 19 | 12 | 2 | 2 | 8 | 10:25 | -15 | 8 |
| 15 კოტბუსი | 23 | 8 | 2 | 13 | 29:39 | -10 | 26 | 12 | 7 | 0 | 5 | 19:16 | 3 | 21 | 11 | 1 | 2 | 8 | 10:23 | -13 | 5 |
| 16 უნტერჰახინგი | 22 | 6 | 6 | 10 | 21:35 | -14 | 24 | 12 | 5 | 4 | 3 | 14:12 | 2 | 19 | 10 | 1 | 2 | 7 | 7:24 | -17 | 5 |
| 17 შტუტგარტი | 23 | 5 | 7 | 11 | 31:37 | -6 | 22 | 12 | 5 | 5 | 2 | 25:15 | 10 | 20 | 11 | 0 | 2 | 9 | 6:22 | -16 | 2 |
| 18 ბოხუმი | 23 | 5 | 5 | 13 | 19:43 | -24 | 20 | 12 | 4 | 3 | 5 | 14:19 | -5 | 15 | 11 | 1 | 2 | 8 | 5:24 | -19 | 5 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| სანდი (შალკე) | 15 |
| ბარბარესი (ჰამბურგი) | 15 |
| ელბერი (ბაიერნი) | 13 |
| პრეეცი (ჰერტა) | 13 |
| აგოსტინო (მიუნხენ 1860) | 11 |
| ნოივილი (ლევერკუზენი) | 11 |

**XXIV ტური**

2 მარტი
დორტმუნდი — აინტრახტი
3 მარტი
ჰანზა — ბაიერნი
კოტბუსი — ლაუტერნი
ვერდერი — ფრაიბურგი
შტუტგარტი — ვოლფსბურგი
უნტერჰახინგი — ბოხუმი
კიოლნი — ჰერტა
4 მარტი
მიუნხენ 1860 — ლევერკუზენი
შალკე — ჰამბურგი

## მეორე ბუნდესლიგა

### XXIII ტური

**როიტლინგენი 1:1 ვალდჰოფი**

0:1 ვატა (45), 1:1 ლაბაჩინსკი (62)
როიტლინგენი: კურკი, მალხოვი, ლაბაჩინსკი, ტრაუბი, ჰოფაკერი, ადუბე, იანიჩი, ლექსა, ბეკერი (ვილდმანი 46), დიაპა, ფრომერი (ჰოფმანი 52)
მწვრთნელი: რალფ ვი
7 082 მაყურებელი

**ფიურტი 3:1 მაინცი**

1:0 აზუზი (12პ), 2:0 კიოიო (66), 2:1 კრამნი (88), 3:1 ჰესენჰუტლი (80)
ფიურტი: რაიხოლდი, შკარაბელა, რაიტერი (მლიკე 29), ბოი, სურმანი, რუმანი, რაიხელი, აზუზი, ფელგენჰაუერი, ამანატიდისი (ტური 58), კიოიო (ჰესენჰუტლი 76)
მწვრთნელი: გიუნტერ ერკენბრეხერი
3 590 მაყურებელი

**არმინია 3:3 ზანქტ პაული**

1:0 ვიშნიარეკი (4), 2:0 დამაიერი (53), 2:1 პაჩინსკი (56), 2:2 რატი (58), 2:3 კლასნიჩი (66), 3:3 ლაბადია (89)

**მიონხენგლადბახი 6:1 ალემანია**

1:0 ვან ჰუდტი (48), 2:0 დემო (61), 2:1 ჰეერენი (62), 3:1 დემო (72პ), 4:1, 5:1 ვან ლენტი (81, 85), 6:1 აუერი (89)

**ზაარბრიუკენი 1:1 ულმი**

0:1 კოვაჩევიჩი (43), 1:1 დიხტიარი (73)

**დუისბურგი 3:2 ნიურნბერგი**

1:0 გრუევი (9), 1:1 მიოკელი (25), 1:2 ბელიაკოვი (36), 2:2 გრუევი (54), 3:2 ზიდელი (75)

**ქემნიცი — ობერჰაუზენი**
**კიკერსი — ალენი**

გადაიდო

**ჰანოვერი — ოსნაბრუკი**

წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მეორე გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიურნბერგი | 23 | 16 | 3 | 4 | 47:23 | 51 |
| გლადბახი | 23 | 12 | 8 | 3 | 46:22 | 44 |
| ზანქტ პაული | 22 | 11 | 7 | 4 | 49:34 | 40 |
| ფიურტი | 23 | 10 | 6 | 7 | 35:26 | 36 |
| როიტლინგენი | 22 | 10 | 6 | 6 | 47:39 | 36 |
| ვალდჰოფი | 23 | 10 | 6 | 7 | 32:29 | 36 |
| დუისბურგი | 22 | 10 | 5 | 7 | 37:26 | 35 |
| ჰანოვერი | 22 | 9 | 6 | 7 | 37:25 | 33 |
| ზაარბრიუკენი | 23 | 9 | 6 | 8 | 34:43 | 33 |
| ობერჰაუზენი | 22 | 9 | 4 | 9 | 29:31 | 31 |
| ალენი | 22 | 8 | 6 | 8 | 35:36 | 30 |
| ალემანია | 22 | 7 | 5 | 10 | 30:47 | 26 |
| არმინია | 23 | 6 | 7 | 10 | 32:30 | 25 |
| ულმი | 23 | 6 | 6 | 11 | 29:34 | 24 |
| ოსნაბრუკი | 22 | 5 | 6 | 11 | 21:36 | 21 |
| კიკერსი | 21 | 4 | 8 | 9 | 18:27 | 20 |
| მაინცი | 22 | 4 | 7 | 11 | 20:32 | 19 |
| ქემნიცი | 22 | 2 | 4 | 16 | 16:54 | 10 |

## იტალია

### XX ტური

### იუვენტუსი 3:0 მილანი

1:0 ტუდორი (9), 2:0 ინძაგი (67), 3:0 ზიდანი (91)
იუვენტუსი: ვან დერ სარი, ტუდორი, ფერარა, მონტერო, პესოტო, ბირინდელი (ძამბროტა 80), ტაკინარდი, დავიდსი, ზიდანი (ბრიგი 91), ფ. ინძაგი (კოვაჩევიჩი 87), დელ პიერო
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
მილანი: აბიატი, სალა, როკე ჟუნიორი, მალდინი, კალაძე (გატუზო 69), პელეგი (გულიელმინპიეტრო 68), ალბერტინი, კოკუ, ჟუნტი (ბობანი 62), შევჩენკო, ლეონარდო
მწვრთნელი: ალბერტო ძაკერონი
გაფრთხილება: დავიდსი, ჟუნტი, პელეგი, გატუზო, ტაკინარდი, ფერარა
45 000 მაყურებელი

### ლაციო 5:3 ვერონა

1:0 პობორსკი (13), 2:0 კრესპო (40), 2:1 კამორანეზი (47), 3:1 ნედვედი (50), 3:2 ჟილარდინო (64), 4:2 კრესპო (76), 4:3 კოსატო (84), 5:3 კრესპო (91)
ლაციო: პერუცი (მარკეჯანი 46), პანკარო, ნესტა, ფერნანდეშ კოუტუ, ფავალი, პობორსკი (კასტროman 72), ნედვედი, სიმეონე, ს. ვერონი, კრესპო, სალასი (კლაუდიო ლოპესი 50)
მწვრთნელი: დინო ძოფი
ვერონა: ფერონი, ლაურსენი, აპოლონი (ლანძარო 60), გონელა, ოდო, ჯ. კოლუჩი, ლ. კოლუჩი, მელისი (კამორანეზი 46), სერიჩი, ჟილარდინო (კოსატო 67), მუტუ
მწვრთნელი: ატილიო პეროტი
გაფრთხილება: ლანძარო, ლ. კოლუჩი
გაძევება: მელისი (90)
45 000 მაყურებელი

### პარმა 5:0 პერუჯა

1:0 ტორისი (13), 2:0 მილოშევიჩი (33), 3:0 დი ვაიო (60), 4:0 ამოროზო (73პ), 5:0 მილოშევიჩი (87)
პარმა: ბუფონი, პ. კანავარო, ტორისი, ფ. კანავარო, სარტორი, ბოლანო (სენსინი 80), ლამუში, ჟუნიორი, მიკუ, მილოშევიჩი, დი ვაიო (ამოროზო 61)
მწვრთნელი: რენცო ულივიერი
პერუჯა: მაცანტინი, რივალტა (გორეტი 46), მატერაცი, დი ლორეტო, პეტრაკი (ბლასი 46), ჯოვანი ტედესკო, ზე მარია, ბაიოკო (რობიატი 73), პიერი, ვრიზასი, საუდატი
მწვრთნელი: სერსე კოსმი
გაფრთხილება: მიკუ, მილოშევიჩი
18 000 მაყურებელი

### ვიჩენცა 0:2 რომა

0:1 მონტელა (80), 0:2 ემერსონი (83)
ვიჩენცა: სტერკელე, კარდონე, ძანკი, ტომასი, კომოტო (კ. ქასპარიტო 82), ფირმანი, დაბო (ბრონჩიჩი 75), დალ კანტო, სომეზე (მაურიციო როსი 81), ძაული, ტონი
მწვრთნელი: ედუარდო რეია
რომა: ანტონიოლი, ძებინა, სამუელი, ძაგო, კაფუ, კ. ძანეტი (ტომასი 66), ემერსონი, კანდელა, ტოტი (გიგუ 88), ბატისტუტა (მონტელა 35), დელვეკიო
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
გაფრთხილება: ძაგო, ემერსონი, ტონი, ფირმანი, დელვეკიო, ძაული
11 000 მაყურებელი

### ინტერი 2:1 უდინეზე

0:1 სოსა (16), 1:1 ბლანი (18), 2:1 ფერანტე (90)
დი ბიაჯომ ვერ გაიტანა პენალტი (50, მეკარე)
ინტერი: ბალოტა, ჩირილო, ბლანი, კორდობა, გრეშკო, ბროკი (კოე 92), ხ. ძანეტი, დი ბიაჯო, სერენა (ზეედორფი 56), რეკობა, ჰაქან შუქური (ფერანტე 85)
მწვრთნელი: მარკო ტარდელი
უდინეზე: ტური, ძამბონი, სოტილი, ბერტოტო, ალბერტო, ფიორე, ჯანიკედა, დიასი (გუტიერესი 91), იორგენსენი (მანფრედინი 89), სოსა, მარგიოტა (გაარდე 61)
მწვრთნელი: ლუიჯი დე კანიო
40 000 მაყურებელი

### ბოლონია 2:1 ნაპოლი

1:0 სინიორი (25პ), 1:1 ედმუნდო (35), 2:1 სინიორი (87)
ბოლონია: პაგლიუკა, ფალკონე, პადალინო, გამბერინი, ნერვო, მარესკა (პიაჩენტინი 57), ლიმა, ტარანტინო (ბრიოსკი 71), ლოკატელი (ბინოტო 68), ჩიპრიანი, სინიორი
მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი
ნაპოლი: ფონტანა, ბალდინი (ბოკეტი 17), კიროგა, ტროისე, მორიერო (პინედა 75), ხესაინი, ვიდიგალი (ჯაკომო ტედესკო 85), მაგონი, ბაჩინი, ბელუჩი, ედმუნდო
მწვრთნელი: ემილიანო მონდონიკო
გაფრთხილება: ბალდინი, ხესაინი, მაგონი, ბელუჩი, ბოკეტი, გამბერინი, ნერვო, სინიორი, ბრიოსკი
28 000 მაყურებელი

### ფიორენტინა 2:2 ბრეშა

0:1 ბაჯო (5), 1:1 კიეზა (23), 2:1 ნუნო გომეში (62), 2:2 ბაჯო (67)
ფიორენტინა: ტოლდო, ადანი (ლეანდრო 83), ლასისი, პიერინი, მარკო როსი (როსიტო 46), ბრესანი, დი ლივიო, ვანოლი, რუი კოშტა, კიეზა, ნუნო გომეში
მწვრთნელი: ფატიჰ თერიმი
ბრეშა: კასტელაცი, პეტრუცი, კალორი, ბონერა, დიანა, ილანა, ბიზოლი (ჯ. ფილიპინი 77), ბაჯინი (კოზმინსკი 75), პირლო, რ. ბაჯო (ა. ფილიპინი 75), უბნერი
მწვრთნელი: კარლო მაცონე
გაფრთხილება: ბიზოლი, ბრესანი, როსი, პეტრუცი, დი ლივიო, პირლო, ლასისი, ილანა
28 000 მაყურებელი

### ატალანტა 0:0 ბარი

ატალანტა: პელიცოლი, სივილია, პაგანინი, კარერა, ბელინი, კ ძენონი, დ. ძენონი, გალო, დონი (ვანცი 76), მორფეო, ვენტოლა
მწვრთნელი: ჯოვანი ვავასორი
ბარი: ჟილე, დე როსა, მაცარელი, ინოჩენტი, დელ გროსო, ბელავისტა, დ. ანდერსონი, მ. მარკოლინი, ოსმანოვსკი, პოჯი, კასანო (მადსენი 82)
მწვრთნელი: ეუჯენიო ფასკეტი
გაფრთხილება: ჟილე
15 000 მაყურებელი

### ლეჩე 2:1 რეჯინა

1:0 ბალერი (14), 1:1 კოცა (28), 2:1 ლუკარელი (73)
ლეჩე: კიმენტი, ჟუარესი (პივოტო 83), დაინელი, სავინო, ბალერი, ჯორჯეტი, ინგესონი, ტონეტო, კოლონელო (ვაზარი 57), კ ლუკარელი, ვუგრინეცი (პიანჯერელი 81)
მწვრთნელი: ალბერტო კავაზინი
რეჯინა: ტაიბი, ოშადოგანი, ვარგასი, სტოვინი, ვაკარი (ბოგდანი 77), მამედე, ბრევი (რ. ვერონი 67), ძანჩეტა (კანეირა 64), მორაბიტო, კოცა, დიონიჯი
მწვრთნელი: ფრანკო კოლომბა
გაფრთხილება: ვარგასი, ინგესონი, ლუკარელი, ბრევი
13 128 მაყურებელი

# სამი როქი უძრაობის ხანაში



ვიჩენცა — რომა 0:2. რომაელი ფრანჩესკო ტოტი (№10) ვიჩენცელ სტეფანო ტომასს გაექცა

**შაბათ-კვირის** მატჩების შედეგების გაცნობამ არ გაგიჩინათ ასეთი კითხვა: კი მაგრამ, ცხრილში რამე შეიცვალა? „რომამ“ მოიგო, „იუვენტუსმა“ მოიგო, „ლაციომ“ მოიგო... წინა ცხრილის ძიებით თავს ნუ შეიწუხებთ, ერთად შევადაროთ დღევანდელი და შვიდი დღის წინანდელი მდგომარეობა ერთმანეთს.

მაშ ასე, რა შეიცვალა? ზემოთ ჩამოთვლილი სამეული უცვლელადაა, მეოთხეზე კი სიახლეა: ბერგამოს „ატალანტა“, რომელიც თავისი წარმატებებითა და სიჯიუტით ძლიერთ იმა ქვეყნისა, ალბათ, აღიზიანებდა კიდეც (რა უნდა ასე მაღლა სერია B-დან ამ სეზონში აღზევებულ გუნდს?) ერთი ადგილით ჩაცურდა — „პარმას“ გაუცვალა ადგილი. მეექვსეზე და მეშვიდეზე „უდინეზე“ და „ინტერი“ არიან, მერვეზე კი „ფიორენტინას“ ნაცვლად „ბოლონიას“ ვხედავთ — მილანელმა „შავ-ლურჯებმა“ თანაქალაქელ „შავწითლებს“ გადაასწრეს, თუმც ქულები თანაბარი აქვთ. და „ფიორენტინა“ სად წავიდა? „ინტერის“ ყოფილ ადგილზე, მეათეზე.

„ინტერის“ შემდეგ „ბოლონიაა“, ყოფილი მეთერთმეტე სამი ადგილით ალზევდა, ხოლო ყოფილი მეცხრე, „პერუჯა“ ორი ადგილით დაქვეითდა — აქაც ადგილების გაცვლა. ამის შემდეგ, მეთორმეტედან მეთვრამეტემდე ყველაფერი ძველებურადაა.

მაშ ასე: სამმა წყვილმა ადგილი გაცვალა, სხვა ყველაფერი უცვლელია, ხოლო ამ ადგილების გაცვლათაგან ჩვენთვის ყურადსაღები, ალბათ, „ატლანტასა“ და „პარმას“ ამბავია, რადგან მეოთხე პოზიცია ჩემპიონთა ლიგის საგზურს იძლევა.

ცხრილის ასეთმა ანალიზმა თუ არ დაგღალათ და ამ აბზაცამდე მოაღწიეთ, ორიოდ სიტყვით კონკრეტულ თამაშებსაც შევეხოთ. ლიდერით დავიწყოთ.

„რომამ“ „ვიჩენცას“ 2:0 მოუგო, მაგრამ მომხდარს იოლ გასეირნებას ვერავინ უწოდებს, განსაკუთრებით პირველი ტაიმის მიხედვით თუ ვილაპარაკებთ. ამას წმინდა საფეხბურთოს გარდა სხვა ლოგიკური და ფრიად მარტივი ახსნაც აქვს: შეხვედრა ვიჩენცაში კი არა, უდინეში ჩატარდა და, შესაბამისად, რომაელთა სტუმრობა მთლად სტუმრობაც არ ყოფილა. მიზეზი: წინა ტურში „ვიჩენცამ“ ბერგამოში ითამაშა, სადაც ვიჩენცელმა ქომაგებმა ორომტრიალი ატეხეს, რისთვისაც წინა კვირას მასპინძლობის უფლება ჩამოართვეს.

ფაბიო კაპელოს გუნდმა პირველი ტაიმის მიწურულს მუხლის მორიგი ტრავმის გამო გაბრიელ ბატისტუტა დაკარგა. შესაბამისად, გაჩნდა პრობლემები თავდასხმაში — ლიდერმა ანგარიში 80-ე წუთზეღა გახსნა, როდესაც ვინჩენცო მონტელამ 30 მეტრიდან მარცხენა ფეხით ბურთი „მასპინძელთა“ კარში შეაგდო. შემდეგ საქმე გაიოლდა, მეორედ დედაქალაქელებმა სამი წუთის შემდეგ გაიტანეს: გოლი ემერსონმა შეაგდო.

„რომამ“ სტუმრად ითამაშა, ესე იგი, იმ დღეს „სტადიო ოლიმპიკო“ „ლაციომ“ დაიკავა — იტალიის ჩემპიონი „ვერონას“ მასპინძლობდა. მაყურებელმა რვა გოლი იხილა, ხუთი სტუმართა, სამი კი მასპინძელთა კარში.

თუ არ გვიწყენთ, რვავე გოლის აღწერას არ შევუდგებით, საწერადაც საძაგელი საქმეა და საკითხავადაც. იმას კი ვიტყვით, რომ ანგარიში „ლაციოში“ პორტუგალიური „ბენფიკადან“ იანვარში გადასულმა ჩეხმა კარელ პობორსკიმ გახსნა და ეს გოლი მისთვის ახალი გუნდის შემადგენლობაში პირველი გახლდათ.

რაკი „ლაციო“ და იანვარი ვახსენეთ, გავიხსენოთ ისიც, რომ რომაელთა გუნდს სწორედ იანვარში გამოეცვალა მწვრთნელი — შვედი სვენ გორან ერიკსონი ინგლისის ნაკრებში გადაბარგდა, „ლაციოს“ კი იტალიის ნაკრების გადამდგარი თავკაცი, დინო ძოფი ჩაუდგა სათავეში. მას მერე „ლაციომ“ ეროვნული პირველობის შვიდი მატჩიდან ექვსი მოიგო, ხოლო ერთი ფრედ დაასრულა. ერთადერთი, რაც ძოფმა ვერ შეძლო, ჩემპიონთა ლიგაში ერიკსონის დროს გაფუჭებული საქმის გამოსწორება გახლდათ — თან „პაპა დინოს“ ბედად, საქმე მაინცდამაინც მადრიდის „რეალთან“ უნდა გამოესწორებინა.

ზემოთ „პარმაზე“ მოგახსენებდით, ვთქვით, რომ ის მეოთხე ადგილზე ავიდა, საიდანაც როგორც იქნა „ატალანტას“ უქნევ ფეხი. „პარმამ“ „პერუჯას“ უმასპინძლა და ფრიად შთამბეჭდავი ანგარიშით — 5:0 მოუგო. აღსანიშნავია, რომ პარმელებს სერია A-ში ასეთი ანგარიშით აქამდე არასდროს მოეგოთ, ხოლო პერუჯელებმა ზედიზედ მეორე მარცხი იწვნიეს.

„ატალანტამ“ კი წინა დღეს, შაბათს, „ბარისთან“ ითამაშა ფრედ 0:0. ეს გახლდათ ბერგამოელთა მეხუთე საშინაო ფრე, ხოლო „ბარის“ ამ შეხვედრაში მოპოვებულმა ქულამ ბოლო ადგილისთვის თავის დაღწევაში ვერ უშველა.

შაბათსვე გაიმართა „ფიორენტინასა“ და „ბრეშას“ თამაში, რომელიც 2:2 დამთავრდა და იმით გახლდათ საგულისხმო, რომ „ბრეშას“ შემადგენლობაში დაბრუნდა ტრავმამოშუშებული რობერტო ბაჯო (გახსოვთ, მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი?), რომელმაც ორი გოლი შეაგდო.

ოთხი წუთი იყო თამაშის დაწყებიდან გასული, როდესაც ბაჯომ ანგარიში გახსნა. ამის შემდეგ, ფლორენციელებმა (ენრიკო კიეზამ და ნუნუ გომეშმა) ორი გოლი გაიტანეს და დაწინაურდნენ, მაგრამ გომეშის გოლიდან ოთხ წუთში ბაჯომ დიდებულად შეასრულა საჯარიმო და „ბრეშამ“ ქულა მოიპოვა ანუ 20 ქულიანი „ნაპოლისა“ და „ვიჩენცას“ წინ, მე-13 ადგილზე დაიმკვიდრა ადგილი.

ხოლო, რაც შეეხება ტურის მთავარ შეხვედრას, „იუვენტუსი“ — „მილანი“, მასზე ცალკე წერილში მოგითხრობთ.

**ბაჩუნა ძიძია**

| | | სულ | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 რომა | 20 | 15 | 3 | 2 | 38:14 | 24 | 48 | 9 | 7 | 2 | 0 | 15:4 | 11 | 23 | 11 | 8 | 1 | 2 | 23:10 | 13 | 25 |
| 2 იუვენტუსი | 20 | 12 | 6 | 2 | 36:15 | 21 | 42 | 10 | 7 | 2 | 1 | 21:7 | 14 | 23 | 10 | 5 | 4 | 1 | 15:8 | 7 | 19 |
| 3 ლაციო | 20 | 12 | 4 | 4 | 39:23 | 16 | 40 | 11 | 7 | 2 | 2 | 21:10 | 11 | 23 | 9 | 5 | 2 | 2 | 18:13 | 5 | 17 |
| 4 პარმა | 20 | 9 | 5 | 6 | 29:18 | 11 | 32 | 11 | 6 | 2 | 3 | 20:9 | 11 | 20 | 9 | 3 | 3 | 3 | 9:9 | 0 | 12 |
| 5 ატალანტა | 20 | 8 | 8 | 4 | 23:16 | 7 | 32 | 11 | 4 | 5 | 2 | 11:7 | 4 | 17 | 9 | 4 | 3 | 2 | 12:9 | 3 | 15 |
| 6 უდინეზე | 20 | 9 | 1 | 10 | 34:33 | 1 | 28 | 10 | 6 | 0 | 4 | 23:16 | 7 | 18 | 10 | 3 | 1 | 6 | 11:17 | -6 | 10 |
| 7 ინტერი | 20 | 7 | 7 | 6 | 23:22 | 1 | 28 | 10 | 5 | 4 | 1 | 14:8 | 6 | 19 | 10 | 2 | 3 | 5 | 9:14 | -5 | 9 |
| 8 ბოლონია | 20 | 8 | 4 | 8 | 25:26 | -1 | 28 | 11 | 6 | 2 | 3 | 13:11 | 2 | 20 | 9 | 2 | 2 | 5 | 12:15 | -3 | 8 |
| 9 მილანი | 20 | 7 | 7 | 6 | 30:32 | -2 | 28 | 10 | 5 | 4 | 1 | 22:15 | 7 | 19 | 10 | 2 | 3 | 5 | 8:17 | -9 | 9 |
| 10 ფიორენტინა | 20 | 6 | 9 | 5 | 33:28 | 5 | 27 | 10 | 5 | 2 | 3 | 21:16 | 5 | 17 | 10 | 1 | 7 | 2 | 12:12 | 0 | 10 |
| 11 პერუჯა | 20 | 7 | 5 | 8 | 25:28 | -3 | 26 | 10 | 4 | 3 | 3 | 14:10 | 4 | 15 | 10 | 3 | 2 | 5 | 11:18 | -7 | 11 |
| 12 ლეჩე | 20 | 6 | 7 | 7 | 25:31 | -6 | 25 | 10 | 4 | 4 | 2 | 16:16 | 0 | 16 | 10 | 2 | 3 | 5 | 9:15 | -6 | 9 |
| 13 ბრეშა | 20 | 4 | 9 | 7 | 24:28 | -4 | 21 | 9 | 2 | 6 | 1 | 11:10 | 1 | 12 | 11 | 2 | 3 | 6 | 13:18 | -5 | 9 |
| 14 ნაპოლი | 20 | 5 | 5 | 10 | 22:32 | -10 | 20 | 10 | 4 | 2 | 4 | 14:14 | 0 | 14 | 10 | 1 | 3 | 6 | 8:18 | -10 | 6 |
| 15 ვიჩენცა | 20 | 5 | 5 | 10 | 20:32 | -12 | 20 | 10 | 3 | 3 | 4 | 10:13 | -3 | 12 | 10 | 2 | 2 | 6 | 10:19 | -9 | 8 |
| 16 ვერონა | 20 | 4 | 6 | 10 | 25:38 | -13 | 18 | 9 | 4 | 3 | 2 | 14:14 | 0 | 15 | 11 | 0 | 3 | 8 | 11:24 | -13 | 3 |
| 17 რეჯინა | 20 | 4 | 3 | 13 | 15:34 | -19 | 15 | 9 | 3 | 2 | 4 | 6:11 | -5 | 11 | 11 | 1 | 1 | 9 | 9:23 | -14 | 4 |
| 18 ბარი | 20 | 3 | 4 | 13 | 16:32 | -16 | 13 | 10 | 3 | 1 | 6 | 10:15 | -5 | 10 | 10 | 0 | 3 | 7 | 6:17 | -11 | 3 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| შევჩენკო (მილანი) | 15 |
| ბატისტუტა (რომა) | 14 |
| კრესპო (ლაციო) | 14 |
| უბნერი (ბრეშა) | 13 |
| კიეზა (ფიორენტინა) | 11 |
| ტოტი (რომა) | 10 |
| ლუკარელი (ლეჩე) | 10 |

### XXI ტური

3 მარტი
რეჯინა — ბოლონია
ბრეშა — ლაციო
4 მარტი
ვერონა — ატალანტა
ბარი — ფიორენტინა
რომა — ინტერი
უდინეზე — იუვენტუსი
ნაპოლი — ლეჩე
მილანი — პარმა
პერუჯა — ვიჩენცა

## სერია B

### XXIV ტური

### ტერნანა 4:0 სიენა

1:0 მერო (19), 2:0 გრაბი (58), 3:0 მერო (83), 4:0 ბორგობელო (85)

### ვენეცია 2:1 ანკონა

1:0 მანიერო (25), 2:0 ფოლიო (45), 2:1 რუსო (85)

### პისტოიეზე 2:2 რავენა

0:1 ვეკიოლა (9), 1:1 ბელოტო (14), 1:2 კრისტანტე (22), 2:2 ბიძარი (48პ)

### სამპდორია 2:0 ტორინო

1:0 ფლაკო (18), 2:0 პოსანცინი (32)

### პიაჩენცა 2:0 ემპოლი

1:0 კაზა (67პ), 2:0 გაუტიერი (87)

### პესკარა 2:0 ჩიტადელა

1:0 კარაჩოლო (11), 2:0 ქაპოზიტო (31)

### მონცა 4:2 კოზენცა

0:1 სავოლდი (9), 1:1 ძანინი (34), 2:1 ნატალი (42), 2:2 ძამპანა (58), 3:2, 4:2 განჩი (87, 92)

### კროტონე 4:3 ტრევიზო

1:0 დეფილორიო (31), 1:1 ფოჯა (42), 2:1 დეფილორიო (45), 2:2 როკი (55), 3:2 პეკორარი (65), 3:3 მურჯიტა (72), 4:3 ფიალდინი (89)

### კიევო 2:1 კალიარი

1:0 ბარონე (10), 2:0 მანფრედინი (53), 2:1 სუაზო (77)

### სალერნიტანა — ჯენოა

წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მეორე გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კიევო | 24 | 15 | 5 | 4 | 37:20 | 50 |
| პიაჩენცა | 24 | 13 | 5 | 6 | 31:16 | 44 |
| ვენეცია | 24 | 11 | 9 | 4 | 37:27 | 42 |
| კოზენცა | 24 | 12 | 6 | 6 | 29:23 | 42 |
| ტერნანა | 24 | 11 | 8 | 5 | 37:23 | 41 |
| სამპდორია | 24 | 10 | 10 | 4 | 35:22 | 40 |
| ტორინო | 24 | 12 | 4 | 8 | 28:25 | 40 |
| კროტონე | 24 | 11 | 4 | 9 | 32:34 | 37 |
| კალიარი | 24 | 9 | 9 | 6 | 37:24 | 36 |
| ემპოლი | 24 | 10 | 4 | 10 | 27:30 | 34 |
| ანკონა | 24 | 9 | 6 | 9 | 28:28 | 33 |
| სიენა | 24 | 7 | 9 | 8 | 29:31 | 30 |
| ჩიტადელა | 24 | 7 | 9 | 8 | 29:36 | 30 |
| სალერნიტანა | 23 | 7 | 7 | 9 | 23:24 | 28 |
| პისტოიეზე | 24 | 6 | 6 | 12 | 29:34 | 24 |
| ტრევიზო | 24 | 5 | 8 | 11 | 24:34 | 23 |
| ჯენოა | 23 | 4 | 9 | 10 | 21:28 | 21 |
| მონცა | 24 | 5 | 3 | 16 | 25:50 | 18 |
| რავენა | 24 | 2 | 11 | 11 | 19:35 | 17 |
| პესკარა | 24 | 2 | 10 | 12 | 18:31 | 16 |

## სერია C1/A

24-ე ტური: არეცო — კარარეზე 3:2; ბრეშელო — ალესანდრია 1:1; ჩეზენა — ალბინოლეფე 2:2; კომო — ლივორნო 0:0; ლუმეცანე — ალძანო 1:1; მოდენა — ლუკეზე 2:0; პიზა — ლეკო 0:0; სპალ — რეჯანა 1:0; სპეცია — ვარეზე 1:2

## სერია C1/B

24-ე ტური: ატლეტიკო — აველინო 0:3; ტორესი — ბენევენტო 1:0; ლოდიჯანი — დი სანგრო 0:1; საცოლო — კატანია 1:2; ასკოლი — ფ. ანდრია 3:0; პეზარო — ჯულიანოვა 0:1; ნოჩერინა — მესინა 0:0; პალერმო — ვიტერბეზე 3:0. აკილა — ფერმანა გადაიდო

იტალიის ჩემპიონატი
მეოცე ტურის მატჩი

## იუვენტუსი 3:0 მილანი

კახა კალაძე: 69 წუთი

# ზიდანი კალაძემდე და კალაძის მერე

„იუვენტუსის“ მწვრთნელი კარლო ანჩელოტი: „პირველ ტაიმში თამაში ვერ ავაწყეთ, რადგან ზიდანს ძალიან მჭიდროდ მეურვეობდნენ“.

ესეც ჩვენი წერილის ამოსავალი წერტილი. „სარბიელის“ მკითხველს ტურინის „სტადიო დელე ალპიზე“ „იუვენტუსსა“ და „მილანს“ შორის გამართული მატჩი ხომ სწორედ ამ კუთხით აინტერესებს — ზინედინ ზიდანს მილანელთაგან საქართველოს ნაკრების წევრი კახა კალაძე მეურვეობდა.

მაშ ასე, ანჩელოტი ამბობს, რომ კალაძემ ზიდანი პირველ ტაიმში, საფეხბურთო ჟარგონით რომ ვთქვათ, დაკეტა.

მეორე ტაიმში?

რადგან შეხვედრა ჩვენში იოლად ხელმისაწვდომმა რუსულმა ტელეარხმა, „HTB ფუტბოლმა“ გადასცა, ეჭვი არაა, მას ქართველი გულშემატკივრის მოზრდილი ნაწილი ნახავდა და საკუთარი შეხედულებაც ექნებათ ჩამოყალიბებული. ეს ნაწილი, ალბათ, დაგვეთანხმება, რომ კალაძე ზიდანს ფრიად ღირსეულად ებრძოდა ასეთ შემთხვევაში მიღებული ყველა ხერხის გამოყენებით. ასევე იქცეოდა მის მიმართ ზიდანიც (და საერთოდაც, მოედანზე ძირითადად ორთაბრძოლებს ვხედავდით, რაც მაღალი ტემპისა და მატჩის მნიშვნელობის გამო ხშირად მსაჯის სასტვენით თავდებოდა), მაგრამ რაც უფრო ხურდებოდა მეორე ტაიმი, ანუ მატჩი დასასრულისკენ მიდიოდა, მით უფრო იკვეთებოდა „იუვენტუსის“ უპირატესობა, ხოლო კალაძისა და ზიდანის დუელი საფინალო სასტვენამდე 21 წუთით ადრე კალაძის ტრავმით (კოჭის ამობრუნება) და მოედნიდან გასვლით დასრულდა.

ზიდანმა აჯობა თუ კალაძემ? ვფიქრობთ, „იუვენტუსმა“. თუ გავითვალისწინებთ, რომ ზიდანის გუნდმა 3:0 მოიგო და ფრანგმა მესამე გოლი (თან საუცხოო) გაიტანა, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მისთვის არავის უჯობნია. ხოლო თუ გავითვალისწინებთ, რომ სანამ კალაძე მოედანზე იყო, იუვენტუსელი შეზღუდული გახლდათ და რამდენიმე ჩვეულებრივი გადაცემის გარდა არაფერი გაუკეთებია (ამაში ანჩელოტიც გვეთანხმება), შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართველმა ამოცანას თავი გაართვა.

ცნობისთვის: „რაიუნოს“ ექსპერტებმა კახა კალაძეს თანაგუნდელთაგან ყველაზე მაღალი შეფასება, 6,5 ქულა მისცეს.

ისევ ანჩელოტი: „ფსიქოლოგიურად კარგად ვყოფილვართ მომზადებული. თქვენ წარმოიდგინეთ, ჩემმა ფეხბურთელებმა იცოდნენ, რომ „რომამ“ მოიგო და, მიუხედავად ამისა, წაგების შიში გულში წამითაც არ შეპარვიათ. თამაში ბოლო წამამდე ვაკონტროლეთ. შეუდარებელი გახლდათ დავიდსი, თუმცა ამაში ახალი არაფერია. ჩინებულად ითამაშა დელ პიერომაც“.

„მილანის“ თავკაცი ალბერტო ძაკერონი: „მეორე გოლამდე თანაბრად ვიბრძოდით, ინძაგის გოლის მერე კი ჰელვეგი დაგვიშავდა და ეს დიდი დანაკლისი გახლდათ. ამის შემდეგ ძალა ვეღარ ალვიდგინეთ. ბიჭებს ვერაფერს ვუსაყვედურებ. მესმის, ასეთ დროს შეიძლება გამარჯვების რწმენა დაგეკარგოს“.

და ბოლოს, ძაკერონი კალაძის შესახებ: „კალაძემ ზიდანს ძალიან ეფექტური მეურვეობა გაუწია. ზიდანი, ფაქტობრივად, მხოლოდ მაშინ ჩაერთო თამაშში, როდესაც ქართველი დაშავდა...“

**ბაჩუნა ძიძია**


საერთო აზრი მატჩის შემდეგ: კალაძე ზიდანს მაგრად დაუდგა

## შოტლანდია

XXIX ტური

**დანდი 0:1 რეინჯერსი**

0:1 კონტერმანი (76)
სარამ ვერ გაიტანა პენალტები (55, 73, ააცილა)
დოდსმა ვერ გაიტანა პენალტი (86, ააცილა)
დანდი: როკატი, სმიტი, კოინი, ტვიდი, გარიდო, არტერო, ნემსაძე, დე მარკი, რაე, სარა, კანიჯა
მწვრთნელი: ივანო ბონეტი
რეინჯერსი: კლოსი, კონტერმანი, ამორუზო, უილსონი, ბორიანი, ფერგიუსონი, თუგაი, მალკოლმი, მაკკანი (მილერი 73), ჯონსტონი (დოდსი 55), ფლო
მწვრთნელი: დიკ ადვოკაატი
გაფრთხილება: დე მარკი, ფერგიუსონი, კონტერმანი, ამორუზო
9 778 მაყურებელი

**სელტიკი 1:1 ჰიბერნიანი**

1:0 მიალბი (23), 1:1 ლიბრა (84)

**ჰართსი 7:1 დანფერმლაინი**

1:0 ადამი (5), 2:0 კირკი (27), 3:0 კამერონი (31), 4:0 ადამი (39), 5:0 კამერონი (46), 5:1 დეირი (50), 6:1 კირკი (59), 7:1 ტომაშეკი (67)

**კილმარნოკი 0:0 დანდი იუნაიტედი**

**სენტ მირენი 0:1 მოზერუელი**

0:1 ტოუნსლი (74)

**აბერდინი — სენტ ჯონსტონი**

დიდთოვლობის გამო გადაიდო

## პატარა კარი დიდია?


სელტიკი — ჰიბერნიანი 1:1. ფრანკ სოზემ და ედინბურგელებმა კრის სატონის (მარცხნივ) გუნდს „პარკჰედზე“ პირველი ორი ქულა დააკარგვინეს

გორისა არ იყოს, გააჩნია ვისთვის როგორ. არგენტინელი ხუან სარასთვის, „დანდიში“ რომ თამაშობს, შვიდმეტრიანი საფეხბურთო კარი შაბათს ისე დაპატარავდა, სტუმართა მეკარე შტეფან კლოსიც კი აღარ გახდა საჭირო — დანდელთა საუკეთესო ბომბარდირმა ორი პენალტი ააცილა.

პირველი, 45-ე წუთზე, სწორედ სარას წაქცევისთვის დაინიშნა, თუმცა გლაზგოელები მიიჩნევდნენ, რომ მათმა მცველმა სკოტ უილსონმა წესები საჯარიმოს გარეთ დაარღვია. დაზარალებული გამოქანდა და ბურთი ზედა ძელს გადააცილა.

შემდეგი თერთმეტმეტრიანი „დენს პარკზე“ თავშეყრილმა საზოგადოებამ 73-ე წუთზე იხილა. ამჯერად სტუმართა იტალიელმა ლორენცო ამორუზომ დანდელთა კერპი კლაუდიო კანიჯა მოცელა, მაგრამ თანამემამულის გარჯა სარამ კვლავ წყალს გაატანა, ოღონდ ახლა ბურთმა მარჯვენა ძელს ჩაუქროლა.

მოვლენებს ოდნავ რომ გავუსწროთ, ბარემ ისაც ვთქვათ, რომ აცილებული პენალტების რაოდენობა საფინალო სასტვენამდე ოთხი წუთით ადრე გასამდა, როცა უკვე როკატის კარში ბილი დოდსმა ვერ მოახვედრა — ბურთმა მარცხენა ძელთან ჩაიწუილა.

„ეს წარმოუდგენელი რამ იყო. ამდენი ხანია, ფეხბურთში ვმოღვაწეობ და ამგვარი არაფერი მინახავს. ჩვენ გაგვიმართლა“ — აღიარა „რეინჯერსის“ ჰოლანდიელმა თავკაცმა დიკ ადვოკაატმა, ვინც სარას „ქორბუდობასთან“ ერთად გამართლებაში ისიც იგულისხმა, მეორე გაცუდებული პენალტიდან ორ წუთში კონტერმანმა 25 მეტრიდან რომ შეაგდო. მწვრთნელს მცველი უილსონიც დაეთანხმა: „სარამ რომ მეორედ ააცილა, გავიფიქრე, ნეტავ ფრეს მივაღწიოთ-მეთქი. არ მეგონა, თუ დარჩენილ დროში გოლის გატანას შევძლებდით“.

მართალია — პენალტებს რომ თავი ვანებოთ, დანდელებს სხვა მომენტებიც ჰქონდათ, ერთ ეპიზოდში კი, როცა ნემსაძემ 20 მეტრიდან ბურთი არტეროს ფეხზე დაასვა, ამის დარტყმულმა ძელი შეაზანზარა. ამიტომაც წერს გაზეთი „სკოტსმენი“: „დანდის“ მეტი იღბალი რომ ჰქონოდა, სანამ გაუშვებდა, სულ მცირე, სამი უნდა გაეტანა. ისე, ერთი ამორუზონაირი მცველიც რომ ჰყოლოდა, არც იმ გოლს გაუშვებდა“.

და რას ამბობს თავად სარა? „მეორე რომ ზუსტად დამერტყა, უეჭველი მოვიგებდით... აქამდე პენალტი ცხოვრებაში არასდროს ამიცილებია... „დანდის“ შემდეგ თერთმეტმეტრიანს ისევ მე შევასრულებ...“

არ ვიცით, რას ფიქრობს ურცხვი არგენტინელის ამ გამოთქმაზე მწვრთნელი ივანო ბონეტი, ის კი ცნობილია, რომ ამ კაცს არგენტინელების მიმართ დიდი ლტოლვა გააჩნია — შაბათს „დანდის“ ძირითადში დებიუტი ჰქონდა ესპანური „ლერიდადან“ სეზონის ბოლომდე ნათხოვარ ბეტო გარიდოს, ვისაც კარიერა მშობლიურ „ბოკა ხუნიორსში“ დაუწყია.

კიდევ ერთი დებიუტანტი და ასევე ნათხოვარი (ფრანგული „ტულუზიდან“) მარკ ლიბრა კი ტურის გმირად აღიარეს. „ჰიბერნიანის“ ახალი თავდამსხმელი გადაჭედილი „პარკჰედის“ მოედანზე მაშინ გამოჩნდა, როცა მასპინძელი სელტიკელები მინიმალურად იგებდნენ — გოლი შვედმა, ოღონდ არა ლარსონმა, არამედ იოჰან მიალბიმ გაიტანა 23-ე წუთზე. ჰოდა, გამოვიდა ფრანგი და დამთავრებამდე 6 წუთით ადრე გლაზგოელებს ამ სეზონში შინ პირველი ორი ქულა დააკარგვინა. დიახ — აქამდე „სელტიკს“ მშობლიურ „პარკჰედზე“ ყველა თამაში მოეგო. „ჰიბერნიანის“ მწვრთნელი ალექს მაკლიში სიხარულს არ მალავდა, არადა, მისი გუნდი მესამე ადგილისკენ ჩაცურდა: „ჩვენი მიზანი უეფას თასზე გასვლაა, თუმცა „რეინჯერსს“ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე გასასვლელ ადგილს ჯერ კიდევ შევეცილებით“.

უქმეების კიდევ ერთი თვალსაჩინო მოვლენა ედინბურგის მატჩი გახდა. „დანფერმლაინი“ იქაურ „ჰართსს“ ზედიზედ ხუთი გამარჯვებით ფრთაშესხმული ესტუმრა, მაგრამ ისე შერცხვა, პრემიერლიგურ საზოგადოებაში თავი კარგა ხანს ალარ გამოეყოფა — 1:7.

**გიგა ძოძაძიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 28 | 23 | 4 | 1 | 72:22 | 73 |
| რეინჯერსი | 27 | 19 | 3 | 5 | 54:25 | 60 |
| ჰიბერნიანი | 28 | 17 | 8 | 3 | 50:19 | 59 |
| კილმარნოკი | 28 | 13 | 5 | 10 | 34:36 | 44 |
| ჰართსი | 29 | 11 | 7 | 11 | 45:41 | 40 |
| დანფერმლაინი | 29 | 10 | 7 | 12 | 28:41 | 37 |
| მოზერუელი | 29 | 10 | 5 | 14 | 34:42 | 35 |
| დანდი | 28 | 8 | 7 | 13 | 37:35 | 31 |
| სენტ ჯონსტონი | 27 | 7 | 10 | 10 | 27:38 | 31 |
| აბერდინი | 26 | 6 | 9 | 11 | 28:40 | 27 |
| დანდი იუნ. | 28 | 3 | 6 | 19 | 21:52 | 15 |
| სენტ მირენი | 29 | 4 | 3 | 22 | 19:58 | 15 |

## შვეიცარია

A ჯგუფი

I ტური

**ლოზანა 1:1 ციურიხი**

0:1 ყაველაშვილი (73), 1:1 გომეში (93)
ციურიხი: პასკოლო, ფიშერი, ჯანინი, პალასი, ანდრეოლი, შელდმანი, ბიულმანი, შელინგა, ყაველაშვილი, დელ სინიორე, ჯამარაული
მწვრთნელი: ჟილბერ გრესი
5 000 მაყურებელი

**გრასჰოპერი 2:1 სენტ გალენი**

0:1 კონტინი (35), 1:1 დიობი (49), 2:1 კამარა (69)

**ლუგანო 1:1 სიონი**

0:1 ბუბონე (36), 1:1 თურქილმაზი (44)

**სერვეტი 3:0 ბაზელი**

1:0 პეტროვი (15), 2:0 ფრეი (33), 3:0 ორუმა (74)

პარასკევს დაიწყო შვეიცარიის ჩემპიონატის მეორე ანუ ფინალური ეტაპი, რომელსაც ქვეყნის რვა საუკეთესო კლუბი განახევრებული ქულებით შეხვდა.

მიხეილ ყაველაშვილისა და გოჩა ჯამარაულის „ციურიხმა“ ფინალური ეტაპის საგზური გაჭირვებით მოიპოვა და ბოლო, მერვე ადგილზე გავიდა.

შაბათს, განახლებული ჩემპიონატის პირველივე ტურში ციურიხელებს მეხუთე საფეხურამდე აღზევების ჩინებული შანსი მიეცათ. სტუმრად „ლოზანასთან“ მატჩის 73-ე წუთზე მასპინძელთა კართან სახიფათო მომენტი შეიქმნა — ციურიხელთა იერიშისას ბურთი ყაველაშვილს მიუვიდა, რომლის პირველი დარტყმაც მეკარემ მოიგერია, დამატებაზე ისევ ქართველმა თავდამსხმელმა ივარგა, ყველას დაასწრო და ხელმეორე დარტყმით ანგარიში გახსნა. „ლოზანა“ ვა-ბანკზე წავიდა, „ციურიხს“ გააფთრებით შეუტია, თუმცა თავად დაცვა მოიშიშვლა და მეტოქეს კონტრშეტევის საშუალება მისცა, მაგრამ რისკმა გაამართლა. მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე პორტუგალიური წარმოშობის შვეიცარიელმა ვაგნერ გომეშმა ივაჟკაცა და 2 ათასზე მეტი ქომაგი გაახარა.

მნიშვნელოვანი ორი ქულა დაკარგა ლიდერმა „ლუგანომ“, რომელმაც შინ „სიონს“ ვერ მოუგო. პირველი ტაიმის მიწურულს მასპინძელთა კომბინაცია კუბილაი თურქილმაზმა ზუსტი თავურით დააგვირგვინა. ეს გოლი თურქი ფეხბურთელისთვის 138-ე იყო შვეიცარიის ჩემპიონატში, თუმცა მხოლოდ პირველი — „ლუგანოს“ შემადგენლობაში. ექსგრასჰოპერელის გოლმა საბოლოოდ ფრე დააფიქსირა, რადგან მანამდე, მე-40 წუთზე ბაუბონემ „სიონი“ დააწინაურა.

„სენტ გალენის“ ძლევის შემდეგ მეორე ადგილზე გადაინაცვლა „გრასჰოპერმა“. „კალიებმა“ წაგებული პირველი ტაიმის შემდეგ შეძლეს თამაშის შემოტრიალება. ჯორჯო კონტინის პირველ ნახევარში გატანილი გოლი, 49-ე წუთზე პაპა დიოპმა გაქვითა, მერე კი კამარამ „ლუგანოსა“ და „გრასჰოპერს“ შორის სხვაობა ქულამდე შეამცირა.

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ლუგანო | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 22 | (21) |
| გრასჰოპერი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 21 | (18) |
| სენტ გალენი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 20 | (20) |
| სერვეტი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 20 | (17) |
| ლოზანა | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 19 | (18) |
| ბაზელი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 17 | (17) |
| სიონი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 17 | (16) |
| ციურიხი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 17 | (16) |

*ფრჩხილებში მითითებულია I ეტაპზე მოპოვებული განახევრებული ქულები*

**A/B ჯგუფი**

I ტური

**არაუ 0:2 ბელინცონა**

0:1 ბუნარი (13), 0:2 მანფრედა (43)
არაუ: ბენიტო, ფიხტერი, პავლიჩევიჩი, ბადერი, ეგიმენი, სკრეპჩაკი, ბაუდრი, დეგენი (ბალდასარი 46), ვიდერკერი, პერეირა (ხოშერიძე 69), დე ნაპოლი (გრეკო 69)
მწვრთნელი: როლფ ფრინგერი
1 900 მაყურებელი

**ვილი 0:0 იანგ ბოიზი**

**ძსამაძსი 1:1 ივერდონი**

1:0 მიხაელი (30), 1:1 ბამბა (35)

**ვინტერთური 1:2 ლუცერნი**

0:1 პასკალე (4), 1:1 ვისი (6), 1:2 პოლეტი (52)

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტრისტანი და მადრიდი

## ესპანეთი

### XXIV ტური

**ბარსელონა 3:0 სოსიედადი**

1:0 კლუივერტი (37), 2:0 ლოპეს რეკარტე (60ა.კ.), 3:0 ხავი (78)
ბარსელონა: რეინა, სერხი, ფ. დე ბური (ხერარდი 80), აბელარდო, ოვერმარსი, ლუის ენრიკე, კოკუ, გვარდიოლა (ხავი 74), გაბრი, კლუივერტი (დანი 86), რივალდო
მწვრთნელი: ლორენს სერა ფერერი
სოსიედადი: ალბერტო, არანსაბალი, ლოპეს რეკარტე, ფუენტესი, ჟულიო სეზარი, კორინო, ლორენი, ხოხლოვი (ლორენტე 65), ლუის ალბერტო, ტაიფუნი (ხაბი ალონსო 70), იანკაუსკასი (დე პაულა 46)
მწვრთნელი: ჯონ ტოშაკი
გაფრთხილება: კოკუ, კორინო, კლუივერტი
45 000 მაყურებელი

**დეპორტივო 2:2 რეალი**

0:1 ჰელდერი (7ა.კ.), 0:2 ფიგუ (45პ), 1:2 ჯალმინია (51პ), 2:2 დიეგო ტრისტანი (84)
დეპორტივო: სონგო, რომერო, ჰელდერი, მანუელ პაბლო, ფრანი (სკალონი 71), ჯალმინია, ვიქტორი (ტურუ ფლორესი 85), ემერსონი (დიეგო ტრისტანი 80), მაურო სილვა, დონატო, მაკაი
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
რეალი: კასილიასი, სალგადო, რობერტო კარლოსი, იერო, კარანკა, ელგერა, სელადესი, სოლარი (მაკმანამანი 59), გუტი (მორიენტესი 80), ფიგუ, რაული
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
გაფრთხილება: ჯალმინია, სკალონი
35 000 მაყურებელი

**რასინგი 2:1 მალიორკა**

1:0 მაცონი (19), 1:1 მარკოსი (40), 2:1 კოლსა (45)
რასინგი: სებალიოსი, ხუანმა, რამისი, არსენო, მელბერგი, რეგუერო (მაგალიანესი 87), მაცონი, ისმაელი, კოლსა (ქაპინია 74), ამავისკა, ხულიო ალვარესი (მანხარინი 80)
მწვრთნელი: გრეგორიო მანსანო
მალიორკა: ლეო ფრანკო, ნადალი, ფერნანდო ნინიო, მიგელ სოლერი, ოლაიზოლა, კარერასი (რიერა 70), ენგონგა, ფინიდი (ნოვო 63), მარკოსი, ლუკა, კარლოსი (ბიაჯინი 55)
მწვრთნელი: ლუის არაგონესი
გაფრთხილება: ისმაელი, ლეო ფრანკო
16 000 მაყურებელი

**ბილბაო 3:1 ნუმანსია**

1:0 ეჩებერია (39), 2:0 ხავი გონსალესი (48), 2:1 ხოსე მანუელი (67), 3:1 ურსაისი (78)
ბილბაო: ლაფუენტე ლასა, ლაკრუსი, ი. ლარაინსარი, ი. გერერო (ტიკო 70), ალკისა, ურუტია, ოსკარ ვალესი, ურსაისი (ფელიპე 87), ხავი გონსალესი (იესტე 70), ხ. ეჩებერია
მწვრთნელი: ფრანსისკო ჩიჩო როხო
ნუმანსია: ნუნიესი, პაჩეტა, სორია, ანტია, მანელი, კაკო მორანი (ხოსე მანუელი 51), ნაგორე, ოქტავიო, ივან პერესი (რუბენ ნავარო 75), ოხედა, ინიაკი (როსუ 79)
მწვრთნელი: მარიანო გარსია რემონი
გაფრთხილება: ლარაინსარი, ანტია, ურუტია, ეჩებერია, მანელი
32 000 მაყურებელი

**მალაგა 2:1 ლას პალმასი**

0:1 იარნი (16), 1:1 დელი ვალდესი (71), 2:1 ლარაინსარი (94)
მალაგა: რატა, დ. ლარაინსარი, ბრავო, რობასი, ისნატა (აგოსტინიო 46), ზარატე (კანაბალი 79), მოვილია (სანდრო 46), დე ლოს სანტოსი, რუფეტე, დარიო სილვა, დელი ვალდესი
მწვრთნელი: ხოაკინ პეირო ლუკასი
ლას პალმასი: პიკოვიჩი, რამონი, პაკუი, შურერი, ალვარო, ხოსიკო (მ. მოლინა 84), იარნი, ედუ ალონსო, ტურდო, გიარე (რუბენი 90), ანხელი (მორენო 75)
მწვრთნელი: სერჯიო კრესიჩი
გაფრთხილება: პაკუი, იარნი, ანხელი, მორენო, რამონი
14 000 მაყურებელი

**ვალენსია 3:1 ვილიარეალი**

1:0 კარეუ (18), 1:1 კიკე ალვარესი (34), 2:1, 3:1 კარეუ (47, 83)
ვალენსია: კანისარესი, ანგლომა, პელეგრინო, ჯუკიჩი, აიალა, ბარახა, მენდიეტა (ალბელდა 82), კილი გონსალესი (ვისენტე 85), აიმარი, კარეუ, ხუან სანჩესი
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
ვილიარეალი: ლოპეს ვალეხო, არუაბარენა, კიკე ალვარესი, უნაი (ბერუე 61), ამორი, კანია, ხავი გარსია (ხავი როკა 67), გალვანი, ვიქტორი, პალერმო, ხორხე ლოპესი (კრაიოვიანუ 74)
მწვრთნელი: ვიქტორ მანრიკე
გაფრთხილება: ხუან სანჩესი, ვიქტორი, პელეგრინო, კრაიოვიანუ
53 000 მაყურებელი

**ვალიადოლიდი 2:0 სარაგოსა**

1:0 კამინერო (20), 2:0 ეუსებიო (78)
ვალიადოლიდი: ბიზარი, მარკოსი, პაინცე, გარსია კალვო, ტორეს გომესი, ფერნანდო, ანტონიო ლოპესი (ჩირიჩი 60), ხესუსი, ეუსებიო, კამინერო (ფერნანდო სალესი 41), პაჩონი (რიკეტი 86)
მწვრთნელი: ფრანსისკო ფერარო
სარაგოსა: ხუანმი, პაბლო, პაკო ხემესი, აგუადო, გურენკო, ხოსე იგნასიო, არაგონი (იორდი 68), ხუანელე (ფერონი 80), მარტინ ველისკა, ჟამელი (გარიტანო 68), ქსნაიდერი
მწვრთნელი: ლუის კოსტა
გაფრთხილება: პაბლო
12 000 მაყურებელი

**ოვიედო 2:3 ოსასუნა**

1:0 ოლი (14), 2:0 ტომიჩი (45პ), 2:1, 2:2 ალექსი (52, 67პ), 2:3 საბინო (69)
ოვიედო: ესტებანი, ონოპკო, ბორისი (ხუან გონსალესი 77), დანჯუ, ხენი, ივან ანია, ი. ტომიჩი, გასპარი, კეიტა (დორონსორო 69), ოლი, პაუნოვიჩი
მწვრთნელი: რადომირ ანტიჩი
ოსასუნა: ნუნო, ვიდაკოვიჩი (იანგუსი 46), ივან პერესი, კრუჩაგა, ლორენსი, ალექსი, განჯედო, ალფრედო, ალფონსო, ივან როსადო (ლეკუმბერი 82), საბინო (კუკო სიგანდა 90)
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
გაფრთხილება: ალფრედო, კეიტა, პაუნოვიჩი, ივან ანია, გასპარი
20 000 მაყურებელი

**ალავესი 2:2 სელტა**

1:0 ხავი მორენო (32), 2:0 ტომასი (69ა.კ.), 2:1 მოსტოვოი (72), 2:2 ედუ (89)
ალავესი: ერერა, იბონ ბეგონია (მაგნო 61), ჯელი, ტელიესი, ეგენი, კონტრა, ჟ. ტომიჩი, პაბლო (ასკოიტია 68), დესიო, ხავი მორენო, კრუიფი (სარიერი 80)
მწვრთნელი: ხოსე მანუელ ესნალ პარდო
სელტა: კავალიერო, იაგო, ბერიზო, კასერესი, ველასკო (გუსტავო ლოპესი 64), ხესული (მოსტოვოი 64), ტომასი, ედუ, ხაიო, ვაგნერი (ჯოვანელა 79), კატანია
მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი
გაფრთხილება: ტელიესი, ვაგნერი, ჯელი, ტომიჩი, მოსტოვოი, მაგნო
13 232 მაყურებელი

**რაიო ვალეკანო 1:1 ესპანიოლი**

0:1 ველამაზანი (23), 1:1 ბოლო (53)
რაიო ვალეკანო: კელერი, მინგო, დე კინტანა, ბალესტეროსი, ალკასარი (ბარტელტი 46), მიჩელი, სემზრანოსი (სეტვალსი 70), გლაუჩიო, ჰელდერი (ბოლიჩი 46), პოშნერი, ბოლო
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
ესპანიოლი: მორა, კრისტობალი, როტჩენი, გალკა, სერხიო, როხერი (ლარდინი 80), სოლდევილა, ნავასი, ნაშიზავა (მარტინ პოსე 56), ველამაზანი, ტამუდო
მწვრთნელი: ფრანსისკო ბაკო ფლორესი
გაფრთხილება: დე კინტანა, გლაუჩიო, ბალესტეროსი, მარტინ პოსე
გაძევება: ტამუდო (33)
9 000 მაყურებელი


REUTERS

დეპორტივო — რეალი 2:2. ლუიშ ფიგუს (მარცხნივ) ბურთს ლაკორუნიელი მაურო სილვა ეცილება

**„ალავესი"** 2:0 იგებდა და ბოლო თოთხმეტ წუთში ორი გოლი გაუშვა. „ოვიედოც" 2:0 იგებდა და სულაც წააგო, თუმცა უფრო საინტერესო ამბები ლა კორუნიაში დატრიალდა.

სატურნირო ვითარება იმდაგვარი გახლდათ, რომ სეზონის დასრულებამდე თხუთმეტი ტურით ადრე ესპანელებმა „დეპორტივო" — „რეალი" საჩემპიონო ბრძოლად გამოაცხადეს. მართლაც, ორივე გუნდი სუსტ მეტოქეებთან უხალისოდ კარგავს ქულებს და მადრიდელთა გამარჯვების შემთხვევაში შვიდქულიანი სხვაობა ლაკორუნიელთათვის ნამდვილ უფსკრულად იქცეოდა.

მატჩი დასრულდა, ინტრიგა კი დარჩა: გალისიელთა თამაში მოწმობს, რომ „რეალისთვის" ჩემპიონის ტიტულის მოპოვება არც ისე იოლი იქნება.

მთელი პირველი ტაიმი „დეპორტივო" გვარიან უპირატესობას ფლობდა, თუმცა შესვენებამდე ორი ბურთი გაუშვა: მე-6 წუთზე მიჩელ სალგადოს ჩაწოდებული ბურთი მარინო ჰელდერმა თავით საკუთარ კარში შეაგდო. ტაიმის ბოლო წუთზე გუტის წაქცევისთვის დანიშნული საეჭვო პენალტი ლუიშ ფიგუმ გაიტანა.

მსაჯმა ფეხბურთელებს კვლავ მინდორზე უხმო და ლუიშ ფიგუმ ჯალმინია წააქცია. პენალტი თავად ბრაზილიელმა შეასრულა. სხვათა შორის, ჯალმინია მატჩში საუკეთესო იყო.

ბრძოლა კიდევ უფრო გამწვავდა და ბლომად სახიფათო მომენტებიც შეიქმნა, მაგრამ მეკარეები უნაკლოდ თამაშობდნენ. თამაშის დასრულებამდე ათი წუთიღა რჩებოდა. დონატომ ხარიხას გაარტყა, ენრიკე რომერომ — ძელს (მასპინძლებს იქამდეც ორჯერ გაერტყათ ძელისთვის) და ხავიერ ირურეტამ მოედანზე დიეგო ტრისტანს უხმო. ყოფილმა მალიორკელმა, რომლისთვისაც სეზონის წინ „რეალის" სელექციონერებსაც დაედგათ თვალი, ჯალმინიასგან პასი მიიღო და ნანატრი გოლიც გაიტანა.

მატჩის წინ ვწერდით, რომ „რეალს" ლა კორუნიაში ცხრა წელი არ მოეგო, ახლა კი მეათეც მიემატა.

ხავიერ ირურეტა შედეგით უკმაყოფილო დარჩა. მოგებას ვიმსახურებდით, თქვა „დეპორტივოს" მწვრთნელმა. „რეალის" ჯავრი გალისიელმა ქომაგებმა ჯერ კიდევ მატჩის დაწყებამდე იყარეს — სტადიონზე მიმავალ მადრიდელთა ავტობუსს ქვები დაუშინეს და ფანჯრები ჩაუმსხვრიეს.

პატრიკ კლუივერტს გოლის გემო დავიწყებული ჰქონდა — წინა ცხრა თამაშში არ გაეტანა. ახლა მადა გაეხსნა, ერთი არ იკმარა და მეორეც მიაყოლა — სანსებასტიანელ მცველებს შუაში გაუძვრა და მეკარე ალბერტოსაც თავზე გადაუგდო.

თუმცა ორი რაა, როცა იონ კარეუმ ჰეთ თრიქი გააჩერხა. აღსანიშნავია, რომ ეს ნორვეგიელის პირველი ესპანური ჰეთ თრიქია. დამსახურება არც სხვა ვალენსიელებს უნდა დავუკარგოთ. კარეუს პირველი გოლი პაბლო აიმარის საკუთარი ნახევრიდან წამოწყებულ კომბინაციას მოჰყვა, ხოლო მეორე მაურისიო პელეგრინოს ასევე საკუთარი ნახევრიდან ჩაწოდებულ პასს. კარეუს მესამე და ვილიარეალელი კიკე ალვარესის ერთადერთი — თავსურებით გავიდა.

ამ შედეგმა „ვილიარეალი" თავის ადგილას დატოვა, სამაგიეროდ [illegible] ოთხეულში [illegible] ამაზე ლაპარაკი ნაადრევიც [illegible], მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, „ვილიარეალმა" ან ვინმემ „რეალი", „დეპორტივო", „ვალენსია" და „ბარსელონა" ოთხეულიდან გამოაგდოს.

თავში „ოვიედოს" მარცხი ვახსენეთ. გავიხსენოთ, რომ ეს გუნდი შინ ყველას ამარცხებდა და ოდენ „ბარსელონასთან" და „ვილიარეალთან" წაეგო. „ოსასუნა" „ბარსა" არაა, მაგრამ პატარა სასწაული კი ჩაიდინა. მეორე ტაიმში პამპლონელებმა დიდებულად ითამაშეს და საკითხავი ისაა, ამდენი თუ შეეძლოთ, ჯერაც ბოლო ადგილზე რატომ არიან. ისე, თუ დააკვირდით, სტენ კოლიმორის ყიდვის მერე „ოვიედოს" საქმეები სულ უფრო და უფრო ცუდად მიდის.

უეფას თასზე „ინტერთან" საშინაო მატჩში „ალავესი" ორი ბურთით აგებდა და გაათანაბრა. ახლა ვიტორიელებს იგივე დაემართათ, რაც თავად დამართეს იტალიელებს.

ხავი მორენოს ფრთები შეესხა, კამაჩომ რომ ეროვნულ გუნდში მიიწვია, სეზონში მეჩვიდმეტე გოლი შეაგდო და ვიგოელმა ტომასმა კი მოგვიანებით საკუთარი კარი დალაშქრა. წესით. რიგით, „სელტას" დონის გუნდს ამის მერე ფარ-ხმალი უნდა დაეყარა, მაგრამ გავიხსენოთ, რომ ალექსანდრ მოსტოვოის გვიანმა გოლმა შუა კვირაში „სელტა" უეფას თასის მეოთხედფინალში გაიყვანა და რუსმა ახლაც იყოჩაღა — სხვაობა ერთ ბურთამდე შეამცირა, რასაც ბრაზილიელი ედუს გოლიც მოჰყვა.

ახლა ვიგოელებს ზედიზედ ექვსი წაუგებელი თამაში დაუგროვდათ და მათი მწვრთნელი ვიქტორ ფერნანდესიც, როგორც ჩანს, გადარჩა — მის გუნდს იქამდე ცხრა თამაში არ მოეგო და, ცხადია, გაგდება ემუქრებოდა.

**გიორგი დარჯანია**

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | რეალი | 24 | 16 | 4 | 4 | 54:27 | 27 | 52 | 11 | 10 | 0 | 1 | 32:9 | 23 | 30 | 13 | 6 | 4 | 3 | 22:18 | 4 | 22 |
| 2 | დეპორტივო | 24 | 14 | 6 | 4 | 47:26 | 21 | 48 | 12 | 9 | 3 | 0 | 26:6 | 20 | 30 | 12 | 5 | 3 | 4 | 21:20 | 1 | 18 |
| 3 | ვალენსია | 24 | 13 | 6 | 5 | 39:17 | 22 | 45 | 13 | 10 | 1 | 2 | 26:6 | 20 | 31 | 11 | 3 | 5 | 3 | 13:11 | 2 | 14 |
| 4 | ბარსელონა | 24 | 13 | 4 | 7 | 51:34 | 17 | 43 | 12 | 9 | 1 | 2 | 33:13 | 20 | 28 | 12 | 4 | 3 | 5 | 18:21 | -3 | 15 |
| 5 | ვილიარეალი | 24 | 11 | 5 | 8 | 32:27 | 5 | 38 | 11 | 5 | 4 | 2 | 13:11 | 2 | 19 | 13 | 6 | 1 | 6 | 19:16 | 3 | 19 |
| 6 | მალიორკა | 24 | 10 | 8 | 6 | 33:31 | 2 | 38 | 11 | 7 | 3 | 1 | 20:13 | 7 | 24 | 13 | 3 | 5 | 5 | 13:18 | -5 | 14 |
| 7 | რაიო ვალეკანო | 24 | 8 | 10 | 6 | 43:38 | 5 | 34 | 13 | 6 | 5 | 2 | 25:14 | 11 | 23 | 11 | 2 | 5 | 4 | 18:24 | -6 | 11 |
| 8 | ალავესი | 24 | 10 | 4 | 10 | 34:31 | 3 | 34 | 13 | 7 | 2 | 4 | 18:12 | 6 | 23 | 11 | 3 | 2 | 6 | 16:19 | -3 | 11 |
| 9 | ბილბაო | 24 | 9 | 6 | 9 | 33:36 | -3 | 33 | 12 | 8 | 2 | 2 | 26:15 | 11 | 26 | 12 | 1 | 4 | 7 | 7:21 | -14 | 7 |
| 10 | ვალიადოლიდი | 24 | 7 | 11 | 6 | 28:27 | 1 | 32 | 13 | 7 | 6 | 0 | 18:7 | 11 | 27 | 11 | 0 | 5 | 6 | 10:20 | -10 | 5 |
| 11 | ესპანიოლი | 24 | 9 | 4 | 11 | 31:28 | 3 | 31 | 12 | 6 | 1 | 5 | 17:11 | 6 | 19 | 12 | 3 | 3 | 6 | 14:17 | -3 | 12 |
| 12 | მალაგა | 24 | 9 | 4 | 11 | 37:38 | -1 | 31 | 13 | 7 | 3 | 3 | 23:16 | 7 | 24 | 11 | 2 | 1 | 8 | 14:22 | -8 | 7 |
| 13 | ლას პალმასი | 24 | 9 | 4 | 11 | 25:41 | -16 | 31 | 11 | 6 | 1 | 4 | 12:16 | -4 | 19 | 13 | 3 | 3 | 7 | 13:25 | -12 | 12 |
| 14 | სარაგოსა | 24 | 7 | 9 | 8 | 35:34 | 1 | 30 | 11 | 6 | 4 | 1 | 28:13 | 15 | 22 | 13 | 1 | 5 | 7 | 7:21 | -14 | 8 |
| 15 | სელტა | 24 | 7 | 8 | 9 | 29:35 | -6 | 29 | 12 | 5 | 6 | 1 | 18:12 | 6 | 21 | 12 | 2 | 2 | 8 | 11:23 | -12 | 8 |
| 16 | ოვიედო | 24 | 8 | 3 | 13 | 31:45 | -14 | 27 | 13 | 8 | 2 | 3 | 29:18 | 11 | 26 | 11 | 0 | 1 | 10 | 2:27 | -25 | 1 |
| 17 | ნუმანსია | 24 | 6 | 5 | 13 | 24:41 | -17 | 23 | 11 | 4 | 3 | 4 | 13:14 | -1 | 15 | 13 | 2 | 2 | 9 | 11:27 | -16 | 8 |
| 18 | სოსიედადი | 24 | 5 | 6 | 13 | 26:50 | -24 | 21 | 12 | 2 | 5 | 5 | 14:24 | -10 | 11 | 12 | 3 | 1 | 8 | 12:26 | -14 | 10 |
| 19 | რასინგი | 24 | 5 | 5 | 14 | 28:41 | -13 | 20 | 12 | 5 | 3 | 4 | 19:17 | 2 | 18 | 12 | 0 | 2 | 10 | 9:24 | -15 | 2 |
| 20 | ოსასუნა | 24 | 4 | 8 | 12 | 25:38 | -13 | 20 | 12 | 2 | 5 | 5 | 12:16 | -4 | 11 | 12 | 2 | 3 | 7 | 13:22 | -9 | 9 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ხავი მორენო (ალავესი) | 17 |
| რივალდო (ბარსელონა) | 13 |
| რაული (რეალი) | 13 |
| კლუივერტი (ბარსელონა) | 12 |
| დელი ვალდესი (მალაგა) | 11 |
| კარეუ (ვალენსია) | 11 |

### XXV ტური

3 მარტი
რეალი — ბარსელონა
4 მარტი
სოსიედადი — რაიო ვალეკანო
ესპანიოლი — ალავესი
სელტა — ოვიედო
ოსასუნა — ვალიადოლიდი
სარაგოსა — ვალენსია
ვილიარეალი — მალაგა
ლას პალმასი — ბილბაო
ნუმანსია — რასინგი
მალიორკა — დეპორტივო

## მეორე დივიზიონი

### XXVI ტური

**ლეიდა 1:1 ელჩე**

1:0 გარიდო (12), 1:1 ნინიო (72)

**ეიბარი 0:0 ხეტაფე**

**ტენერიფე 1:1 უელვა**

0:1 კამაჩო (13), 1:1 ლუსენმოდი (70)

**ატლეტიკო 2:1 ბეტისი**

1:0 აგილერა (20), 1:1 არზუ (38), 2:1 დანი (65)

**ბადახოსი 1:0 ფეროლი**

1:0 ლეანდრო (61)

**უნივერსიდადი 0:0 ხაენი**

**სევილია 4:2 ლეგანესი**

0:1 ლამზეა (8), 1:1, 2:1 ოლივერა (16პ, 20), 2:2 მიგელი (21), 3:2 ზალაიეტა (45), 4:2 ოლივერა (65პ)

**სალამანკა 1:2 ალბასეტე**

0:1 გერერო (29), 0:2 ხუანლუ (68), 1:2 პინილია (81)

**მურსია 5:0 სპორტინგი**

1:0 ზარატე (68), 2:0 აგილარი (79), 3:0 ლორეტო (81), 4:0 კიკე ტორესი (84), 5:0 ლორეტო (90)

**ესტრემადურა 2:1 ლევანტე**

1:0 ვალტერ პიკო (7), 2:0 დ. კარანკა (39), 2:1 პერაგონი (78)

**კორდობა 0:0 კომპოსტელა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სევილია | 26 | 15 | 6 | 5 | 41:23 | 51 |
| ბეტისი | 26 | 13 | 8 | 5 | 26:16 | 47 |
| ტენერიფე | 26 | 13 | 7 | 6 | 38:22 | 46 |
| სალამანკა | 26 | 13 | 5 | 8 | 30:24 | 44 |
| უელვა | 26 | 9 | 14 | 3 | 25:15 | 41 |
| ატლეტიკო | 26 | 10 | 9 | 7 | 36:28 | 39 |
| ალბასეტე | 26 | 10 | 9 | 7 | 25:22 | 39 |
| ბადახოსი | 26 | 8 | 14 | 4 | 25:21 | 38 |
| ლევანტე | 26 | 8 | 13 | 5 | 33:27 | 37 |
| მურსია | 26 | 9 | 9 | 8 | 39:31 | 36 |
| ეიბარი | 26 | 8 | 12 | 6 | 20:16 | 36 |
| სპორტინგი | 26 | 9 | 9 | 8 | 31:29 | 36 |
| კორდობა | 26 | 9 | 8 | 9 | 24:25 | 35 |
| ესტრემადურა | 26 | 9 | 6 | 11 | 24:29 | 33 |
| ხაენი | 26 | 7 | 9 | 10 | 15:26 | 30 |
| ელჩე | 26 | 6 | 11 | 9 | 28:34 | 29 |
| ფეროლი | 26 | 7 | 7 | 12 | 29:33 | 28 |
| ლეგანესი | 26 | 5 | 13 | 8 | 33:32 | 28 |
| კომპოსტელა | 26 | 6 | 6 | 14 | 24:45 | 24 |
| ხეტაფე | 26 | 5 | 8 | 13 | 22:38 | 23 |
| ლეიდა | 26 | 3 | 9 | 14 | 22:36 | 18 |
| უნივერსიდადი | 26 | 2 | 12 | 12 | 18:36 | 18 |

## მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი
## აზია

**IV ჯგუფი. V ტური**

**ქუვეითი 2:0 ყირგიზეთი**
1:0 ალ ჰუვაიდი (21), 2:0 ლაიბი (87)

**სინგაპური 0:2 ბაჰრეინი**
0:1 აიდი (40), 0:2 ალ სადი (43)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ქუვეითი | 5 | 4 | 1 | 0 | 9:2 | 13 |
| ბაჰრეინი | 5 | 4 | 0 | 1 | 8:4 | 12 |
| ყირგიზეთი | 5 | 1 | 0 | 4 | 2:8 | 3 |
| სინგაპური | 5 | 0 | 1 | 4 | 2:7 | 1 |

*ბოლო ტურში, დღეს: ყირგიზეთი — სინგაპური; ქუვეითი — ბაჰრეინი*

## მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი
## აფრიკა. IV ტური

**A ჯგუფი**

**კამერუნი 1:0 ზამბია**
1:0 მბომა (22)

**ლიბია 3:3 ტოგო**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კამერუნი | 4 | 4 | 0 | 0 | 9:0 | 12 |
| ანგოლა | 3 | 2 | 0 | 1 | 5:5 | 6 |
| ზამბია | 3 | 1 | 0 | 2 | 3:3 | 3 |
| ტოგო | 3 | 0 | 1 | 2 | 3:7 | 1 |
| ლიბია | 3 | 0 | 1 | 2 | 4:9 | 1 |

**B ჯგუფი**

**ლიბერია 1:0 სიერა ლეონე**
1:0 ზიზი რობერტსი (65)

**სუდანი 1:0 განა**
1:0 მოჯა (71)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიბერია | 4 | 3 | 0 | 1 | 6:4 | 9 |
| ნიგერია | 3 | 2 | 0 | 1 | 6:2 | 6 |
| სუდანი | 3 | 2 | 0 | 1 | 3:3 | 6 |
| განა | 3 | 1 | 0 | 2 | 6:4 | 3 |
| სიერა ლეონე | 3 | 0 | 0 | 3 | 0:8 | 0 |

**C ჯგუფი**

**ნამიბია 1:1 ეგვიპტე**
1:0 ტიკუზუ (50), 1:1 საიდი (89)

**მაროკო 0:0 სენეგალი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მაროკო | 4 | 1 | 3 | 0 | 2:1 | 6 |
| ალჟირი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| ეგვიპტე | 3 | 0 | 3 | 0 | 1:1 | 3 |
| სენეგალი | 3 | 0 | 3 | 0 | 1:1 | 3 |
| ნამიბია | 3 | 0 | 2 | 1 | 1:2 | 2 |

**D ჯგუფი**

**ტუნისი 6:0 კონგოს დრ**
1:0 ზიტუნი (8), 2:0 ჟაზირი (26), 3:0 კანზარი (30პ), 4:0 ჟაზირი (63), 5:0 ბაია (84), 6:0 ზიტუნი (89)

**კოტ დივუარი — კონგო**
გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტუნისი | 4 | 3 | 1 | 0 | 11:3 | 10 |
| კოტ დივუარი | 2 | 1 | 1 | 0 | 5:3 | 4 |
| მადაგასკარი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:4 | 3 |
| კონგოს დრ | 3 | 1 | 0 | 2 | 2:9 | 3 |
| კონგო | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |

**E ჯგუფი**

**ბურკინა ფასო 1:2 ზიმბაბვე**
0:1, 0:2 ნდლოვუ (2, 13), 1:2 დაგნო (22)

**მალავი 1:2 სამხრეთ აფრიკა**
0:1 მასინგა (26), 0:2 ნომვეტე (80), 1:2 მაბედი (85პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამხრეთ აფრიკა | 3 | 3 | 0 | 0 | 5:1 | 9 |
| გვინეა | 3 | 2 | 1 | 0 | 7:3 | 7 |
| ზიმბაბვე | 3 | 1 | 0 | 2 | 2:6 | 3 |
| მალავი | 3 | 0 | 2 | 1 | 3:4 | 2 |
| ბურკინა ფასო | 4 | 0 | 1 | 3 | 4:7 | 1 |

## იუგოსლავია

მე-18 ტური: ობილიჩი — პარტიზანი 3:1; ჩუკარიჩკი — ცრვენა ზვეზდა 0:4; მილიციონარი — ზეტა 2:1; ჟელეზნიკი — რადი 2:0; ნაპრედაკი — სუტიესკა 2:0; რადნიჩკი (კრაგუევაცი) — ვოივოდინა 1:1; ბუდუჩნოსტი — ოფკ 1:1; სარტიდი — ზემუნი 6:0; რადნიჩკი (ნიში) — ჰაიდუკი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცრვენა ზვეზდა | 17 | 14 | 3 | 0 | 46:7 | 45 |
| პარტიზანი | 17 | 14 | 0 | 3 | 52:15 | 42 |
| ობილიჩი | 18 | 11 | 3 | 4 | 29:19 | 36 |
| ოფკ | 18 | 10 | 3 | 5 | 28:17 | 33 |
| სარტიდი | 18 | 8 | 2 | 8 | 29:17 | 26 |
| ჰაიდუკი | 18 | 7 | 4 | 7 | 26:18 | 25 |
| ჟელეზნიკი | 18 | 7 | 4 | 7 | 25:30 | 25 |
| მილიციონარი | 18 | 7 | 2 | 9 | 16:21 | 23 |
| ვოივოდინა | 18 | 6 | 4 | 8 | 19:18 | 22 |
| კრაგუევაცი | 18 | 6 | 4 | 8 | 18:28 | 22 |
| სუტიესკა | 18 | 6 | 4 | 8 | 18:31 | 22 |
| ბუდუჩნოსტი | 18 | 6 | 3 | 9 | 16:22 | 21 |
| ზეტა | 18 | 4 | 8 | 6 | 21:26 | 20 |
| ჩუკარიჩკი | 18 | 6 | 2 | 10 | 21:28 | 20 |
| ნაპრედაკი | 18 | 5 | 4 | 9 | 17:31 | 19 |
| რადი | 18 | 5 | 3 | 10 | 21:32 | 18 |
| ზემუნი | 18 | 4 | 6 | 8 | 17:29 | 18 |
| ნიში | 18 | 4 | 3 | 11 | 14:34 | 12 |

*ნიშის „რადნიჩკის“ დაკლებული აქვს 3 ქულა*

## საფრანგეთი

**გადადებული მატჩი**

**ტრუა 3:1 რენი**
1:0 საიფი (8), 2:0 ს. ჟუკიჩი (58), 2:1 დელიე (88), 3:1 ს. ჟუკიჩი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლილი | 27 | 13 | 8 | 6 | 32:19 | 47 |
| ნანტი | 27 | 14 | 5 | 8 | 43:33 | 47 |
| ბორდო | 27 | 12 | 10 | 5 | 37:23 | 46 |
| სედანი | 27 | 13 | 7 | 7 | 36:25 | 46 |
| ლიონი | 27 | 10 | 13 | 4 | 37:24 | 43 |
| ტრუა | 27 | 11 | 8 | 8 | 37:37 | 41 |
| რენი | 27 | 11 | 6 | 10 | 33:28 | 39 |
| ბასტია | 27 | 11 | 5 | 11 | 33:30 | 38 |
| გენგამი | 27 | 10 | 8 | 9 | 32:32 | 38 |
| ოსერი | 27 | 10 | 7 | 10 | 29:31 | 37 |
| მონაკო | 27 | 10 | 5 | 12 | 41:38 | 35 |
| პარი სენ ჟერმენი | 27 | 9 | 6 | 12 | 33:37 | 33 |
| ლანსი | 27 | 8 | 8 | 11 | 28:29 | 32 |
| მარსელი | 27 | 9 | 5 | 13 | 26:33 | 32 |
| ტულუზი | 27 | 6 | 10 | 11 | 26:35 | 28 |
| მეცი | 27 | 6 | 9 | 12 | 24:38 | 27 |
| სენტ ეტიენი | 27 | 7 | 7 | 13 | 34:43 | 25 |
| სტრასბური | 27 | 5 | 7 | 15 | 24:50 | 22 |

*„სენტ ეტიენს“ დაკლებული აქვს 3 ქულა*

### ლიგის თასის მეოთხედფინალი

ნიორი (II) — სენტ ეტიენი 3:2; შატორუ (II) — მონაკო 0:1; ამიენი (III) — ლიონი 0:2. ტრუა — ნანტი მოგვიანებით გაიმართება

## ჰოლანდია

**XXIII ტური**

**ფეიენოორდი 1:2 პსვ ეინდჰოვენი**
0:1 ოიერი (6), 0:2 დე იონგი (74), 1:2 პაუვე (86)
ფეიენოორდი: დუდეკი, ემერტონი, ვან ვონდერენი (ვან გობელი 71), დე ჰაანი, დე ვისერი, ბოსველტი, პაუვე, კორნეევი (ელმანდერი 67), ვან ფოსენი (კონოლი 49), ტომასონი, სმოლარეკი
პსვ ეინდჰოვენი: ვატერეუსი, ოიერი, ჰოფლანდი, ნიკოფორროვი, ჰაინცე, ვან ბომელი, ფოგელი, დე იონგი (ადო 93), რომედალი (ლუსიუსი 60), კეჟმანი, ბუმა (ბახოძიძე 86)
მწვრთნელი: ერიკ გერეტსი
გაფრთხილება: ნიკოფორროვი, დე ჰაანი, ბოსველტი, ლუსიუსი
45 000 მაყურებელი

**აიაქსი 2:0 უტრეხტი**
1:0 პასანენი (11), 2:0 გალაშეკი (15)
აიაქსი: გრიმი, დე კლერი, კოვე, პასანენი, კ. კანუ, ვან დერ ვაარტი (მერსა 86), გალაშეკი, ვიჩგე, ვან დერ გუნი (კრუზი 74), შ. არველაძე (ვან დერ მეიდე 61), ვამბერტო
მწვრთნელი: კო ადრიანსე
32 876 მაყურებელი

**გრონინგენი 0:0 ბრედა**

**ტვენტე 2:1 ვიტესი**
1:0 ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (4), 2:0 კაირო (67), 2:1 კლასენსი (85)

**ვალვაიკი 1:0 სიტარდი**
1:0 პუგენდორპი (35)

**ალკმარი 2:4 როდა**
0:1 როდრიგესი (10ს.კ.), 0:2 ლაგალი (14), 0:3 ვრედე (17), 1:3 ლიუპერსი (47ს.კ.), 2:3 ნელისე (57), 2:4 ანასტასიუ (68)

**ნაიმეგენი 0:3 სპარტა**
0:1 ლანგერაკი (8), 0:2 ბუხარი (24), 0:3 ელხატაბი (73)

**ტილბურგი 1:6 ჰერენვენი**
1:0 ლანძაატი (3პ), 1:1 ოლბოკი (4), 1:2 ლურლინგი (28), 1:3 ოლბოკი (31), 1:4 ტალანი (65), 1:5 ოლბოკი (68), 1:6 ტალანი (89)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ ეინდჰოვენი | 23 | 17 | 5 | 1 | 49:14 | 56 |
| ფეიენოორდი | 22 | 17 | 1 | 4 | 48:19 | 52 |
| აიაქსი | 21 | 12 | 4 | 5 | 51:25 | 40 |
| ვიტესი | 22 | 11 | 5 | 6 | 41:36 | 38 |
| როდა | 22 | 11 | 4 | 7 | 41:29 | 37 |
| ვალვაიკი | 22 | 10 | 7 | 5 | 28:18 | 37 |
| უტრეხტი | 21 | 9 | 4 | 8 | 38:34 | 31 |
| ტილბურგი | 22 | 8 | 7 | 7 | 34:33 | 31 |
| ნაიმეგენი | 22 | 6 | 11 | 5 | 29:28 | 29 |
| ბრედა | 21 | 8 | 4 | 9 | 29:34 | 28 |
| ტვენტე | 21 | 7 | 6 | 8 | 33:37 | 27 |
| ჰერენვენი | 21 | 6 | 8 | 7 | 27:29 | 26 |
| გრონინგენი | 22 | 7 | 5 | 10 | 27:33 | 26 |
| ალკმარი | 22 | 7 | 5 | 10 | 33:44 | 26 |
| გრააფსხაპი | 21 | 5 | 2 | 14 | 27:42 | 17 |
| სპარტა | 23 | 4 | 5 | 14 | 30:46 | 17 |
| როზენდალი | 22 | 4 | 1 | 17 | 29:61 | 13 |
| სიტარდი | 22 | 2 | 6 | 14 | 14:46 | 12 |

## ბულგარეთი

### თასის მეოთხედფინალი

**I მატჩები**

ლოვეჩი — ცსკა (სოფია) 3:0; ლევსკი (სოფია) — ბოტევი (პლოვდივი) 4:0
7 მარტს: ლოკომოტივი (სოფია) — ბერინი (ბლაგოევგრადი); ველბაჟდი (კიუსტენდილი) — სპარტაკი (პლევენი)
საპასუხო მატჩები გაიმართება 4 აპრილს



ამღები და გამტანი: სანდერ ვესტერფელდმა ბირმინგემელ ენდრიუ ჯონსონს პენალტი რომ აუღო, რობი ფაულერმა ლიგის თასი აღმართა

# მაინც ლივერპული!

## ინგლისი

### ლიგის თასის ფინალი

**ბირმინგემ სიტი (I) 1:1დ.დ. (პენ. 4:5, 1:1) ლივერპული**
0:1 ფაულერი (30), 1:1 პარსი (90პ)

**პენალტები**
0:1 მაკალისტერი, 0:1 გრაინჯერი (მეკარე), 0:2 ბარმბი, 1:2 პარსი, 1:3 ციგე, 2:3 მარსელი, 2:3 ჰამანი (მეკარე), 3:3 ლაზარიდისი, 3:4 ფაულერი, 4:4 ჰიუზი, 4:5 კარაგერი, 4:5 ე. ჯონსონი (მეკარე)
ბირმინგემ სიტი: ბენეტი, იდენი, პარსი, ოკონორი, გრაინჯერი, სონერი (ბ. ჰიუზი 71), მ. ჯონსონი, მაკკარტი, ლაზარიდისი, ჰორსფილდი (მარსელო 81), ადებოლა (ე. ჯონსონი 46)
ლივერპული: ვესტერფელდი, კარაგერი, ჰიპია, ენჩოსი, ბაბელი, ჰამანი, შმიცერი (ბარმბი 83), ჯერარდი (მაკალისტერი 78), ჰისკანი (ციგე 97), ჰესკი, ფაულერი
გაფრთხილება: ჰამანი, ენჩოსი
73 500 მაყურებელი

გამარჯვება „ლივერპულს“, სიმპატია და ტაში „ბირმინგემს“.

პირველად იყო, რომ კარდიფის „მილენიუმზე“ რაგინდარა ინგლისური თასის ფინალი გაიმართა. პირველად იყო, რომ ინგლისის რომელიმე თასის მფლობელის ვინაობა პენალტებით გაირკვა. კარდიფის პოლიციასაც პირველად გასდინდა ნამდვილი ოფლი, რათა ფანების ჩხუბი ალეკვეთა.

ეს ნამდვილი ფინალი იყო. „ლივერპულს“ კაპიტნობდა ბრწყინვალე ფორმაში მყოფი რობი ფაულერი, რომლის ლამაზმა გოლმაც მერსისაიდელებს იოლი გამარჯვების იმედი ჩაუსახა. მაგრამ პირველდივიზიონელთა მწვრთნელ ტრევორ ფრენსისსაც ჰყავდა თავისი გმირი, 20 წლის დელე ადებოლა, რომელმაც გატანჯა ლივერპულელთა დაცვა.

მეტად მძიმე სათამაშო გრაფიკში მოყოლილი „ლივერპული“ (მეოთხე შეხვედრა 19 დღეში) დიდხანს უძალიანდებოდა უტეხ ბირმინგემელებს, მაგრამ მაშინ როცა თამაში უკვე მსაჯის სამ წუთზე ეკიდა, სტეფან ენჩოსს ნერვებმა უმტყუნა და დარენ პურსმა პენალტით გაათანაბრა ანგარიში. დამატებით დროში ენჩოსს კვლავ უმტყუნა ნერვებმა, მაგრამ მსაჯი დევიდ ელერი დადუმდა და ლივერპულის კარში მეორე პენალტი არ დანიშნულა.

თამაშის ერთ-ერთი გმირი, ენდრიუ ჯონსონი მენეჯერის მხარზე დაყრდნობილი ტიროდა. ეს მას შემდეგ, რაც ლივერპულელთა მეკარე სანდერ ვესტერფელდმა პენალტების სერიაში სხვასთან ერთად მისი დარტყმულიც მოიგერია და ამით თასის ბედი გადაწყვიტა.

„ლივერპულმა“, როგორც იქნა, მოიგო რაღაც თასი. მენეჯერმა ჟერარ ულიემ კი თქვა: „პირველი თასი ყოველთვის ყველაზე ძნელია“. ლიგის (ვორთინგტონის) თასი პირველი ჯილდოა, ამ მწვრთნელმა რომ მოიპოვა „ლივერპულის“ საჭესთან დადგომის შემდეგ.

**ირაკლი გამყრელიძე**

## პორტუგალია

**XXII ტური**

**კამპომაიორენსე 0:2 ბეირა მარი**
0:1 ფუსკო (15), 0:2 გამბოა (34)

**ფეირეირა 0:0 ლეირია**

**ფარენსე 1:0 ავეში**
1:0 მარკო ნუნუ (66)

**ალვერკა 4:1 ბრაგა**
1:0 ნევეში (18), 2:0 კარვალიუ (22), 3:0 რამირესი (43), 4:0 მანტორაში (57), 4:1 ფეჰერი (72)

**ბენფიკა 0:0 ბოავიშტა**

**სპორტინგი 3:1 ჟილ ვისენტე**
1:0 პრატესი (72), 2:0 აკოსტა (81), 2:1 ოლივეირა (85), 3:1 ჟოაუ პინტუ (87)

**ბელენენსეში 0:3 ამადორა**
0:1 გაუჩო გომეში (14), 0:2 რენატო (29), 0:3 გაუჩო გომეში (82)

**მარიტიმუ — პორტუ**
გადაიდო

**გიმარაეში — სალგეირუში**
*წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მეორე გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოავიშტა | 22 | 13 | 7 | 2 | 39:13 | 46 |
| ბენფიკა | 22 | 13 | 5 | 4 | 39:21 | 44 |
| სპორტინგი | 22 | 13 | 3 | 6 | 38:24 | 42 |
| პორტუ | 21 | 13 | 2 | 6 | 40:18 | 41 |
| ბრაგა | 22 | 11 | 7 | 4 | 34:26 | 40 |
| ბელენენსეში | 22 | 10 | 6 | 6 | 27:19 | 36 |
| ფერეირა | 22 | 8 | 8 | 6 | 26:18 | 32 |
| ფარენსე | 22 | 8 | 8 | 6 | 25:25 | 32 |
| სალგეირუში | 21 | 9 | 3 | 9 | 20:28 | 30 |
| ბეირა მარი | 22 | 8 | 5 | 9 | 25:30 | 29 |
| ალვერკა | 22 | 8 | 4 | 10 | 33:35 | 28 |
| ლეირია | 22 | 6 | 10 | 6 | 23:30 | 28 |
| მარიტიმუ | 21 | 7 | 6 | 8 | 21:21 | 27 |
| გიმარაეში | 21 | 4 | 7 | 10 | 24:36 | 19 |
| კამპომაიორენსე | 22 | 3 | 9 | 10 | 16:35 | 18 |
| ჟილ ვისენტე | 22 | 4 | 5 | 13 | 18:31 | 17 |
| ამადორა | 22 | 3 | 4 | 15 | 19:35 | 13 |
| ავეში | 22 | 2 | 7 | 13 | 19:41 | 13 |

## ბელგია

**გადადებული მატჩები**

**გენტი 0:2 ბრიუგე**
0:1 მარტენსი (67), 0:2 ენგელბერტი (86)

**ვესტერლო 2:2 ანდერლეხტი**
1:0 მიტროვიჩი (44), 2:0 შასენსი (51პ), 2:1 კოლერი (61), 2:2 რაძინსკი (73)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანდერლეხტი | 23 | 19 | 4 | 0 | 68:19 | 61 |
| ბრიუგე | 23 | 17 | 5 | 1 | 65:18 | 56 |
| სტანდარდი | 23 | 12 | 7 | 4 | 54:26 | 43 |
| გენტი | 23 | 12 | 6 | 5 | 43:33 | 42 |
| ვესტერლო | 23 | 12 | 5 | 6 | 44:33 | 41 |
| მუსკრონი | 23 | 11 | 4 | 8 | 45:31 | 37 |
| ბეერსხოტი | 23 | 11 | 3 | 9 | 42:33 | 36 |
| შარლერუა | 23 | 11 | 3 | 9 | 38:41 | 36 |
| ლიერსი | 23 | 10 | 5 | 8 | 35:29 | 35 |
| ლოკერენი | 23 | 9 | 7 | 7 | 33:32 | 34 |
| ბევერენი | 23 | 8 | 6 | 9 | 22:41 | 30 |
| გენკი | 23 | 7 | 6 | 10 | 28:34 | 27 |
| ანტვერპენი | 23 | 7 | 3 | 13 | 25:34 | 24 |
| აალსტი | 23 | 5 | 5 | 13 | 23:49 | 20 |
| სენტ ტრუიდენი | 23 | 4 | 4 | 15 | 22:41 | 16 |
| ჰარელბეკე | 23 | 5 | 1 | 17 | 28:66 | 16 |
| მეხელენი | 23 | 2 | 6 | 15 | 27:53 | 12 |
| ლუვენი | 23 | 1 | 8 | 14 | 15:44 | 11 |

### თასის მეოთხედფინალი

გადათამაშება

**გენკი 2:1 სერკლ ბრიუგე (II)**
1:0 ბერნარი (20ს.კ.), 1:1 რობაისი (45), 2:1 ბანი (85)

## ავსტრია

გადმოტანილი მატჩი: შტურმი — ტიროლი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტიროლი | 23 | 12 | 6 | 5 | 42:21 | 42 |
| რაპიდი | 22 | 12 | 6 | 4 | 44:25 | 42 |
| აუსტრია | 22 | 10 | 6 | 6 | 33:20 | 36 |
| შტურმი | 23 | 10 | 4 | 9 | 39:31 | 34 |
| გრაცერი | 22 | 10 | 4 | 8 | 32:27 | 34 |
| ზალცბურგი | 22 | 9 | 6 | 7 | 32:27 | 33 |
| რიდი | 22 | 8 | 6 | 8 | 35:32 | 30 |
| ბრეგენცი | 22 | 6 | 4 | 12 | 27:44 | 22 |
| ადმირა | 22 | 4 | 5 | 13 | 18:51 | 17 |
| ლინცერი | 22 | 3 | 7 | 12 | 23:47 | 16 |

## საბერძნეთი

მე-20 ტური: ათინაიკოსი — იანინა 0:1; იონიკოსი — პანაჰაიკი 3:1; არისი — ქსანტი 1:0; ეთნიკოსი — კალამატა 1:3; ირაკლისი — პანიონიოსი 4:3; ოფი — პაოკ 0:0; პანილიაკოსი — პანათინაიკოსი 0:3; აეკ — ოლიმპიაკოსი 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 20 | 17 | 2 | 1 | 60:15 | 53 |
| პანათინაიკოსი | 20 | 13 | 5 | 2 | 35:10 | 44 |
| აეკ | 20 | 12 | 3 | 5 | 39:26 | 39 |
| პაოკ | 20 | 10 | 7 | 3 | 43:29 | 37 |
| ირაკლისი | 20 | 11 | 3 | 6 | 33:24 | 36 |
| იონიკოსი | 20 | 9 | 6 | 5 | 31:26 | 33 |
| არისი | 20 | 9 | 4 | 7 | 22:21 | 31 |
| ქსანტი | 20 | 8 | 4 | 8 | 14:18 | 28 |
| პანიონიოსი | 20 | 4 | 9 | 7 | 22:28 | 21 |
| ეთნიკოსი | 20 | 6 | 3 | 11 | 21:38 | 21 |
| იანინა | 20 | 5 | 5 | 10 | 27:37 | 20 |
| პანაჰაიკი | 20 | 4 | 5 | 11 | 23:35 | 17 |
| ათინაიკოსი | 20 | 4 | 4 | 12 | 27:41 | 16 |
| პანილიაკოსი | 20 | 3 | 7 | 10 | 15:31 | 16 |
| კალამატა | 20 | 2 | 8 | 10 | 26:41 | 14 |
| ოფი | 20 | 2 | 7 | 11 | 19:37 | 13 |

## ისრაელი

27-ე ტური: ბეითარი — ჰაპოელი (თელ ავივი) 1:2; მაკაბი (ფეთახ თიკვა) — მაკაბი (თელ ავივი) 0:1; ირონი — აშდოდი 0:1; მაკაბი (თელ ავივი) — ცაფრირიმი 3:2; ბნეი იეჰუდა — ჰაპოელი (ფეთახ თიკვა) 1:2; ჰაპოელი (ჰაიფა) — მაკაბი (ნეთანია) 4:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მ. ჰაიფა | 27 | 18 | 8 | 1 | 49:18 | 62 |
| ჰ. თელ ავივი | 27 | 14 | 9 | 4 | 38:19 | 51 |
| ბეითარი | 27 | 14 | 8 | 5 | 31:20 | 50 |
| ჰ. ჰაიფა | 27 | 13 | 8 | 6 | 42:29 | 47 |
| ჰ. ფეთახ თიკვა | 27 | 12 | 7 | 8 | 48:35 | 43 |
| მ. თელ ავივი | 27 | 11 | 9 | 7 | 43:25 | 42 |
| მ. ფეთახ თიკვა | 27 | 10 | 5 | 12 | 31:30 | 35 |
| მ. ნეთანია | 27 | 8 | 8 | 11 | 33:41 | 32 |
| ირონი | 27 | 8 | 4 | 15 | 27:46 | 28 |
| აშდოდი | 27 | 5 | 7 | 15 | 27:40 | 22 |
| ბნეი იეჰუდა | 27 | 4 | 8 | 15 | 23:43 | 20 |
| ცაფრირიმი | 27 | 3 | 3 | 21 | 16:62 | 12 |

# ბედის ბორბლის ტრიალი: ისევ ჩელსი და ვიალი?



არისტოკრატებს ჯანლუკა ვიალი გაახსენდათ

**ჯანლუკა ვიალი,** შესაძლოა, მალე თავის ძველ სამუშაოს დაუბრუნდეს. როგორც იცით, ექსცენტრიკულმა იტალიელმა „ჩელსის" თავკაცობასთან ურთიერთობა ვერ მოაწესრიგა და გუნდის დატოვება მოუხდა. მანამდე გვარიანად ილვაწა ვიალიმ „ლურჯებისთვის". მის ხელში გაწვრთნილი გუნდი ორჯერ ქვეყნის თასს დაეუფლა, ხოლო 1998 წელს ევროპის თასების მფლობელთა თასიც მოიგო.

ჯანლუკა თამაშების დროს ხშირად ტოვებდა მწვრთნელისთვის განკუთვნილ სკამს და შეგირდებს უშუალოდ მოედანზე, გაჭირვების ჟამს ეხმარებოდა, არცთუ იშვიათად იგი მწვანე მინდორზეც ძველებურად, ბრწყინავდა. ჯანლუკა ჯიგრით თამაშობდა, არც სამწვრთნელო საქმიანობა დაეწუნებოდა, მაგრამ ოდნავი წაფორხილება და ამხელა დამსახურების კაცი ლონდონის არისტოკრატთა გუნდის ხელმძღვანელობამ უმალ მოიძულა. ახლა „ჩელსის" იტალიელივე კლაუდიო რანიერი წვრთნის.

„ლურჯები" პრემიერლიგის სატურნირო ცხრილში მეცხრე ადგილზე არიან და თითქოს კრიზისს საბოლოოდ დააღწიეს თავი. თუმცა, ეტყობა, „ჩელსის" თავკაცობა რანიერით მაინც უკმაყოფილოა და იმედის თვალით კვლავ თავხოტორა ჯანლუკასკენ იმზირება. ამის შესახებ უკვე ინგლისური პრესაც ალაპარაკდა. საქმეს ოფიციალური სახე ჯერ არ მიუღია, მაგრამ ვიალისთან დაახლოებულ პირთა საუბრიდან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ კლუბის პრეზიდენტი და ყოფილი მწვრთნელი შუამავლის მეშვეობით აწარმოებენ მოლაპარაკებას. ალბათ, ამის შედეგია ის, რომ ვიალი არჩევანის გაკეთებას არ ჩქარობს, მას ხომ სხვა კლუბებიც ეპატიჟებიან. თუკი რამე ხელს შეუშლის გუნდისა და იტალიელის კვლავ დაახლოებას, „ჩელსის" ახლანდელ გენერალურ მენეჯერ გვინ უილიამსსა და დირექტორ კოლინ ჰატჩისონთან არცთუ მეგობრული ურთიერთობაა. სწორედ მათი ბრალია ის, რომ ჯანლუკა ამჟამად უმუშევარია.

დღესდღეობით ვიალი მწვრთნელთა დაოსტატების კურსს გადის, სპორტული ფორმის შენარჩუნებასაც ახერხებს. მას, ალბათ, გულით სწადია საყვარელ გუნდში მუშაობის გაგრძელება. გუნდის პრეზიდენტი კენ ბეიტსი, რომელსაც მწვრთნელის გუნდიდან გაშვებაზე ადრევე ეთანაღრებოდა გული, ალბათ შეეცდება, კლუბის ხელმძღვანელობასა და ვიალის შორის უთანხმოება როგორმე მოაგვაროს. თუ ეს მოხდა, ჯანლუკა თავის ბიჭებს დაუბრუნდება.

# კაპელოს სათავადო ადგილი უნდა

**სერ ალექს ფერგიუსონი** ბრწყინვალე კარიერის დასრულებას და დამსახურებულ, კუთვნილ პენსიაზე გასვლას აპირებს. „მანჩესტერ იუნაიტედი" ორი წლის შემდეგ სეზონს შოტლანდიელი მწვრთნელის გარეშე დაიწყებს. ვინ ჩაიბარებს სერ ალექსის უდიდეს მემკვიდრეობას? ამ საკითხზე მანჩესტერელები უკვე კარგა ხანია, თავს იტეხენ.

გუნდის ხელმძღვანელობას მართლაც საპასუხისმგებლო არჩევანის გაკეთება მოუწევს — ძალიან ბევრ მწვრთნელს სურს „მანიუს" დამოძღვრა. ამას წინათ ინგლისური გრანდის წარმატებებითა და თამაშის სტილით მოხიბლულ იტალიელ ტრიუმფატორს, ფაბიო კაპელოს, დაუფარავად გამოუთქვამს „ოლდ ტრეფორდზე" გადაბარგების სურვილი.

არადა, ეს ის კაცია, ვისაც ოთხი სკუდეტო, პრემიერდივიზიონის ოქრო და ჩემპიონთა თასი მოუგია. შარშან იგი „რომას" ჩაუდგა სათავეში. მასზე დიდ იმედებს ამყარებდნენ და გაამართლა კიდეც.

კაპელო სიტყვის კაცი გამოდგა. „რომაში" მისული მწვრთნელი თავისი მოღვაწეობის მეორე წელს გუნდის ხელმძღვანელობასა და ტიფოზებს სკუდეტოს შეჰპირდა. კაპელოს „რომა" ამჟამად ძალიან ახლოსაა სანუკვარ მიზანთან, იგი სერია A-ს ლიდერია და მდევარ „იუვენტუსთან" ექვსქულიანი საიმედო მარაგი აშორებს. თითქოს ყველაფერი რიგზეა.

ფაბიოსა და „რომას" წინ ახალი სიმაღლეები ელით. ამიტომაც გაუგებარია, რატომ მოინდომა კაპელომ საათივით აწყობილი საქმის მიტოვება. „რომასთან" მწვრთნელს ორწლიანი კონტრაქტი აკავშირებს, მაგრამ ის ამ გარიგების ხელშეუხებლობას ეჭვქვეშ აყენებს. რატომ შეიცვალა აზრი? „მანიუ" დღეს ის გუნდია, სადაც დიდი ტალანტის ადამიანი ნებისმიერი ამბიციის დაკმაყოფილებას შეძლებს. კაპელოც ჭეშმარიტად დიდია, მისი გამოცდილება აანაზღაურებს სერ ალექსის დანაკლისს. იგი იმასაც არად დაგიდევთ, რომ ინგლისური სტილი ძალიან განსხვავდება სამხრეთულისგან. ეს კი არა, კაპელოს მოსწონს ინგლისი, იქაური საფეხბურთო სულისკვეთება და ძალიან უნდა, ამ ქვეყანაში იმუშაოს.

მაშ ასე, თუ რომში „ოლდ ტრეფორტიდან" თანხმობა მიიღეს, ფაბიო კაპელო ნატვრას აისრულებს და „მანჩესტერ იუნაიტედთან" ერთად ახალ, დიდებისკენ მიმავალ გზას მიაშურებს. მაგრამ იკითხავთ, რაღა დარჩა ფაბიოს მოსაგები? უდიდესი ტიტული ხომ არა, დიდმა შოტლანდიელმა სერ ალექსმა ბრიტანეთის სამეფოს წინაშე დამსახურებული მოღვაწეობის შედეგად რომ მიიღო?

**გიორგი გაგარდაშვილი**

## ფეხბურთის რუკასთან



**ინგლისელმა** მცველმა ტონი ადამსმა „არსენალთან" კონტრაქტი ერთი წლით გაახანგრძლივა. შეგახსენებთ, რომ ვეტერანმა ფეხბურთელმა ცოტა ხნის წინ სანაკრებო კარიერის დასრულება გადაწყვიტა. იმასაც ამბობდნენ, რომ ადამსი სეზონის ბოლოს, შეთანხმების დასრულების შემდეგ „არსენალსაც" დატოვებდა, მაგრამ მან საკლუბო დონეზე თამაში მომდევნო ერთი წლითაც ისურვა. აქა-იქ საუბრობენ, რომ დიდი ფეხბურთიდან წასვლის შემდეგ ადამსმა შესაძლოა მწვრთნელობა დაიწყოს და „არსენალს" ჩაუდგეს სათავეში, თუმცა თავად ვეტერანმა განაცხადა, ჯერჯერობით ვთამაშობ და მწვრთნელობაზე სერიოზულად არ მიფიქრიაო.

**ბულგარეთის ნაკრების თავდამსხმელი მარტინ პეტროვი მომავალი სეზონიდან „ვოლფსბურგის" ღირსებას დაიცავს. შვეიცარიულ „სერვეტს" ბუნდესლიგელებმა 3 მილიონი დოლარი გადაუხადეს და ფეხბურთელთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმეს. „ვოლფსბურგში" სხვა სიახლეცაა. გუნდის ნახევარმცველმა ანდრეას ვოსმა ვარჯიშისას ზურგის ტრავმა მიიღო და ექიმების განცხადებით, ოთხ კვირას ვერ ითამაშებს. ცნობისთვის: ვოსი გერმანიის 21-წლამდელთა ნაკრების წევრია.**

**ირლანდიის** ნაკრებს დანიელების წინააღმდეგ ამხანაგურ თამაშში, ოთხშაბათს, რამდენიმე წამყვანი მოთამაშე დააკლდება. „სანდერლენდის" თავდამსხმელმა ნაილ ქუინმა ამ უქმეებზე პრემიერლიგის შეხვედრაში „ლესტერთან" ზურგის ტრავმა მიიღო. ასევე ინგლისის ჩემპიონატის მატჩში დაშავდა ჩარლტონელი მარკ კინსელა. ტოტენჰემელი სტივენ კარი და „ჩარლტონის" მეკარე დინ კელი ეროვნულ გუნდს ვერც დაეხმარებიან. კარგა ხანია, მათაც ტრავმა აწუხებთ.

**გერმანიის ჩემპიონ მიუნხენის „ბაიერნის" ფეხბურთელი მიხაელ ვისინგერი მომდევნო სეზონიდან კარიერას ქალაქის მეორე კლუბ „მიუნხენ 1860"-ში გააგრძელებს. ვისინგერი „ბაიერნში" 1999 წელს „ნიურნბერგიდან" ჩაირიცხა, თუმცა ძირითად შემადგენლობაში ადგილი ვერ დაიმკვიდრა და გუნდის გამოცვლა არჩია. „ბაიერნი" თანაქალაქელების მიერ შეთავაზებულ 800 ათასი გირვანქის მიღებას და ვისინგერის გაშვებას დათანხმდა. ფეხბურთელის ახალი კონტრაქტი ორწლიანია და იგი ივნისიდან ამოქმედდება.**

**გერმანელმა** ნახევარმცველმა თომას შტრუნცმა გადაწყვიტა, კარიერა დაასრულოს. მიუნხენის „ბაიერნმა" მას კონტრაქტი შეუწყვიტა, ახალი კლუბი კი დღემდე ვერ იპოვა. „დროა, ფეხბურთს გამოვეთხოვო. ახალ კლუბში აღარ ჩავირიცხები" — განაცხადა 32 წლის ფეხბურთელმა, რომელსაც ბუნდესნაკრებში 41 შეხვედრა ჩაუტარებია და 1996 წლის ევროპის ჩემპიონატის ოქროსმედალოსანია. ბუნდესლიგაში ჩატარებული 235 მატჩში შტრუნცმა 33 გოლი გაიტანა. თუმცა ამ სეზონში ტრავმის გამო „ბაიერნის" შემადგენლობაში მხოლოდ ხუთჯერ გამოჩნდა. გერმანელს ცოტა ხნის წინ თითქოს „მანჩესტერ სიტი" ყიდულობდა, მაგრამ ტრანსფერი ჩაიშალა.

**ინგლისის პირველდივიზიონური „ქუინზ პარკ რეინჯერსის" მწვრთნელად იან ჰოლოვეი დანიშნეს. „ბრისტოლ როვერსიდან" ოთხი კვირის წინ დათხოვნილმა სპეციალისტმა ახალ თანამდებობაზე ჯერი ფრენსისი შეცვალა. ეს უკანასკნელი დაახლოებით ათი დღის წინ მოხსნეს. აღსანიშნავია, რომ ჰოლოვეი „ქუინზ პარკის" ყოფილი მოთამაშეა, 6 სეზონში მან გუნდში 150 შეხვედრა ჩაატარა. „მჯერა, კლუბს პირველ დივიზიონში ადგილს შევუნარჩუნებ. გუნდს საამისო პოტენცია გააჩნია და მწვრთნელობაზეც ამიტომ დავთანხმდი" — განაცხადა ახალმა მწვრთნელმა. „ქუინზ პარკმა" კი წინა შაბათს „უიმბლდონთან" 0:8 წააგო და გასავარდნ ზონასთან მხოლოდ ერთი ადგილი აშორებს.**



REUTERS

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი ახლით

**ცვლილებებია** ინგლისის ნაკრებში. ხვალ ბირმინგემის „ვილა პარკზე" მასპინძელთათვის განკუთვნილ სათადარიგოთა სკამზე პირველად დაჯდება სვენ გორან ერიკსონი. ხვალვე გამოჩნდება კარგა ხნის წინ დანიშნული, თუმცა მაინც ახალი მწვრთნელის ტაქტიკური სიახლენი და ეგებ, ახალი სახეებიც.

ამ ფოტოზე ყველა ძველია: დევიდ ჯეიმსი, დევიდ ბექემი, მაიკლ ოუენი და დევიდ სიმენი, მაგრამ დაკვირებული თვალი სიახლეს შეამჩნევს — ესენი ერიკსონის დანარჩენ რჩეულებთან ერთად ამ ახალი მაისურებით დაუხვდებიან ესპანელებს. მატჩი მოგეხსენებათ, ამხანაგურია.

# ანჩელოტიმ არჩია და აირჩია



**ერთ-ერთი** სააგენტოს რწმუნებით, „იუვენტუსის" თავკაცი კარლო ანჩელოტი კლუბთან კონტრაქტის ერთი წლით გახანგრძლივებას დათანხმდა. მას კონტრაქტი 30 ივნისს უსრულდება და ესპანურმა „ბარსელონამაც" თავისთან მიიწვია. გაცხადდა კიდეც, რომ კატალონიური კლუბი იტალიელ მწვრთნელს ორწლიან თანამშრომლობასა და სეზონში 2 მილიონ დოლარს დაჰპირდა. ამასთან, თუ ანჩელოტი და „ბარსელონა" თანახმა იქნებოდა, იტალიელს „კამპ ნოუზე" დარჩენა მომდევნო ერთი სეზონის განმავლობაშიც შეეძლო.

როგორც ანჩელოტიმ მოგვიანებით განაცხადა, მას ხელსაყრელი წინადადებით თურქულმა „ფენერბაჰჩემაც" მიმართა და სტამბოლში გადასვლის სანაცვლოდ სოლიდურ თანხაც შესთავაზა. „მარტო ფულზე რომ ყოფილიყო საქმე, თურქეთში წავიდოდი. შემეძლო, წელიწადში 2 მილიონ დოლარზეც მეტი მიმეღო, მაგრამ „იუვენტუსი" მირჩევნია. იგი უდიდესი კლუბია და მის ხელმძღვანელობასა და მფლობელებთან კარგი ურთიერთობა მაქვს" — დასძინა ტურინში დარჩენილმა მწვრთნელმა.

# ფიორენტინა თერიმს გაეყარა და თურქული შეეყარა

**თურქი** ფათიჰ თერიმი იტალიური „ფიორენტინას" მთავარი მწვრთნელობიდან გათავისუფლდა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც კვირას ფლორენციელებმა 2:2 ითამაშეს შინ „ბრეშასთან".

„ფიორენტინამ" ბოლოს 13 იანვარს მოიგო სერია A-ს მატჩი და კლუბის პრეზიდენტ ჩეკი გორის და თურქ მწვრთნელს შორის ჩამოვარდნილი უთანხმოება განშორებით დასრულდა.

შარშან თურქულ „გალათასარაიში" უეფას თასის მომგები თერიმი „ფიორენტინამ" სეზონის დასაწყისში დანიშნა, მაგრამ ენობრივი ბარიერის გადალახვა ძნელი აღმოჩნდა და უეფას თასის ადრეული ეტაპიდანვე გამოთიშვამ თურქი კლუბის ფანების და პრეზიდენტის სამიზნედ აქცია.

ცოტა ხნის წინ ფათიჰ თერიმმა აღიარა, რომ „ფიორენტინასთან" კონტრაქტის გაგრძელებას ახალი სეზონიდან აღარ აპირებდა, მაგრამ ზაფხულამდე მოცდას ახლავე წასვლა ამჯობინა.

თერიმის შემცვლელთა შორის „ლესტერის" ნახევარმცველი რობერტო მანჩინი და სტამბოლის „გალათასარაის" თანაქალაქელ „ბეშიქთაშის" მწვრთნელი ნევიო სკალაა.

სკალაც „ბეშიქთაშს" სეზონის ბოლოს ტოვებს, მაგრამ იტალიური მედიის ცნობით, კლუბის ვიცე-პრეზიდენტ ილდირიმ დემირორენს ახლავე სურს იტალიელის გაშვება.

მანჩინი „ლაციოში" შვედი სვენ გორან ერიკსონის მოთამაშე თანაშემწე გახლდათ და პროფესიულ სამწვრთნელო განათლების უქონლობას უწუნებენ, „პარმასთან" ერთად უეფას თასის მომგები ნევიო სკალა კი გამოცდილია და „ფიორენტინას" ჩაბარების მეტი შანსი აქვს.

ფათიჰ თერიმის მომავალი ჯერჯერობით გაურკვეველია. თქმა მხოლოდ ერთის შეიძლება: მისმა სახელმა უკვე რამდენჯერმე გაიელვა ესპანური „ბარსელონას" და იტალიური „მილანის" სამწვრთნელო პრობლემებზე საუბრისას.

**ვახტანგ გზირაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა




გაესპანელებულმა გერმანელმა იოჰან მულეგმა ახალ სამშობლოს მსოფლიოს ჩემპიონატის პირველი ოქრო მოუტანა




იანე იმონენის (მარცხნიდან პირველი) გამო ფინეთის ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონობა ჩამოართვეს

# ტრადიცია რუსულად და იტალიურად

## იმონენს ოქრო წაართვეს და ორწლიანი მიართვეს

ლაჰტის მსოფლიოს ჩემპიონატზე პარასკევს რუსების დღე იყო, შაბათს — ყინავდა, კვირას დოპინგ-სკანდალი გაფართოვდა და არცთუ ესპანელმა, იოჰან მულეგმა ისტორია შექმნა, ხოლო რომელიღაც ამ დღეს მავანმა ჟურნალისტმა, იუდით ელფასიმ, პარიზში ბიორნ დელი იპოვა და გაგვახსენა. წერილის ზოგადი სქემა უკვე მოვხაზეთ.

მეთორმეტე წელიწადი, ქალთა ესტაფეტურ თხილამურობაში რუსი მანდილოსნებისთვის უბატონოდ ხმა ვერავის გაუცია. ამავე ლაჰტიში 1989 წელს ფინელებმა საბჭოთა კავშირი დაიბრიყვეს, ხოლო იქიდან მოყოლებული სლავებმა ყველა ესტაფეტა მოიგეს, ამიტომ პარასკევს ოთხი რუსი თავისი წილი 5 კილომეტრის გასავლელად იმ შეგნებით მოემზადა, რომ უეჭველად უნდა მოიგონ. ცალკე საწყენიც ჰქონდათ, ამოუვიდათ ყელში ვერცხლი და ბრინჯაო, ერთი ოქროს მედალიც რომ არ აეღოთ, შინ რა პირით დაბრუნდებოდნენ? ამიტომ სტიმული დიდი იყო, მაგრამ პირველ ეტაპზე სხვანაირად მოხდა. ოლგა დანილოვამ ლიდერობა ფინელ ვირპი კუიტუნენს დაუთმო. ეს ამბავი ეტაპის ადრეულ სტადიაზე დაფიქსირდა, მერე კი დანილოვამ მაინც ვერ დაიპყრო პირველი ადგილი და ფინიშამდე ორი ამოცანის შესრულებას გადაჰყვა: ფინელი ძლიერ წინ არ გაუშვა და აქტიურად მოსრიალე ნორვეგიელი ანიტა მოენი არ გაიკარა. მეორე ეტაპზე რუსებს ლარისა ლაზუტინა ჰყავდათ და სასიკეთო ცვლილებებს ელოდნენ, თუმცა ნორვეგიელთაგანაც მეორე ეტაპზე ბენტე სკარი გავიდა და რუსთან სასტიკი ჭიდილი გამართა. დუელი ლაზუტინამ მოიგო. პარალელურად მან არამარტო მოსპო ფინელებთან 7,1-წამიანი დეფიციტი, არამედ დროის სოლიდური მარაგიც შექმნა, ამიტომ ყველაფრის კარგად დამთავრების შემთხვევაში დღის გმირობა ლაზუტინას ელოდა.

მესამე ეტაპზე სრიალებდნენ: ნორვეგიელი ელინ ნილსენი, ფინელი კაისა ვარისი და რუსი იულია ჩეპალოვა, ჯანმრთელი ციმბირელი გოგო, რომელმაც შანსი არ დაუტოვა მეტოქეებს და ბოლო ეტაპი ფორმალობად აქცია. ნინა გავრილიუკს ბევრი სამუშაო არ ჰქონია, 43,4-წამიანი ფორის შენარჩუნება ევალებოდა, მაგრამ არც მეოთხე რუსმა ინდომა სტატისტად ყოფნა, სხვაობა კიდევ გაზარდა და საბოლოოდ რუსებმა ფინელებს 54,1 წამი, ხოლო ნორვეგიას წუთზე სულ ცოტათი მეტი მოუგეს. ამაოდ დაშვრა სახელოვანი ნორვეგიელი ჰილდე პედერსენი, რომელიც, რუსის დაწევაზე ლაპარაკიც ზედმეტია, მეზობლისთვის ვერცხლის წართმევას გულით ლამობდა და არაფერი გამოუვიდა. მეოთხე ადგილზე იტალია გავიდა და ესეც ერთგვარი ტრადიცია გახლავთ, ოღონდ ამ ჩემპიონატზე ალმოცენებული: ერთეულებშიც სტეფანია ბელმონდომ რამდენჯერაც ისრიალა, იმდენი მეოთხე ადგილი დაიკავა, მედლისგან ერთი ნაბიჯის მოშორებით. ამას სხვანაირად უიღბლობა ჰქვია.

უკვე ქალთა რბოლისას გარემოს ტემპერატურას ვარდნის ნიშნები ეტყობოდა. მრავალი მოთხილამურე სახეზე ნიღაბაფარებული გავიდა სასრიალოდ. თვით ყველაზე საზეიმო მომენტში ნინა გავრილიუკმა რომელიღაც ფანს რუსეთის დროშა რომ გამოჰგლიჯა და ჰაერში ააფრიალა, პარალელურად ყინვის თაობაზე შესჩივლა ჟურნალისტებს. „დავიტანჯე — თქვა მხიარულად მოცინარმა რუსმა — ორი კილომეტრის შემდეგ უკვე გახევებული ვიყავი“. სხვა რუსის ქალებმა რბოლის სუფთა სპორტული მხარეები აღწერეს. „კუიტუნენმა არაჩვეულებრივად ისრიალა — აღნიშნა დანილოვამ პირველი ეტაპის შესახებ — დაწევაზე აღარც ვფიქრობდი, ჩემი პროგრამა-მაქსიმუმი კვალში დარჩენა იყო“. „მე კი ჩქარა გავქანდი — ამას ლაზუტინა ჰყვება — მაგრამ სულ მახსოვდა, რომ სკარი მომდევდა და იგი ძლიერ საშიში იყო“.

უქმეებზე ლაჰტის თავზე ცა მოისარკა. მზე სადღაც ჰორიზონტის სიახლოვიდან უილაჯოდ ანათებდა, ჰაერი გამჭვირვალე იყო, თოვლი თეთრი და ფაფუკი, მოკლედ, საკურორტო ამინდი იდგა, მაგრამ სწორედ დარმა გააფუჭა ყველაფერი; პარასკევ ღამეს ლაჰტიში სრული ძალით ყინავდა, შაბათსაც, კვირა დილით კი ქალთა 30-კილომეტრიანი რბოლის სტარტზე მისულ მოთხილამურეებს მინუს 25 დახვდათ ცელსიუსის სკალით. დილის მზე ანათებდა, მაგრამ ვერ ათბობდა, ხოლო მსოფლიოს ჩემპიონატების განაწესში ერთგან ასე წერია: „რბოლისას ტემპერატურა მინუს ოც გრადუსზე დაბლა არ უნდა დაეცეს“. ყინვები საფრთხეს უქმნის მოთხილამურეთა ფილტვებს, მით უფრო, თუ ერთი-ორ განავარდებაზე კი არა, 30 კილომეტრის ჩქარ ტემპში გალევაზეა ლაპარაკი. შუადლისას ვაჟთა 50 კილომეტრი იყო დაგეგმილი, ამიტომ რბოლის გადადება ვერ ხერხდებოდა. ქალთა ბოლო დისციპლინა, უბრალოდ, მოიხსნა ჩემპიონატიდან, ხოლო როცა ჰაერი ოდნავ გათბა, სტარტზე მამაკაცები გავიდნენ.

გასაკვირია, მაგრამ ყველაზე კლასიკური რბოლის პირველ ხუთეულში სკანდინაველი არ ჭაჭანებს. პარასკევს რუსმა ქალებმა გაიხსენეს, რომ ოქროც არსებობს, კვირას კი პოდიუმზე ფრიად ინტერნაციონალური სამეული შედგა: თავში იოჰან მულეგი ესპანეთიდან, მერე გერმანელი რენე ზომერფელდი და ბოლოს რუსი სერგეი კრიანინი. საერთოდ, მულეგიც გერმანელია (ამაზე ადრეულ ნომრებშიც ითქვა), მაგრამ სამი წლის წინ თავისი ქვეყნის თხილამურობის ფედერაციას ეჩხუბა და რატომღაც სამშობლოზეც გული აიყარა. ჰოდა, ამ უცხოტომელმა გუშინწინ ესპანელებს ისტორია გაუხსნა. იგი თხილამურობის პირველი ესპანელი ჩემპიონია.

„15 წელიწადი ამისთვის ვივარჯიშე“ — იყო მულეგის ჟურნალისტებთან საუბრის კულმინაციური ფრაზა, ხოლო საერთოდ ყინვის თემა არც მან გამოტოვა. „დღეს ყველა სარბოლოდ გასული რკინის კაცია — თქვა მულეგმა — სრიალის დროს კიდევ არაფერი, რომ გავჩერდი, მერე საშინლად ამაძაგძაგა“.




ნინა გავრილიუკმა ფინიშზე რუსეთის დროშა ააფრიალა

თხილამურობაში ცუდი ამბებია: რამდენიმე დღის წინ ფინელი იარი იზომეცა დოპინგ-კონტროლზე ჩაფლავდა. მას ჰიდროქსიეთილი აღმოუჩინეს, ახლა კი ირკვევა, რომ იზომეცა შეიძლება ერთ-ერთი, და არა ერთადერთი იყო ცოდვილთაგან. პარასკევს ფინეთის თხილამურობის ასოციაციამ კიდევ ერთი ეჭვმიტანილის შესახებ განაცხადა. „ვაჟი მოთხილამურის A ნიმუშმა დადებითი შედეგი უჩვენა — განაცხადა ფინური თხილამურობის შეფმა პაავო პეტაიამ კვირას — მაგრამ B ნიმუშის შედეგებამდე ვინაობას არ გავამხელთ“. ამის გაკეთებამ პეტაიას გუშინ მოუწია, როცა მეორე ტესტის შედეგიც დადებითი გამოდგა და აი ის ანონიმი კაციც: იანე იმონენი, ესტაფეტის მსოფლიოს აწ უკვე ექსჩემპიონი, რადგან ფინელთა საესტაფეტო ნაკრებს მომხდარის გამო ცინცხალი ოქროს მედლები წაჰგვარეს. უშუალო დამნაშავე კი ორწლიანი დისკვალიფიკაციითაც დაისაჯა. ახლა სრულიად ფინეთის ნაკრები ისინჯება და ვარაუდობენ, რომ კიდევ არაერთი ლლავი მოჰყვება ბადეში. სკანდალს ჯაჭვური რეაქცია უკვე მოჰყვა და ფრიად მძაფრიც. ფინეთის სახელმწიფო ტელევიზიის ტელეტექსტი იუწყება, ნაკრების ექიმები: ბირკა მაკელა და იუჰა პეკა სამსახურიდან ნებით წავიდნენო. ხმა აიმაღლა ფინეთის კულტურის მინისტრმა სუვი ლინდენმა. „ენა ჩამივარდა, ეს რომ გავიგე — უთქვამს მაღალ პერსონას — ცხადი ხდება, თხილამურობის მმართველი ორგანოები მოიკოჭლებენ ფინეთში“. მინისტრმა საზოგადოებას აღუთქვა, რომ დოპინგთან ბრძოლაში შეურიგებელი იქნება, თუმც სიტყვებით ვინ მოალბობს სპონსორთა გულებს, რომელთაც ღრენა უკვე დაიწყეს. ფინეთის თხილამურობის ასოციაციის რამდენიმე ფინანსური წყარო დაშრეტას იწყებს, სპონსორებმა კონტრაქტების დარღვევის პროცესები წამოიწყეს.

და სხვები? თხილამურობის საერთაშორისო ფედერაციის დოპინგ-კონტროლის განყოფილების თავმჯდომარე, ინგარდ ლერეიმი ფიქრობს, რომ ანგელოზები არც დანარჩენი ქვეყნების შვილები უნდა იყვნენ. „ყველგან და ყოველთვის იქნება ისეთი მოთხილამურე, რომელიც დოპინგის ხმარებას არ მოიშლის — ამბობს ლერეიმი — ჩვენ გავაგრძელებთ მუშაობას. საქმე ბევრია“.

დოპინგზე მკვეთრად უარყოფითი რეაქცია ჰქონდა თავად ლეგენდარულ ბიორნ დელის, როცა „ევროსპორტის“ ნახსენებმა ჟურნალისტმა მას პარიზში მიაკვლია და რამდენიმე კითხვა დაუსვა. დიდი ნორვეგიელი მოთხილამურის ამბავი ვერაა ფარსაგად: წლინახევრის წინ დაშავებული ზურგი თურმე ჯერაც მკურნალობას საჭიროებს. დელი ერთობ გამოაკლდა ლაჰტის მსოფლიოს პირველობას, თუმცა იქ სრიალი გულით სდომებია. „ბევრს ვვარჯიშობდი — თქვა დელიმ — მინდოდა, ჩქარა დავბრუნებულიყავი, მაგრამ არაფერი გამომდის. წლევანდელ სეზონს ალბათ ჩავაგდებ.“

მსოფლიოს პირველობის დონე დელის მოსწონებია. „მშვენიერი ჩემპიონატი იყო. როცა ტელევიზორთან ვიჯექი, მეგონა, პარიზში კი არა, ლაჰტიში ვიყავი. ლაჰტის ტრასები კარგად მაგონდება“. რატომაც არა, ტრავმამდელი ბოლო შეჯიბრი ხომ დელიმ სწორედ იმ ქალაქში მოიგო.

შემდეგ ნორვეგიელი დოპინგის ამბავს გადასწვდა და იარი იზომეცას საქციელზე მწუხარება გამოთქვა. „ეს ჩემთვის შოკი იყო. არასოდეს დამჭირვებია ჰემოგლობინის დონის ან კიდევ სისხლში პლაზმის კონცენტრაციის გაზრდა. არა მგონია, იზომეცას საქციელი სწორი იყო. მე გული მტკივა მის გამო — ჩემი კბილაა, 19 წლის ასაკიდან ერთად დავდივართ და ვსრიალებთ“.

ინტერვიუს დასასრულს ჟურნალისტმა დელის ერთხელაც ჰკითხა, თხილამურებზე როდის გიხილავთო. დელიმაც დაუზუსტა, სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიურ თამაშებზეო.

**დავით გულუა**

| ქალები. 4X5 კმ. ესტაფეტა |
|---|
| 1. რუსეთი (ოლგა დანილოვა, ლარისა ლაზუტინა, იულია ჩეპალოვა, ნინა გავრილიუკი) 53:01,6 |
| 2. ფინეთი (ვირპი კუიტუნენი, მილა იაუჰო, კაისა ვარისი, პირიო მანინენი) 53:55,7 |
| 3. ნორვეგია (ანიტა მოენი, ბენტე სკარი, ელინ ნილსენი, ჰილდე პედერსენი) 54:01,9 |

| ვაჟები. 50 კმ |
|---|
| 1. იოჰან მულეგი (ესპანეთი) 2:05.27,2 |
| 2. რენე ზომერფელდი (გერმანია) 2:07.23,4 |
| 3. სერგეი კრიანინი (რუსეთი) 2:07.28,4 |
| 4. ანდრეი ნუტრიხინი (რუსეთი) 2:08.30,3 |
| 5. კრისტიან ჰოფმანი (ავსტრია) 2:08.50,5 |

# სარბიელი

## სპორტული ლატარია კროკო

### გერმანია. II ბუნდესლიგა. გადადებული მატჩები
28 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 001 | მაინცი-დუისბურგი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 22.00 | 002 | ალემანია-კიკერსი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 22.00 | 003 | ზანქტ პაული-როიტლინგენი | 1,65 | 3,1 | 5,3 |

### ინგლისი. I დივიზიონი. გადადებული მატჩი
27 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 004 | ტრანმერი-ჰადერსფილდი | 2,0 | 3,1 | 3,4 |

### ინგლისი. II დივიზიონი. გადადებული მატჩები
27 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 005 | ბორნმუთი-როვერსი | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 23.45 | 006 | ნორთჰემპტონი-სუონსი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 23.45 | 007 | როტერჰემი-კოლჩესტერი | 1,5 | 3,4 | 6,5 |

### ინგლისი. III დივიზიონი. გადადებული მატჩები
27 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 008 | ჩელტენემი-სკანთორპი | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 23.45 | 009 | მენსფილდი-ბარნეტი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 23.45 | 010 | როჩდეილი-პლიმუთი | 1,7 | 3,2 | 4,4 |

### ჰოლანდია. II დივიზიონი. გადადებული მატჩი
28 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 011 | ზვოლე-კამბური | 1,55 | 3,2 | 5,0 |

### ლიბერტადორესის თასი
27 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 01.00 | 501 | სპორტ ბოისი (პერუ)-უნივერსიდადი (ჩილე) | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 01.00 | 502 | ოლმედო (ეკვადორი)-კრუს ასული (მექსიკა) | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 06.10 | 503 | ამერიკა (კოლუმბია)-ტაჩირა (ვენესუელა) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | | **28 თებერვალი** | | | |
| 01.00 | 504 | კობრელოა (ჩილე)-ბოკა ხუნიორსი (არგენტინა) | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 04.10 | 505 | ელ ნასიონალი (ეკვადორი)-რივერ პლეიტი (არგენტ.) | 3,5 | 3,0 | 2,0 |
| 05.00 | 506 | ორიენტე (ბოლივია)-დეპორტივო (კოლუმბია) | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| | | **1 მარტი** | | | |
| 01.00 | 507 | სპორტინგ კრისტალი (პერუ)-ემელეკი (ეკვადორი) | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 05.00 | 508 | სტრონგესტი (ბოლივია)-გუარანი (პარაგვაი) | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 06.00 | 509 | სან ლორენსო (არგენტინა)-კონსეპსიონი (ჩილე) | 1,4 | 3,5 | 7,0 |

### მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები
28 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 510 | იამაიკა-ტრინიდადი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 23.15 | 511 | ბელგია-სან მარინო | 1,02 | 10,0 | 20,0 |
| | 512 | ბელგია-სან მარინო 0:3 | 1,7 | 4,4 | 2,3 |
| 01.00 | 513 | პორტუგალია-ანდორა | 1,02 | 10,0 | 20,0 |
| | 514 | პორტუგალია-ანდორა 0:3 | 1,7 | 4,4 | 2,3 |
| 04.30 | 515 | აშშ-მექსიკა | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 05.00 | 516 | კოსტა რიკა-ჰონდურასი | 1,6 | 3,1 | 5,3 |

### ამხანაგური მატჩები
27 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 517 | ალჟირი-სლოვაკეთი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 23.45 | 518 | საფრანგეთი-გერმანია | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| | | **28 თებერვალი** | | | |
| 18.00 | 519 | სლოვენია-ურუგვაი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 20.00 | 520 | საბერძნეთი-რუსეთი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 20.30 | 521 | ბოსნია-უნგრეთი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 21.00 | 522 | ხორვატია-ავსტრია | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 21.00 | 523 | შვეიცარია-პოლონეთი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 22.00 | 524 | ლიხტენშტაინი-ლატვია | 8,0 | 4,4 | 1,25 |
| 23.00 | 525 | ლუქსემბურგი-ფინეთი | 7,0 | 3,8 | 1,35 |
| 23.00 | 526 | მაკედონია-ჩეხეთი | 3,5 | 3,0 | 2,0 |
| 23.30 | 527 | ირლანდია-დანია | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 23.30 | 528 | მალტა-შვედეთი | 10,0 | 5,6 | 1,15 |
| 23.30 | 529 | ჰოლანდია-თურქეთი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 23.45 | 530 | იტალია-არგენტინა | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 24.00 | 531 | ინგლისი-ესპანეთი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 24.00 | 532 | ჩრდილოეთ ირლანდია-ნორვეგია | 3,8 | 3,0 | 1,9 |

### კალათბურთი
27 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 801 | ტორონტო-კლივლენდი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 04.30 | 802 | მაიამი-ვაშინგტონი | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 05.00 | 803 | ნიუ იორკი-სიეტლი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 05.30 | 804 | სან ანტონიო-პორტლენდი | 1,45 | 12,0 | 2,1 |
| 07.00 | 805 | ვანკუვერი-დალასი | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| 07.30 | 806 | საკრამენტო-კლიპერსი | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| | | **28 თებერვალი** | | | |
| 04.00 | 807 | ინდიანა-მილუოკი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 04.30 | 808 | ატლანტა-ტორონტო | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| 04.30 | 809 | შარლოტი-ნიუ ჯერსი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 05.00 | 810 | მინესოტა-დეტროიტი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 05.00 | 811 | ფილადელფია-მაიამი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 05.30 | 812 | ჩიკაგო-ჰიუსტონი | 3,1 | 12,0 | 1,25 |
| 06.00 | 813 | იუტა-ვანკუვერი | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 06.00 | 814 | ფინიქსი-ორლანდო | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 07.30 | 815 | დენვერი-ლეიკერსი | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 07.30 | 816 | გოლდენ სტეიტი-საკრამენტო | 3,1 | 12,0 | 1,25 |
| | | **1 მარტი** | | | |
| 04.30 | 817 | კლივლენდი-სიეტლი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 04.30 | 818 | ნიუ იორკი-ბოსტონი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 05.00 | 819 | მილუოკი-ჰიუსტონი | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 05.00 | 820 | სან ანტონიო-ფინიქსი | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 07.00 | 821 | პორტლენდი-კლიპერსი | 1,05 | 12,0 | 7,5 |

### კალათბურთი. სუპროლიგა
28 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 822 | ცსკა-რაანანა | 1,05 | 12,0 | 6,0 |
| 21.00 | 823 | ირაკლისი-ბაიერი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| | | **1 მარტი** | | | |
| 21.00 | 824 | ულქერი-ცეპტერი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 21.00 | 825 | ლიეტუვოს რიტასი-სიენა | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 23.30 | 826 | სპლიტი-ვილერბანი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 23.30 | 827 | კრკა-პლანია | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 23.30 | 828 | სკავოლინი-ოსტენდე | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 23.30 | 829 | ალბა-პანათინაიკოსი | 2,1 | 12,0 | 1,4 |
| 23.30 | 830 | პარტიზანი-ეფესი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 23.30 | 831 | პო ორტეზი-მაკაბი | 2,0 | 12,0 | 1,5 |

### კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. II მატჩები
28 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 832 | ტაუ-ოლიმპიაკოსი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 23.30 | 833 | რეალი-ფორტიტუდო | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 23.30 | 834 | ოლიმპია-კინდერი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 23.30 | 835 | ბენეტონი-აეკ | 1,25 | 12,0 | 3,1 |

### ჰოკეი
27 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 901 | ბოსტონი-ფინიქსი | 2,0 | 4,0 | 2,2 |
| 04.00 | 902 | ოტავა-ბუფალო | 1,7 | 4,0 | 2,7 |
| 04.00 | 903 | ფილადელფია-მონრეალი | 1,3 | 4,0 | 5,6 |
| 04.00 | 904 | ვაშინგტონი-ჩიკაგო | 1,5 | 4,0 | 3,4 |
| 04.30 | 905 | აილენდერსი-ნიუ ჯერსი | 2,7 | 4,0 | 1,7 |
| 04.30 | 906 | ატლანტა-კაროლინა | 2,2 | 4,0 | 2,0 |
| 05.00 | 907 | ნეშვილი-ლოს ანჯელესი | 2,0 | 4,0 | 2,2 |
| | | **28 თებერვალი** | | | |
| 04.00 | 908 | კოლუმბუსი-ფინიქსი | 2,8 | 4,0 | 1,65 |
| 04.30 | 909 | ტორონტო-სან ხოსე | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 04.30 | 910 | მონრეალი-პიტსბურგი | 2,5 | 4,0 | 1,8 |
| 04.30 | 911 | რეინჯერსი-ფლორიდა | 1,6 | 4,0 | 3,0 |
| 06.00 | 912 | ედმონტონი-სენტ ლუისი | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 07.00 | 913 | ვანკუვერი-დალასი | 1,8 | 4,0 | 2,5 |
| 07.30 | 914 | ანაჰაიმი-დეტროიტი | 2,7 | 4,0 | 1,7 |
| | | **29 თებერვალი** | | | |
| 04.00 | 915 | ბოსტონი-ტამპა ბეი | 1,4 | 4,0 | 4,4 |
| 04.00 | 916 | ოტავა-სან ხოსე | 1,85 | 4,0 | 2,4 |
| 04.00 | 917 | ვაშინგტონი-ტორონტო | 1,75 | 4,0 | 2,6 |
| 04.30 | 918 | აილენდერსი-კაროლინა | 2,3 | 4,0 | 1,9 |
| 04.30 | 919 | ფილადელფია-ბუფალო | 1,75 | 4,0 | 2,6 |
| 05.00 | 920 | ნეშვილი-კოლუმბუსი | 1,5 | 4,0 | 3,4 |
| 05.30 | 921 | ჩიკაგო-ლოს ანჯელესი | 2,0 | 4,0 | 2,2 |
| 06.00 | 922 | კალგარი-მინესოტა | 1,75 | 4,0 | 2,6 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

## კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე;
გლდანი, I სავაჭრო ცენტრი;
ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან);
წინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)
გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმაღელესთან")
წერეთლის გამზირი №11

ქუთაისი — პუშკინის ქუჩა№16 (ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში)

გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი; სტალინის ქუჩა№30

თელავში — კოსტავას ქუჩა №23. რუსთავში — შარტავას ქუჩა №7

ბათუმში — მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) ქუჩა №21;
ერას (ყოფილი გორკის) ქუჩა №61




გუსტავო კუერტენი გამარჯვებას ასველებს



ნიკოლა ესკუდემ კარიერაში მეორე ტურნირი მოიგო

# კაცი, რომელიც იგებს

**ბუენოს აირესი (არგენტინა)**
**AT&T-ის თასი**
**თიხნარი. საპრიზო 650 ათასი $**

მეოთხედფინალი: **გუსტავო კუერტენი** (1, ბრაზილია) — გილერმო კანასი (არგენტინა) 0:6, 6:1, 6:2; **ხოსე აკასუსო** (არგენტინა) — ფრანკო სკილარი (2, არგენტინა) 6:7 (3:7), 6:4, 6:4; **გასტონ გაუდიო** (4, არგენტინა) — გილერმო კორია (არგენტინა) 6:3, 7:6 (8:6); **ფერნანდო ვისენტე** (5, ესპანეთი) — მარკუს ჰიპფლი (ავსტრია) 6:4 — ტრავმა
ნახევარფინალი: **კუერტენი** — ვისენტე 4:6, 6:2, 6:2; **აკასუსო** — გაუდიო 3:6, 6:1, 6:3
ფინალი: **კუერტენი** — აკასუსო 6:1, 6:3

არგენტინაში ბრაზილიელები ისევე უყვართ, როგორც თბილისში ენერგომამები, თუმცა გამონაკლისი ყველგან და ყველაფერშია. ამას როლან გაროსის ჩემპიონი გუსტავო კუერტენიც დაგიდასტურებთ: „სიმართლე გითხრათ, ცოტა მტრულ შეხვედრას ველოდი, ჩემდამი თბილმა დამოკიდებულებამ გამაკვირვა. შინ კარნავალის გაცდენასაც კი აღარ ვნაღვლობ, მით უმეტეს, რომ აქედან ტიტულით ხელდამშვენებული მივდივარ“.

ტიტულის გარდა „გუგამ“ ბუენოს აირესში კიდევ ერთი კურდღელი მსოფლიოს პირველი ჩოგნის სტატუსიც დაიჭირა. ფინალში გასვლით მან კლასიფიკაციაში რუს მარატ საფინს გადაასწრო.

გადამწყვეტ შეხვედრაში ბრაზილიელის მეტოქე გამოუცდელი მასპინძელი ხოსე აკასუსო იყო. 18 წლის არგენტინელი ტურნირზე კვალიფიკაციის გავლით მოხვდა, გზად სამი განთესილიც დაამარცხა, თუმცა ფინალში ცალკერძ გადაღლილობისა და ცალკერძ ნერვიულობის გამო კუერტენს ხეირიანი წინააღმდეგობა ვერ გაუწია. „გუგამ“ საათზე ოდნავ მეტში იმარჯვა, მთავარი ჯილდოს აწევამდე კი თავის ყველაზე მხურვალე ქომაგს, დედა ელისს გადაეხვია. „აქ ყველა ფავორიტად მთვლიდა, მაგრამ თანამედროვე ჩოგბურთში ტურნირის მოგება ძალიან ძნელია. ეს სეზონი კარგად დავიწყე და იმედი მაქვს, ასევე გავაგრძელებ“.

**როტერდამი (ჰოლანდია)**
**ABN/AMRO-ს პირველობა**
**დარბაზი. ხალიჩა.**
**საპრიზო 850 ათასი $**

მეოთხედფინალი: **როჯერ ფედერერი** (შვეიცარია) — ალექს კორეჩა (3, ესპანეთი) 6:4, 6:2; **ვლადიმირ ვოლჩკოვი** (ბელარუსი) — ანდრეას ვინსიგერა (შვედეთი) 5:7, 6:1, 6:3; **ანდრეი პაველი** (რუმინეთი) — ნიკოლას კიფერი (გერმანია) 6:4, 6:4; **ნიკოლა ესკუდე** (საფრანგეთი) — ივან ლუბიჩიჩი (ხორვატია) 6:3, 6:1
ნახევარფინალი: **ფედერერი** — პაველი 6:7 (4:7), 6:4, 6:0; **ესკუდე** — ვოლჩკოვი 6:4, 6:1
ფინალი: **ესკუდე** — ფედერერი 7:5, 3:6, 7:6 (7:5)

როდესაც ნიკოლა ესკუდეს პირველად შეხედავთ, ალბათ, ვიქტორ ჰიუგოს „კაცი, რომელიც იცინის“ გაგახსენდებათ. ფრანგ ჩოგბურთელს, საბედნიეროდ, კბილები გარეთ არა აქვს გამოგდებული, მაგრამ საოცრად წაგრძელებული სახით, ანომალიურად დიდი ნიკაპითა და მუდმივად მრისხანე გამომეტყველებით მაყურებელზე არანაკლებ ეფექტს ახდენს.

მეტყველი გარეგნობის გარდა ესკუდე საკმაო ნიჭითა და შესანიშნავი ორხელა ბექჰენდითაა დაჯილდოებული, და ხშირი ტრავმები რომ არა, კლასიფიკაციაში გაცილებით მაღლა დამკვიდრდებოდა. ფრანგი ერთხანს ჩოგბურთიდან დასვენებას აპირებდა, მაგრამ ბოლო წუთს გადაიფიქრა, როტერდამში საკვალიფიკაციო ტურნირზე თამაში არ დაიზარა და არც წააგო — შესარჩევ ეტაპზე დამარცხებულ სამ მეტოქეს ძირითად ბადეში მან კიდევ ხუთი მიაყოლა და კარიერის მეორე ტიტული მოიპოვა.

„ამ ტურნირამდე ზედიზედ სამჯერ პირველივე წრეში დავმარცხდი, ამიტომ აქ თავდაჯერების დასაბრუნებლად და წუნის გამოსასწორებლად ჩამოვედი. წარმატებას სულაც არ ველოდი, ორმაგად ბედნიერი ვარ“ — აღნიშნა ჩემპიონმა, რომელსაც 139 ათასი დოლარი ერგო.

ბრწყინვალე ფორმაში მყოფ როჯერ ფედერერთან ფრანგის ჭიდილი საუცხოო სანახაობად იქცა. ჩოგბურთელებმა მატჩი არც ისე კარგად დაიწყეს, მაგრამ შეცდომებს თანდათან უკლეს და ლამაზ გათამაშებებს უმატეს. პირველი სეტის მოგების შემდეგ ესკუდემ შვეიცარიელ ამომავალ ვარსკვლავს კარგა ხნით გადაულოცა უპირატესობა, საკუთარი მოწოდებაც რამდენჯერმე დაკარგა, თუმცა დიდი ძალისხმებით გადამწყვეტი ხელის ტაი-ბრეიკს მაინც მიატანა. აქ კი ფრანგს უფრო მტკიცე ნერვები აღმოაჩნდა.

„ნიკოლამ დღეს ძლიერი მოწოდებებით და სტაბილური თამაშით გამაოცა, თუმცა იმედგაცრუებული არ ვარ. ბოლო ორ თვეში ძალიან მოვუმატე. ახლა თითოეული ტურნირის დაწყების წინ ჩემპიონობაზე ვფიქრობ“ — აღნიშნა ფედერერმა.

**მემფისი (აშშ)**
**CROGER ST. JUDE-ის პირველობა**
**დარბაზი. ხალიჩა**
**საპრიზო 800 ათასი $**

მეოთხედფინალი: **მარკ ფილიპუსისი** (2, ავსტრალია) — დიმიტრი ტურსუნოვი (რუსეთი) 6:3, 6:2; **ტომი ჰაასი** (3, გერმანია) — ჟან-მაიკლ გემბილი (5, აშშ) 6:4, 6:2; **დავიდე სანგვინეტი** (9, იტალია) — კრის ვუდრაფი (აშშ) 6:2, 2:6, 6:3; **სებასტიან ლარო** (კანადა) — ჯეისონ სტოლტენბერგი (12, ავსტრალია) 7:6 (8:6), 6:4
ნახევარფინალი: **ფილიპუსისი** — ჰაასი 7:6 (7:5), 7:6 (7:5); **სანგვინეტი** — ლარო 7:6 (7:1), 6:3
ფინალი: **ფილიპუსისი** — სანგვინეტი 6:3, 6:7 (5:7), 6:3

მარკ ფილიპუსისმა მართლაც განახორციელა თავისი ამბიციური ჩანაფიქრი: მუხლის ოპერაციით გამოწვეული ხანგრძლივი პაუზის შემდეგ დაბრუნებულმა პირველივე ტურნირი მოიგო.

—თუ გინდა, ჩოგბურთში საუკეთესო იყო, დრო სხვას არაფერს უნდა დაუთმო. უკვე 24 წლის ვარ, იმედი მაქვს, წინ კიდევ 6-7 კარგი სეზონი მელის და ამისთვის არაფერს დავიშურებ“ — განაცხადა ხელახლა დაბადებულმა „სკადმა“, რომელმაც თავის მრავალრიცხოვან გატაცებებს — მოტოციკლებით ქროლას, სერფინგს საბოლოოდ შეაქცია ზურგი და ამის ნაცვლად ტრენაჟორებზე ვარჯიშსა და სირბილს უმატა.

ფილიპუსისი ყუმბარისებური მოწოდებებით ყოველთვის გამოირჩეოდა, მაგრამ მემფისში საკუთარ თავსაც კი გადააჭარბა: ნახევარფინალში ტომი ჰაასის წინააღმდეგ 26 ეისი მოაწოდა, ფინალში — სულაც 31 (აქედან 8 ზედიზედ). დაუმატეთ ამას ისიც, რომ გადამწყვეტ მატჩში დავიდე სანგვინეტის ზურგის ტრავმა აწუხებდა, მოძრაობა უჭირდა და მის ადგილზე აღმოჩენას ნამდვილად არ ისურვებდით. იტალიელი ხშირად რეაგირებასაც ვერ ასწრებდა „სკადის“ ყუმბარებზე და გაღიზიანებული თუ გაოცებული თავსლა აქნევდა იქეთ-აქეთ.

**ოკლაჰომა სიტი (აშშ).**
**IGA-ის დარბაზის პირველობა.**
**ხალიჩა. საპრიზო 170 ათასი $**

ნახევარფინალი: **მონიკა სელეში** (1, აშშ) — შინობუ ასაგოე (იაპონია) 6:7 (5:7), 6:2, 6:2; **ჯენიფერ კაპრიატი** (2, აშშ) — დანიელა ჰანტუჩოვა (სლოვაკეთი) 6:4, 3:6, 6:2
ფინალი: **სელეში** — კაპრიატი 6:3, 5:7, 6:2

როგორც მოსალოდნელი იყო, ოკლაჰომას პატარა ტურნირის ფინალში ორი მასპინძელი, პირველ-მეორედ განთესილი მონიკა სელეში და ჯენიფერ კაპრიატი შეხვდნენ ერთმანეთს. ფავორიტად მცირედით, ალბათ, ავსტრალიის ღია პირველობის ჩემპიონი კაპრიატი ითვლებოდა, თუმცა ჭყვიტინის დედოფალმა სელეშმა მელბურნში მეოთხედფინალში წაგებისთვის შურისძიება მოახერხა.

„ძალიან მინდოდა, იმაზე უკეთ მეთამაშა და მებრძოლა, ვიდრე ჩვენს ბოლო პირად შეხვედრაში. ამ კვირაში მაინცდამაინც კარგ ფორმაში არ ვიყავი, მაგრამ დღეს ყველაფერი ჩინებულად აეწყო“.

განსაკუთრებით კარგად მონიკას საფინიშო სპურტი გამოუვიდა: 2:2-დან მესამე ხელში მან კაპრიატი მძლავრი დარტყმა-მიღებებით დაჩაგრა და ერთი გეიმიც აღარ მოაგებინა.

„ტრაგიკულს ამ მარცხში ვერაფერს ვხედავ. ბევრი მეუბნებოდა, „მეიჯორზე“ გამარჯვების შემდეგ რიგით შეხვედრებში თამაში გაგიჭირდებაო, მაგრამ ასეთი არაფერი მომხდარა“ — განაცხადა კაპრიატიმ.

**დუბაის (საემიროები)**
**საჩოგბურთო ჩემპიონატი**
**ჰარდი. საპრიზო 565 ათასი $**

ნახევარფინალი: **მარტინა ჰინგისი** (1, შვეიცარია) — ტამარინ ტანასუგარნი (7, ტაილანდი) 7:6 (8:6), 6:1; **ნატალი ტოზია** (3, საფრანგეთი) რეიჩელ მაკქვილანი (ავსტრალია) 7:6 (7:5), 6:4
ფინალი: **ჰინგისი** — ტოზია 6:4, 6:4

სეზონის დასაწყისში მეტისმეტად გადატვირთული გრაფიკის გამო დუბაის ტურნირის ფინალში მსოფლიოს პირველ ჩოგან მარტინა ჰინგისს საემიროების უდაბნოებში უწყლოდ მოხეტიალე პილიგრიმის მაშვრალი იერი ჰქონდა. თუმცა გასავათების მიუხედავად, 20 წლის შვეიცარიელმა სეზონის მესამე და კარიერის 38-ე ტიტული მაინც არავის დაანება.

**ავთანდილ სვანიძე**



## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

23 თებერვალი

**სან ხოსე 3:1 ანაჰაიმი (1:0 1:1 1:0)**
1:0 სუნდსტრიომი 19 (10), 1:1 სელიანე 22 (25), 2:1 მატო 36 (9), 3:1 მატო 51 (10)

**კოლორადო 4:1 მინესოტა (1:1 2:0 1:0)**
0:1 ბლუენი 6 (3), 1:1 ფორსბერგი 8 (23), 2:1 საკიკი 32 (35), 3:1 დრური 39 (18), 4:1 დრური 45 (19)

**დალასი 5:4 ბოსტონი (0:2 2:0 2:2 1:0)**
0:1 ნაბლი 2 (5), 0:2 მაკლარენი 20 (5), 1:2 მოროუ 22 (14), 2:2 ჰალი 30 (29), 3:2 სიდორი 41 (7), 4:2 მოროუ 44 (15), 4:3 გერინი 45 (32), 4:4 ტორნტონი 51 (21), 5:4 ნუინდაიკი 61 (24)

**ჩიკაგო 1:0 ატლანტა (1:0 0:0 0:0)**
1:0 კოლდერი 7 (3)

**დეტროიტი 4:2 სენტ ლუისი (1:1 2:0 1:1)**
1:0 ფიოდოროვი 15 (31), 1:1 იანგი 16 (90), 2:1 დრეიპერი 28 (5), 3:1 ჰოლმსტრიომი 32 (8), 4:1 აიზერმანი 51 (13)

**პიტსბურგი 6:4 რეინჯერსი (2:2 3:1 1:1)**
0:1 დვორჟაკი 1 (18), 1:1 კოვალიოვი 15 (37), 1:2 მესიე 18 (19), 2:2 კოვალიოვი 19 (38), 3:2 ლემიე 24 (22), 4:2 ბერანეკი 27 (7), 4:3 ლიჩი 32 (15), 5:3 კოვალიოვი 33 (39), 6:3 სტრაკა 41 (22), 6:4 კამენსკი 45 (12)

**ვაშინგტონი 3:1 მინესოტა (2:0 0:0 1:1)**
1:0 ჰალპერნი 4 (14), 2:0 ხრისტიჩი 10 (11), 3:0 კ. იუჰანსონი 45 (5), 3:1 პეტროვი 57 (10)

**ბუფალო 3:7 ფინიქსი (1:2 0:2 2:3)**
0:1 რენიკი 5 (22), 0:2 დოუნი 11 (16), 1:2 ბარნსი 14 (16), 1:3 რენიკი 33 (23), 1:4 ილონენი 34 (4), 1:5 რენიკი 48 (24), 2:5 ბრაუნი 52 (6), 3:5 დიუმონი 52 (18), 3:6 ილონენი 53 (5), 3:7 დოუნი 54 (17)

**კაროლინა 3:2 ნიუ ჯერსი (2:1 0:1 1:0)**
0:1 მედენი 2 (18), 1:1 უილისი 17 (16), 2:1 სუესლი 18 (5), 2:2 ელიაში 28 (22), 3:2 უილისი 44 (17)

24 თებერვალი

**კალგარი 1:3 ედმონტონი (1:2 0:1 0:0)**
0:1 ჟოლტოკი 7 (3), 0:2 პოტი 12 (9), 1:2 იგინლა 15 (23), 1:3 ჰორკოფი 39 (7)

**სენტ ლუისი 3:2 ბოსტონი (0:1 1:1 1:0 1:0)**
0:1 როლსტონი 8 (12), 0:2 ტორნტონი 21 (22), 1:2 იანგი 27 (31), 2:2 პრონგერი 59 (7), 3:2 ტარჯონი 62 (25)

**ნეშვილი 2:1 მინესოტა (1:0 0:0 1:1)**
1:0 უოკერი 13 (19), 2:0 გ. ჯონსონი 47 (13), 2:1 ოდონელი 58 (4)

**ტორონტო 5:1 მონრეალი (2:0 1:0 2:1)**
1:0 ჰოგლუნდი 2 (19), 2:0 კორსონი 12 (7), 3:0 ტომასი 29 (5), 3:1 კოივუ 42 (9), 4:1 ბერეზინი 47 (19), 5:1 ველკი

**კაროლინა 1:2 ვაშინგტონი (0:0 1:1 0:1)**
1:0 უილისი 22 (18), 1:1 ბონდრა 25 (36), 1:2 ნიკოლიშინი 52 (10)

**ოტავა 3:0 ვანკუვერი (1:0 1:0 1:0)**
1:0 ალფრედსონი 15 (15), 2:0 ზამუნერი 26 (17), 3:0 ჰოსა 52 (25)

**ლოს ანჯელესი 3:1 კოლუმბუსი (1:0 0:1 2:0)**
1:0 პალფი 2 (27), 1:1 კნუტსენი 28 (8), 2:1 სმოლნიკი 58 (21), 3:1 პალფი 60 (28)

**აილენდერსი 5:4 ფლორიდა (2:1 2:2 0:1)**
1:0 ჩერკავსკი 8 (21), 2:0 ჯ. ბლეიკი 10(3), 2:1 პ. ბურე 15 (41), 3:1 ჩერკავსკი 20 (22), 4:1 სკაჩარდი 23 (13), 5:1 ჰამრლიკი 25 (13), 5:2 კოზლოვი 27 (11), 5:3 ბოილი 29 (3), 5:4 პროსპალი 41 (4)

**ფილადელფია 0:0 ტამპა**

25 თებერვალი

**ბუფალო 5:4 ტამპა (2:1 2:0 1:3)**
1:0 ანდრეიჩუკი 3 (15), 2:0 გილმორი 15 (4), 2:1 რ. ჯონსონი 20 (6), 3:1 შატანი 31 (23), 4:1 ციპლაკოვი 32 (5), 4:2 კალიმორი 44 (1), 5:2 ანდრეიჩუკი 48 (18), 5:3 [illegible] 57 ([illegible]), 5:4 [illegible] 57 ([illegible])

**დეტროიტი 6:3 ფინიქსი (0:3 3:0 3:0)**
0:1 [illegible] 2 (10), 0:2 [illegible] (27), 0:3 ილონენი 15 (6), 1:3 დანდენო 31 (6), 2:3 შენაჰანი 32 (20), 3:3 ჰოლმსტრომი 35 (9), 4:3 შენაჰანი 49 (21), 5:3 დევერო 53 (3), 6:3 ლაპოინტი 55 (20)

**ანაჰაიმი 2:5 კოლუმბუსი (0:1 1:1 1:3)**
0:1 კნუტსენი 1 (9), 0:2 სანდერსონი 30 (27), 1:2 ლეკლერკი 35 (15), 1:3 ჰაინცი 27 (19), 2:3 კარია 53 (19), 2:4 კნუტსენი 54 (10), 2:5 ადამსი 60 (8)

**ედმონტონი 3:2 დალასი (1:1 1:0 0:1 1:0)**
1:0 კარტერი 3 (13), 1:1 სიდორი 17 (8), 2:1 კლირი 35 (9), 2:2 ზუბოვი 52 (8), 3:2 მარჩანტი 61 (9)

**კოლორადო 5:2 ატალანტა (2:0 2:0 1:2)**
1:0 საკიკი 9 (36), 2:0 ჰეიდუკი 11 (34), 3:0 რ. ბლეიკი 28 (18), 4:0 ჰეიდუკი 37 (35), 5:0 პოდეინი 44 (13), 5:1 გუოლა 58 (10), 5:2 კარლსონი 60 (5)

**პიტსბურგი 6:1 აილენდერსი (0:0 2:1 4:0)**
0:1 ჩერკავსკი 22 (23), 1:1 ლანგი 30 (24), 2:1 პრდინა 38 (13), 3:1 ფერენსი 44 (1), 4:1 პრიმო 50 (3), 5:1 ბერანეკი 50 (8), 6:1 ლანგი 56 (25)

**ჩიკაგო 6:4 ტორონტო (0:0 1:0 5:4)**
1:0 ნიულანდერი 32 (21), 2:0 პრობერტი 42 (5), 2:1 დომი 43 (12), 2:2 ჰოგლუნდი 43 (26), 2:3 ბელაკი 47 (1), 2:4 პერო 48 (8), 3:4 დაზე 49 (24), 4:4 დაზე 54 (25), 5:4 ჰერპერგერი 57 (8), 6:4 სალივანი 6:0 (29)

**ფილადელფია 2:1 რეინჯერსი (0:1 1:0 1:0)**
0:1 გრეივსი 14 (9), 1:1 გრეიგი 25 (1), 2:1 რეკი 55 (20)

### ჩრდილო აღმოსავლეთი

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ოტავა | 61 | 35 | 8 | 2 | 16 | 195:145 | 80 |
| ბუფალო | 62 | 33 | 5 | 1 | 23 | 165:146 | 72 |
| ტორონტო | 64 | 28 | 10 | 4 | 22 | 192:161 | 70 |
| ბოსტონი | 62 | 25 | 6 | 7 | 24 | 163:189 | 63 |
| მონრეალი | 63 | 20 | 5 | 4 | 34 | 152:184 | 49 |

### ატლანტა

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ფილადელფია | 63 | 33 | 10 | 2 | 18 | 190:165 | 78 |
| პიტსბურგი | 62 | 32 | 7 | 2 | 21 | 207:190 | 73 |
| ნიუ ჯერსი | 61 | 29 | 12 | 3 | 17 | 201:150 | 73 |
| რეინჯერსი | 61 | 25 | 4 | 1 | 31 | 191:214 | 55 |
| აილენდერსი | 62 | 17 | 5 | 3 | 37 | 142:200 | 42 |

### სამხრეთ აღმოსავლეთი

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვაშინგტონი | 62 | 32 | 10 | 1 | 19 | 175:155 | 75 |
| კაროლინა | 61 | 27 | 7 | 3 | 24 | 159:168 | 64 |
| ფლორიდა | 63 | 17 | 8 | 8 | 30 | 147:187 | 50 |
| ატლანტა | 62 | 18 | 9 | 2 | 33 | 166:219 | 47 |
| ტამპა | 63 | 16 | 6 | 3 | 38 | 154:224 | 41 |

### ცენტრი

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| დეტროიტი | 64 | 38 | 6 | 4 | 16 | 194:162 | 86 |
| სენტ ლუისი | 62 | 38 | 7 | 2 | 15 | 200:141 | 85 |
| ნეშვილი | 64 | 26 | 8 | 2 | 28 | 150:161 | 62 |
| ჩიკაგო | 63 | 26 | 5 | 3 | 29 | 173:184 | 60 |
| კოლუმბუსი | 63 | 19 | 7 | 6 | 31 | 141:185 | 51 |

### ჩრდილო დასავლეთი

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| კოლორადო | 63 | 40 | 9 | 2 | 12 | 211:146 | 91 |
| ვანკუვერი | 62 | 31 | 5 | 5 | 21 | 191:182 | 72 |
| ედმონტონი | 64 | 29 | 9 | 2 | 24 | 175:173 | 69 |
| კალგარი | 61 | 21 | 11 | 4 | 25 | 151:176 | 57 |
| მინესოტა | 61 | 22 | 8 | 3 | 28 | 131:149 | 55 |

### წყნარი ოკეანე

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სან ხოსე | 61 | 37 | 10 | 0 | 17 | 168:130 | 78 |
| დალასი | 62 | 35 | 5 | 2 | 20 | 172:148 | 77 |
| ფინიქსი | 62 | 29 | 12 | 2 | 19 | 163:150 | 72 |
| ლოს ანჯელესი | 62 | 27 | 8 | 1 | 26 | 199:188 | 63 |
| ანაჰაიმი | 64 | 18 | 8 | 5 | 33 | 149:195 | 49 |




ბუფალო — ფინიქსი. ბუფალოელმა ერიკ ბულტონმა და ბრედ მეიმ (№32) მუშტი-კრივი გაახურეს

## საქართველოს ჩემპიონატი

# ჰისთვის მცხრალია ცხრილი

**24 თებერვალი. ვერის ბაღი**

**აზოტი 88:76 თსუ**

24:14, 19:10, 21:21, 24:31
**აზოტი:** ა. ჟღენტი (14), ჯიმშელეიშვილი (2), კოკოლიშვილი (18), ბაბიაშვილი (25), ბერუაშვილი (12); აბზიანიძე (6), მიქიაშვილი (6), ჩაჩუა (4), დანელიანი (2), გაბისონია, არწივიძე
**თსუ:** დ. ბერიშვილი (8), ი. ბერიშვილი (14), გ. მარკოიშვილი (11), ახალკაცი (4), მაჭარაძე (10); მაისურაძე (16), ხეცურიანი (9), არსიაშვილი (2), სანიკიძე (2), ზანგურაშვილი, ზამთარაძე
**მსაჯები:** დავით ბერეკაშვილი, დავით ანდრიაძე
**კომისარი:** როლანდ ხომერიკი

**24 თებერვალი. ვერის ბაღი**

**შევარდენი 59:78 ბასკო**

9:20, 21:21, 18:11, 11:26
**შევარდენი:** ნ. ნოზაძე (3), გ. ჩხეიძე (25), გიგაური (9), ქევხიშვილი (2), სუხიშვილი (5); ალავიძე (6), გელაშვილი (5), ნუცუბიძე (4), კაზანჯიანი, გულხადარაშვილი, მაჭავარიანი
**ბასკო:** ნიკოლაძე (1), მ. მარკოიშვილი (11), საყვარელიძე (10), ვ. ნაცვლიშვილი (11), კილაძე (2); ქარაბაკი (18), ბეჟანიშვილი (12), აბრამიძე (6), კეშელავა (5), ათუაშვილი (2), ორმოცაძე
**მსაჯები:** დავით ბერეკაშვილი, მაკა კუპატაძე
**კომისარი:** ნოდარ დარახველიძე

**24 თებერვალი. ვერის ბაღი**

**სტუ 90:75 მაკაბი**

19:8, 27:19, 30:17, 14:31
**სტუ:** ხოშტარია (10), დავითულიანი (21), ლოსაბერიძე (2), ოთიურიძე (10), მინაშვილი (11); კუიდია (13), ჩუბინიძე (10), მიქაძე (7), კორძაძე (4), სულაძე (2), ბ. ბერიშვილი
**მაკაბი:** წოწელია (11), სარიშვილი (7), ტუჯანი (8), ი. შანიძე (28), დაჩუმი (10); კოქლამაზაშვილი (6), ფიცხელაური (3), ანდღულაძე (2), ქოქოსაძე
**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, ზურაბ აბაშიძე
**კომისარი:** მურმან ქურიძე

**ირაკლი ფირაშვილი**

დაღბა 24 თებერვალი და მეათე ეროვნული ოქროსთვის რბოლა ქართულმა საკალათბურთო ნაღებმა განაახლა — ექვსეულმა ჭიდილი დაიწყო. ისე კი სიტყვა „ჭიდილი" პირობითად ვთქვათ, რადგან გათოშილ ვერის საკალათბურთო დარბაზში მოსულმა გულშემატკივარმა ვერ იხილა ის დაძაბულობა, რაც ჩვენს ჩემპიონატს ნამდვილად არ აკლია. არცთუ მცირე ხნის შესვენების შემდეგ ფიცარნაგს დაბრუნებულ გუნდთა შეხვედრები ერთგვარ გახურებას უფრო ჰგავდა, ვიდრე ბრძოლის ჟინით ანთებულთა ჯახს.

პირველად „აზოტმა" და თსუ-მ ითამაშეს. ეროვნული ვერცხლის სამგზის მფლობელ რუსთაველებს არასდროს უჭირდათ სტუდენტთა დამარცხება და შაბათს რა ღმერთი გაუწყრებოდათ? ანგარიში რუსთაველთა თბილისელმა ფრთამ ნუგზარ კოკოლიშვილმა გახსნა ორქულიანით, რასაც სტუდენტთა ცენტრმა შოთა მაჭარაძემ უპასუხა. მომდევნო შეტევაში რუსთაველთა თავდამსხმელმა ზვიად ბაბიაშვილმა ერთ შეტევაში სამი ქულა მიითვალა, „აზოტი" 5:2 დაწინაურდა და მეტოქე ბოლო წუთებამდე მდევრად ამყოფა. შეხვედრის დასაწყისიდანვე გამოიკვეთა რუსთაველთა უპირატესობა ორივე ფართან. სტუდენტებს აშკარად უჭირდათ მეტოქეთა მაღლების — ბერუაშვილისა და ბაბიაშვილის, განსაკუთრებით ამ უკანასკნელის შეჩერება. „აზოტში" თსუ-დან გადასულმა ბაბიაშვილმა ყოფილი გუნდის ფარი პირველი წუთებიდანვე აიკლო. სტუდენტები ჯარიმებითაც ახერხებდნენ მის შეჩერებას, თუმც ამით ხეირს ვერ პოულობდნენ. მართალია, ბაბიაშვილი საჯარიმოს ხაზიდან არცთუ დიდი შედეგიანობით გამოირჩეოდა, მაგრამ აუცილებელს ხან თავად ხსნიდა, ხანაც მისი თანაგუნდელები ეპატრონებოდნენ. რუსთაველთა ნასროლი ბურთი ადვილად ვარდებოდა მეტოქის კალათში. თსუ-ს მაღალთა უშედეგო გარჯის ფონზე ვერც დაბლები ყოჩაღობდნენ და სხვაობაც თანდათან იზრდებოდა. „აზოტის" უპირატესობამ მეოთხედის მიწურულს ათ ქულას უწია, თითქმის იგივე სცენარით წარმართულ მეორე მეოთხედის ბოლოს კი ტაბლოზე 43:24 კიაფობდა რუსთაველთა სასარგებლოდ.

მეორე ტაიმში თსუ ოდნავ უკეთესად ათამაშდა, რაც „აზოტის" მწვრთნელის ოთარ ხმელიძის მიერ გაკეთებულ შეცვლებს უფრო უნდა მიეწეროს. მისი გუნდი საკმაოდ სოლიდური უპირატესობით იგებდა და ხმელიძე დროდადრო გუნდის წამყვან მოთამაშეებს ასვენებდა. თსუ-სთვის ამან ბოლო მეოთხედშილა გამოიღო ნაყოფი. ამ თორმეტწუთეულის შუაწელს რუსთაველთა დამრიგებელმა მოედანზე მხოლოდ სათადარიგოები დატოვა. ეს ბუნებრივიც იყო, მისი გუნდი ოც ქულაზე მეტით იგებდა და „აზოტს" სანერვიულო არაფერი ჰქონდა. აქ სტუდენტებმა ძალა მოიკრიბეს და მეტოქეს საბოლოო შტურმი მოუწყვეს. სტუდენტთა უკანახაზელების — ირაკლი მაისურაძის და მისი სეხნია ბერიშვილი მეცადინეობით უნივერსიტეტმა გვარიანად შეამცირა ჩამორჩენა. ირაკლი ბერიშვილმა მატჩის დამთავრებამდე წუთნახევრით ადრე შეტევაში სამი ქულა გაახერხა და ჩამორჩენა რვა ქულამდე დაიყვანა — 79:71. ოციოდ წამის შემდეგ კი სამიანი ჩააგდო და 81:74 გახადა, რამაც მცირეოდენი ვნებათაღელვა გამოიწვია, მაგრამ ბოლო წუთს რუსთაველთა დამაჯერებელმა თამაშმა სტუდენტებს საშუალება აღარ მისცა, უფრო ახლოს მისულიყვნენ მეტოქესთან.

„შევარდენს" ჟინიან გუნდად იცნობენ და ხელწამოსაკრავ მეტოქედ არავინ თვლის, თუმც საავიაციოქარხნელთა მონდომება და სულისკვეთება სულაც არ გახლავთ ის იარაღი, რომელიც ჩემპიონ „ბასკოს" შეაშინებს. ბათუმში ერთი კვირის წინ ჩატარებულ ჩრდილოური ლიგის ქვეტურნირში გამარჯვებულმა „ბასკომ" თბილისში ერთ-ერთი ლიდერი, ამერიკელი ჯეფ როჯერსი არ იახლა. ეს ბათუმელთათვის იქნებ სერიოზული დანაკლისიც იყოს. უფრო ძლიერ მეტოქესთან, მაგრამ ამჟამად უმისოდ ნამდვილად არ გასჭირვებიათ „შევარდენის" წაქცევა. ზურაბ ტომარაძის შეგირდები მეტოქეს ახალგაზრდული უკანა ხაზით შეეგებნენ, თუმც ნიკოლაძის, მარკოიშვილისა და საყვარელიძის ხუთეულში გამწესებას „შევარდენის" წისქვილზე არ დაუსხამს წყალი. მანუჩარ მარკოიშვილი პირველ მეოთხედში თავისიანთა შორის ყველაზე შედეგიანი გახლდათ. ამ თორმეტწუთეულში ცხრა ქულა გააკეთა და სამქულიანით მანვე გახსნა ანგარიში. „შევარდენი" პირველივე წუთიდან მდევრის როლში აღმოჩნდა და იმასლა ცდილობდა, ბევრით არ ჩამორჩენოდა მეტოქეს. თამაზ გიგაურმა მეოთხედის შუაწელში ორქულიანი ჩააგდო და მისი გუნდი 9:12 წამოეწია ჩემპიონს, რასაც ის მოჰყვა, რომ დარჩენილი დრო „ბასკომ" 8:0 მოიგო და მეოთხედი 20:9 დასრულდა. გამარჯვებული მატჩის დაწყებამდე იყო ცნობილი და ამიტომაც შეხვედრა ერთობ დუნედ წარიმართა. მესამე მეოთხედში გიორგი ჩხეიძემ სამ წუთში სამი სამქულიანი ჩააგდო და მეოთხედის ბოლოს მისი გუნდი სამი ქულით (48:51) წამოეწია ზღვისპირელებს, მაგრამ საავიაციოქარხნელებმა მეტი ვერაფერი მოახერხეს. ბოლო მეოთხედში ბათუმელებმა საბრძოლო შემადგენლობით შეუტიეს დაახლოვებულ მეტოქეს და ეს თორმეტწუთეული 26:11 მოიგეს.

როგორც ზემოთ ვთქვით, დღის ცენტრალურ შეხვედრად „მაკაბისა" და სტუ-ს შორის მატჩი მიიჩნეოდა, თუმც ინტრიგა არ შედგა. მეტ-ნაკლებად თანაბრად დაკომპლექტებულმა ტექნიკოსთა გუნდმა „მაკაბის" წინააღმდეგობა დაძლია, უგამთამაშებლო „მაკაბის" უჭირდა, ქაოსურად უტევდა და რაკი ვერც მისმა დამრტყმელმა ძალამ, კამერუნელთა დუეტმა და საერთოდ წინა ხაზმა მოახერხა მეტოქის დაცვითი კედლის გარღვევა, „მაკაბის" ყოველი ქულის მოპოვება დიდ ოფლის ღვრად უჯდებოდა. ტექნიკოსთა უკანახაზელების — ხოშტარიასა და დავითულიანის აქტიურობით, სტუ თავიდანვე მოსწყდა მეტოქეს. ყოველივე ეს ანგარიშშიც შესაბამისად აისახებოდა, პირველი მეოთხედის შემდეგ „მაკაბი" 11 ქულის სხვაობით აგებდა, ტაიმის შემდეგ 19-ით, ბოლო მეოთხედის დაწყებამდე კი სტუ-ს უპირატესობა 32 ქულას შეადგენდა — 76:44. მატჩი მოგებული იყო და ტექნიკოსებმა თავს მოდუნების უფლება მისცეს, რითაც ისარგებლა „მაკაბიმ" და კატასტროფულ მარცხს გადაურჩა.

**25 თებერვალი. ვერის ბაღი**

**თსუ 88:93 ბასკო**

13:23, 29:29, 18:22, 28:19
**თსუ:** დ. ბერიშვილი (5), ი. ბერიშვილი (24), მაისურაძე (27), გ. მარკოიშვილი (11), მაჭარაძე (4); არსიაშვილი (10), ხეცურიანი (7), სანიკიძე
**ბასკო:** ნიკოლაძე (10), მ. მარკოიშვილი, ბეჟანიშვილი (16), ვ. ნაცვლიშვილი (24), კილაძე (11); საყვარელიძე, აბრამიძე (5), კეშელავა, ქარაბაკი (23), გ. ნაცვლიშვილი (4), უსტიაშვილი
**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, ხათუნა გაბედავა
**კომისარი:** ნოდარ დარახველიძე

**25 თებერვალი. ვერის ბაღი**

**აზოტი 85:100 სტუ**

17:23, 17:30, 28:20, 23:27
**აზოტი:** ა. ჟღენტი (25), გაბისონია (3), კოკოლიშვილი (12), ბაბიაშვილი (22), შენგელია (12); ბერუაშვილი (6), ჩაჩუა (5)
**სტუ:** ბ. ბერიშვილი (5), ხოშტარია (24), დავითულიანი (18), ჩუბინიძე (6), ოთიურიძე (12); კორძაძე (4), სულაძე (1), მინაშვილი (29), მიქაძე (1)
**მსაჯები:** დავით ბერეკაშვილი, ზაზა მაჩალაძე
**კომისარი:** მურმან ქურიძე

**25 თებერვალი. ვერის ბაღი**

**შევარდენი 83:89 მაკაბი**

23:26, 15:18, 20:19, 25:26
**შევარდენი:** ნ. ნოზაძე (7), გ. ჩხეიძე (36), გიგაური (16), ალავიძე (2), სუხიშვილი (9); კაზანჯიანი, ქევხიშვილი (10), ნუცუბიძე, გელაშვილი, მაჭავარიანი (3)
**მაკაბი:** წოწელია (26), ი. შანიძე (19), სარიშვილი (13), ტუჯანი (14), დაჩუმი (15); ანდღულაძე (2)
**მსაჯები:** ზურაბ აბაშიძე, მაკა კუპატაძე
**კომისარი:** როლანდ ხომერიკი

**26 თებერვალი. ვერის ბაღი**

**ბასკო 78:67 შევარდენი**

**ბასკო:** უსტიაშვილი (4), ნიკოლაძე (8), მ. მარკოიშვილი (13), კილაძე (10), ბეჟანიშვილი (3), საყვარელიძე (8), აბრამიძე (10), კეშელავა (5), ათუაშვილი (2), ქარაბაკი, გ. ნაცვლიშვილი (15)
**შევარდენი:** გულხადარაშვილი (3), ალავიძე (7), კაზანჯიანი (9), ნუცუბიძე (16), გელაშვილი (11), მაჭავარიანი (8), სუხიშვილი (9), გოგუა (4)
**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი
**კომისარი:** მურმან ქურიძე

*ეს მატჩი 1 მარტს ბათუმში უნდა გამართულიყო, მაგრამ კლუბთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე და კალათბურთის ფედერაციის ნებართვით გუშინ ჩატარდა.*

**გიორგი ბიკაშვილი**

გუშინწინდელი „აზოტი" — სტუ უქმეების უმთავრესი მატჩი კი იყო, მაგრამ სანახაობრივად ერთ ჩვეულებრივ რიგით შეხვედრას წააგავდა და ვერის ბაღში შეკრებილი ქომაგიც, ცხადია, გაწბილებული დარჩა. ჩემპიონატის მეორე და მესამე ადგილოსანთა ჭიდილი უჩვეულოდ უინტერესო გამოდგა, რაც, ალბათ, იმითაც იყო გამოწვეული, რომ სტუდენტური გუნდი რუსთაველს გამარჯვების შემთხვევაშიც ვერ გაუსწრებდა. სავარაუდო იყო, რომ მეტოქეებს ძველი პირადი ანგარიშები მაინც გაახელებდა, თუმც არც ეს გამართლდა — სატურნირო ვითარებიდან გამომდინარე, „აზოტი" უმოტივაციოდ იყო და საჯაჯგუროდ შემართული სტუ-ც ფონს იოლად გადიოდა.

თავიდანვე გახსნილი თამაში გახურდა, გუნდებმა თითქოს დაცვა უგულებელყვეს და ძალებს უმეტესად შეტევებს ახმარდნენ. საწყის წუთებში სხვათაგან სტუდენტი ალეკო დავითულიანი გამოირჩეოდა, რომელიც რუსთაველთა დაცვას აწიოკებდა და ქულას ქულაზე ინაგრებდა — სტუ-ს სადებიუტო 15 ქულიდან 13 სწორედ მისი იყო.

მოგვიანებით ტექნიკოსთა მსროლელად გამწესებული გამთამაშებელი, ირაკლი ხოშტარიაც ჩვეულად ათამაშდა და სტუ-ს უპირატესობა უფრო თვალშისაცემი გახდა. სიმაღლეში უპირატესობის მქონე „აზოტმა" ვერ შეძლო თამაშის ფარქვეშ გადატანა და პირველი მეოთხედი 5 ქულით დათმო.

სულ მალე სხვაობა 10-ქულიანი გახდა, რის შემდეგაც რუსთაულმა გუნდმა ზონური დაცვა მოიშველია. თავდაცვის ახლებური მეთოდი სტუ-სთვის უფრო იოლად დასაძლევი გამოდგა და შეხვედრის შუაწელს მეტად გაილაღა სტუდენტურმა გუნდმა. ხოშტარიას, ოთიურიძისა და მინაშვილის კარგ თამაშს ვიცე-ჩემპიონმა ვერაფერი დაუპირისპირა და ტაიმის მიწურულს უიმედო მდევრის როლშიც აღმოჩნდა — 34:53.

სტუდენტებმა საქმე მოთავებულად ჩათვალეს, [illegible] კი დაივიწყეს, რომ „აზოტის" მეტოქეს მოდუნების უფლება არა აქვს. შესვენების შემდეგ ბევრად უკეთ ამოქმედდა ოთარ ხმელიძის გუნდი, დაცვაში საქმე გამოასწორა და შეტევებსაც ორგანიზებული სახე მისცა. შედეგად სხვაობა 11 ქულამდე შეამცირა „აზოტმა" და ბოლო მეოთხედის დაწყებამდე საბრძოლველად გაემზადა.

მეოთხე ათწუთეულში რუსთაველთა ლიდერად მათი გამთამაშებელი არჩილ ჟღენტი მოგვევლინა. იგი ურთულესი სიტუაციებიდან აგდებდა და თავისიანებს შეხვედრის შემობრუნების იმედს უღვივებდა. სტუ ერთხანს პანიკამ მოიცვა, თუმც გამოცდილმა ოთიურიძემ პარტნიორებს რწმენა დაუბრუნა — ვასიკომ მცირე მონაკვეთში ორი ტყუპისცალივით მსგავსი სამქულიანი ჩააგდო და მატჩის დამთავრებამდე ოთხიოდ წუთით ადრე ტექნიკოსთა გუნდს კვლავაც სოლიდური უპირატესობა შეუნარჩუნა — 85:73. „აზოტმა" არც ამის შემდეგ დააკლო მცდელობა, მაგრამ ვერას გახდა და მალე ხელიც ჩაიქნია.

გათამაშების ერთპიროვნულმა ლიდერმა, ბათუმის „ბასკომ", როგორც მოსალოდნელი იყო, მორიგი ორი ქულა მიითვალა. უნივერსიტეტელებთან ჩემპიონებს ამერიკელი ჯეფ როჯერსი და ამროსი ორმოცაძე აკლდათ, თუმც გამარჯვება სათუოდ ერთი წუთითაც არ გაუხდიათ. „ბასკო" დებიუტშივე 10 ქულით დაწინაურდა და დარჩენილი დრო მოპოვებული უპირატესობის შენარჩუნებას მოახმარა — თსუ მეტოქეს ვერ უახლოვდებოდა და ტომარაძის გუნდმაც თავი დიდად არ გამოიდო.

კვირადღის ყველაზე დაძაბული მატჩი „შევარდენი" — „მაკაბი" გამოდგა. საავიაციოქარხნელებმა ამ სეზონში ორჯერვე დაამწუხრეს „მაკაბი" და გუშინწინაც იმავეს გაკეთებას აპირებდნენ, მაგრამ ამჯერად მათ მეტოქე მედგრად დაუდგა და ამ გამარჯვებით ოთხეულისკენ კიდევ ერთი ნაბიჯი წადგა. ვასილ გოგუას მიერ დამოძღვრილი „შევარდენი" ინდივიდუალური თამაშით ცდილობდა უპირატესობის მოპოვებას, თუმც „მაკაბი", რომელიც გუნდურ ქმედებაზე იყო ორიენტირებული, გაცილებით ნაყოფიერად ირჯებოდა და პირველი ათწუთეულიც თავის სასარგებლოდ დაასრულა — 26:23.

შევარდენთაგან გიორგი ჩხეიძე ინდომებდა ძალიან, ორწუთიანი შესვენების შემდეგ მან ჯერ გაუთანაბრა მეტოქეს, მერე კი წინაც გაიყვანა თავისი გუნდი. აქ „შევარდენმა" ტაქტიკური შეცდომა დაუშვა. პრესინგი, რომელმაც მანამდე დიდი სარგებელი მოუტანა გუნდს, დროთა განმავლობაში ადვილად გასარღვევი გახდა და, ალბათ, უპრიანი იქნებოდა, სხვანაირ დაცვაზე გადაწყობილიყო „შევარდენი", რათა დაღლილ მოთამაშეებს ამოსუნთქვის საშუალება მისცემოდათ. მით უფრო, რომ იმ მონაკვეთში საავიაციოქარხნელებმა ლიდერობა იგდეს ხელთ. „მაკაბიმ" კარგად შეიშნო მეტოქის ეს შეცდომა და ტაიმის მიწურულს კვლავაც დაწინაურდა — 44:38.

მოგვიანებით, უკვე მეოთხე ათწუთეულში კიდევ ერთხელ გაათანაბრა „შევარდენმა", მაგრამ გუნდური ჯარიმები საკმარისზე მეტი დაუგროვდა და „მაკაბიმ" ზუსტი საჯარიმოებით დაიბრუნა ლიდერობა. არ ცხრებოდა ჩხეიძე, რომელმაც მალე მინიმუმამდე მიუახლოვა „შევარდენი" მეტოქეს. აქ მაჭავარიანს შეეძლო, წინაც გაეყვანა თავისიანები, მაგრამ აჩქარდა და შედეგად „შევარდენმა" ორი ქულა მიიღო. საავიაციოქარხნელები ანერვიულდნენ, ჩხეიძემ და ქევხიშვილმა მსაჯებს მიყოლებით დასტყუეს ტექნიკური შენიშვნები, რაც „შევარდენს" 6-ქულიან ჩამორჩენად დაუჯდა. მალე შანიძემ 10 ქულით დააწინაურა „მაკაბი" და ამ მატჩსაც, ფაქტობრივად, წერტილი დაუსვა.



აზოტი — თსუ. გულივერ ახალკაცი აზოტელ იური დანელიანს უფარებს

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბასკო | 19 | 19 | 0 | 1905:1388 | 38 |
| აზოტი | 18 | 14 | 4 | 1497:1285 | 32 |
| სტუ-ჯეოსელი | 18 | 13 | 5 | 1683:1540 | 31 |
| მაკაბი | 18 | 10 | 8 | 1579:1490 | 28 |
| შევარდენი | 19 | 7 | 12 | 1456:1533 | 25 |
| თსუ | 18 | 7 | 11 | 1525:1631 | 25 |

*შევარდენს დაკლებული აქვს 1 ქულა*



ირაკლი ჯაფარიძე საქართველოს ჩემპიონატს უბრუნდება

# როდის ავირჩიოთ პრეზიდენტი?

## წყენა დროს გაჰყვა, ჯაფარიძე — აზოტს

გუშინ ცეკავშირში გამართულ კალათბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომას უჩვეულოდ ცოტა, შვიდი წევრი დაესწრო. ფედერაციის გენერალურმა მდივანმა, აკაკი მეგრელაძემ, შეკრებილთ დღის წესრიგი გააცნო და სხდომაც მუშაობას შეუდგა, რამაც დაახლოებით ორმოც წუთს გასტანა.

თავდაპირველად რუსთავის „აზოტის" განცხადება განიხილეს, რომელიც ამ კლუბის ყოფილ წევრ ირაკლი ჯაფარიძესთან იყო დაკავშირებული. მოგეხსენებათ, ჯაფარიძეს ფედერაციისგან ერთი წლით აკრძალული ჰქონდა საქართველოს ჩემპიონატში თამაში. რუსთაველი კლუბის ხელმძღვანელობაც სწორედ ამ გადაწყვეტილების შეცვლას შესთხოვდა ქართულ კალათბურთის შეფებს, რათა პორტუგალიური „ავეიროდან" სამშობლოში დაბრუნებულ ჯაფარიძეს უფლება მისცემოდა კარიერა „აზოტში" გაეგრძელებინა. დადგინდა: ჯაფარიძე „აზოტში ითამაშებს, თუმცა სეზონის ბოლომდე პირობითად იქნა გაფრთხილებული. კალათბურთელის მორიგი უსაქციელობის შემთხვევაში ფედერაცია უფრო მკაცრ ზომებს მიმართავს.

შემდეგი საკითხი ქვეყნის სხვადასხვა ასაკის ნაკრებ გუნდებს შეეხებოდა. ითქვა, რომ საქართველოში არ მოიძებნება საკალათბურთო სარბიელი, სადაც ეროვნული ნაკრები ევრო 2003-ის საკვალიფიკაციო ციკლში მეტოქეებს ღირსეულად უმასპინძლებს. ამაზე ფედერაციის პრეზიდენტმა გოგი ქათამაძემ განაცხადა, რომ სპორტის სასახლეც და ვერის ბაღის დარბაზიც ქალაქის მერიის საკუთრებაა და მათი მოწესრიგება სწორედ რომ ამ უწყების პრეროგატივაა. ქათამაძემ თანადგომაც აღუთქვა აღმასკომის წევრ სპორტის სასახლის დირექტორს, ვალერი ლომაძეს — სადაც საჭიროა, ყველგან მიგყვები და ეს პრობლემა როგორმე მოვაგვაროთო.

იქვე გადაწყდა კადეტთა, ჭაბუკთა და ახალგაზრდულ ნაკრებთა ბედიც. „პირადად ვესაუბრე განათლების მინისტრს და კადეტთა ხარჯებს სწორედ ეს სამინისტრო კისრულობს, ჭაბუკებს მერია დააფინანსებს, ახალგაზრდულს კი სპორტის დეპარტამენტი მიხედავს. მათ პირობა მომცეს" — ლაკონური იყო ქათამაძის პასუხი.

პრეზიდენტს შეახსენეს, რომ დაპირება ერთია და შესრულება მეორე, რომელიმე მათგანმა პირი რომ გვიტეხოს, ფიბა საჯარიმო სანქციებს მიმართავს. ამაზე ქათამაძემ განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში საგანგებო წერილებს წარადგენს შესაბამის უწყებებში და ყოველივეს ოფიციალური სახე მიეცემა.

ამას წინათ დსთ-ს ქვეყნების საკალათბურთო ასოციაცია დაფუძნდა, რაზეც გუშინ სხდომაზეც გამახვილდა ყურადღება. ახალშექმნილი ასოციაცია ქართულ მხარეს რიგ წინადადებებს სთავაზობს, თუმცა ამ საკითხში გაუთვითცნობიერებელმა ქათამაძემ თქვა, მადროვეთ, ჯერ პროგრამას გავეცნობი და მერე ვიმოქმედოთო.

ბოლო საკითხი კალათბურთის ფედერაციის რიგით IV ყრილობის მომზადებას და ჩატარებას შეეხებოდა. ამის თაობაზე აღმასკომის წევრებმა რამდენიმე მოსაზრება გამოთქვეს, თუმცა სხდომა საბოლოოდ ერთ დასკვნამდე მივიდა — ყრილობა ან მალევე უნდა ჩატარდეს ან კიდევ ნოემბრისთვის გადაიდოს, როცა ყველა ასაკის ნაკრებს ევროპის ჩემპიონატში თამაში მოლეული ექნება.

— თუ ჩვენ რომელიმე ნაკრებს ევროპაში ვერ გავგზავნით, ფიბა დაგვაჯარიმებს, მე კი არ მსურს, რომ ყრილობის მიერ არჩეულ ფედერაციის ახალ შემადგენლობას ვალი დავახვედრო. ამ ეტაპზე ყველაფრის პასუხისმგებელი მე გახლავთ და ნებისმიერ პრობლემას თავად უნდა მივხედო. ამიტომ, იქნებ ნოემბრისთვის გადავდოთ არჩევნები, თუმცა არც იმის წინააღმდეგი ვარ, მალევე მოეწყოს ყრილობა. ერთი რამ ყველამ იცოდეს, კონკურენციისთვის მზად გახლავართ — თქვა ქათამაძემ.

დღეს-ხვალ ფედერაცია ყრილობის გადავადების თაობაზე სპორტის დეპარტამენტს მიმართავს. დადებითი პასუხის შემთხვევაში არჩევნები ნოემბრისთვის გადაიდება. მეორე ვერსიის თანახმად, ყრილობა 8 აპრილს უნდა გაიმართოს, საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მსურველები კი რეგისტაციას 20 მარტამდე გაივლიან. ერთი სიტყვით, საბოლოო ვადა არ დაკანონებულა...

**გიორგი ბიძაშვილი**

**NBA. რეგულარული ჩემპიონატი**

# მოგება კლიპერსსაც შესწავლია

24 თებერვალი

**მაიამი 75:70 ნიუ ჯერსი**

მაიამი: ჰარდევეი (4), ჯონსი (16), ბოუენი (2), მეისონი (17 ქულა, 10 მოხსნა), გრანტი (21); კარტერი (6), მარლი (5), გრინი (4)

ნიუ ჯერსი: მარბერი (10), ჰარისი (7), ვან ჰორნი (9), მარტინი (7), ეშმეიერი (3); ნიუმენი (17), ვილიამსი (10 ქულა, 11 მოხსნა), დუგლასი (5), ჯეკსონი (2), სამაკე

25 თებერვალი

**ნიუ ჯერსი 101:91 ვაშინგტონი**

ნიუ ჯერსი: მარბერი (20), ჰარისი (9), ვან ჰორნი (21), მარტინი (12), ეშმეიერი (4); ნიუმენი (13), დუგლასი (8), ჯეკსონი (8), სამაკე (2), ვილიამსი (4)

ვაშინგტონი: ვიტნი (3), რიჩმონდი (21), ჰამილტონი (15), სმიტი (2), ვაიტი (8); ლეიტნერი (19 ქულა, 10 მოხსნა), ვოიტი (10), ჯონსი (3), ნესბი (3), დევისი (3), ალექსანდერი (2), პროფიტი (2)

„ნიუ ჯერსი ნეთსის" ქართველ ცენტრ ვლადიმერ სტეფანიას კვლავ აწუხებს მუხლის ტრავმა, რის გამოც აგერ ერთი თვეა, ვერ თამაშობს და თუ იგი რეგულარულად ირიცხება თავისი გუნდის ყოველ სამატჩო თორმეტკაციან განაცხადში, იმიტომ რომ „ნეთსს" უბრალოდ არა ჰყავს ჯანმრთელი მოთამაშე. სეზონის გასრულებამდე ჯერ დიდი დროა, თუმცა გუნდის მოთამაშეთა თითქმის ნახევარმა უკვე მოასწრო სერიოზული ტრავმის გადატანა და მაინც „ნეთსი" ამ პირობებშიც კანტიკუნტად ახერხებს თამაშების მოგებას. შაბათს „ბადეები" ვერას გახდნენ ბობოლა „მაიამისთან", მაგრამ კვირას დამაჯერებლად დასცეს დედაქალაქური „ვიზარდსი".

მაიამიში იქაურმა „ჰითმა" მატჩის დაწყებისთანავე თავისი თამაში მოახვია „ნიუ ჯერსის". „ნეთსმა" მეტოქის დარად დაცვაზე გააკეთა აქცენტი და დაისაჯა. ასე თუ ისე თანაბარი საწყისი მეოთხედის შემდეგ სტეფანიას გუნდმა ჩაძირვა იწყო, მესამე მეოთხედი სულაც 9:18 წააგო და მეტოქეს 18 ქულით ჩამორჩა. მატჩის ბედი თითქოს გადაწყვეტილი იყო, მაგრამ „ბადეთა" სათადარიგოებმა ვეტერანი ჯონი ნიუმენის მეთაურობით შეხვედრის დამთავრებამდე 16 წამით ადრე ოთხ ქულამდე დაიყვანეს სხვაობა 68:72, მაგრამ ეს მათი მაქსიმუმი იყო.

რამდენადაც „მაიამი" სჯობდა „ნიუ ჯერსის", იმდენად ამ უკანასკნელმა აჯობა „ვაშინგტონს". მხოლოდ „ნეთსი" კვირას მესამე მეოთხედის შემდეგ 16 ქულის სხვაობით უგებდა მეტოქეს, რომელმაც ვერ შეძლო ღირსეული წინააღმდეგობის გაწევა და თითქმის უბრძოლველად დანებდა. „ნიუ ჯერსიმ" ბოლო ოთხ თამაშში მესამედ, ბოლო შვიდ შინაურ შეხვედრაში კი მეექვსედ იმარჯვა.

23 თებერვალი

**ლეიკერსი 113:106 ატლანტა**

ლეიკერსი: ონილი (30 ქულა, 8 მოხსნა, 8 პასი), შოუ (22)

ატლანტა: კროუფორდი (27), ტერი (25), რაიტი (18)

**სიეტლი 84:96 იუტა**

სიეტლი: პეიტონი (19), პატერსონი (17)

იუტა: მელოუნი (33 ქულა, 10 მოხსნა), მარშალი (20)

**ჰიუსტონი 105:95 ორლანდო**

ჰიუსტონი: ტეილორი (34), მობლი (23), ფრენსისი (17 ქულა, 11 მოხსნა, 8 პასი), ოლაჯუონი (16 ქულა, 12 მოხსნა)

ორლანდო: მაკგრეიდი (32), არმსტრონგი (23)

**სან ანტონიო 100:82 ბოსტონი**

სან ანტონიო: ანდერსონი (20), დანკანი (18 ქულა, 10 მოხსნა)

ბოსტონი: პირსი (24), უოლკერი (23)

**მილუოკი 93:81 ვანკუვერი**

მილუოკი: ალენი (29), კასელი (18)

ვანკუვერი: ბიბი (28), აბდურ-რაჰიმი (22 ქულა, 13 მოხსნა)

**ტორონტო 118:119 საკრამენტო**

(ძირითადი დრო 97:97)

ტორონტო: კარტერი (38 ქულა, 10 მოხსნა), დევისი (20 ქულა, 12 მოხსნა, 6 დაფარება), ვილიამსი (18 ქულა, 13 პასი)

საკრამენტო: სტოიაკოვიჩი (39 ქულა, 12 მოხსნა), დივაცი (25), კრისტი (20), პოლარდი (19 ქულა, 17 მოხსნა)

**დეტროიტი 78:99 ფილადელფია**

დეტროიტი: სტეკჰაუზი (22)

ფილადელფია: აივერსონი (43 ქულა, 10 მოხსნა), მუტომბო (17 ქულა, 13 მოხსნა, 5 დაფარება)

**მინესოტა 122:83 გოლდენ სტეიტი**

მინესოტა: ბრენდონი (27 ქულა, 16 პასი, 10 მოხსნა), გარნეტი (23)

გოლდენ სტეიტი: ჰიუზი (18)

**ნიუ იორკი 84:88 ფინიქსი**

(ძირითადი დრო 80:80)

ნიუ იორკი: სპრიუელი (26), ჰიუსტონი (21)

ფინიქსი: მარიონი (19 ქულა, 11 მოხსნა), კიდი (16)

**კლივლენდი 90:92 ინდიანა**

კლივლენდი: ჯეკსონი (23), ვეზერსპუნი (16)

ინდიანა: მილერი (25)

ამ ხუთშაბათს შემდგარი დიდი გაცვლის შედეგად „ატლანტიდან" „ფილადელფიაში" გადაბარგებული დიკემბე მუტომბოს დებიუტ-პრეზენტაცია „დეტროიტთან" შედგა. „სიქსერზის" 34 წლის კონკოელმა დებიუტანტმა ბლომად ქულა-მოხსნა-დაფარება მოიხვეჭა და ახალი გუნდის გამარჯვებაში თავისი წილიც დაიდო. „ფილადელფიას" რიგებში კი, ცხადია, ყველას ალენ აივერსონმა აჯობა ქულებით და ამპლუისა და სიმაღლის (183-სანტიმეტრი) კვალობაზე ასევე ბევრი მოხსნით.

დიდი ბრძოლა გაიმართა ტორონტოში, სადაც სტუმარმა „საკრამენტო კინგზმა" მხოლოდ მესამე ოვერტაიმში შეძლო იქაური „რეპტორზის" დამარცხება. კრის ვებერის გარეშე დარჩენილ „საკრამენტოში" ლიდერობა იუგოსლაველმა ფრთამ, პრედრაგ სტოიაკოვიჩმა იკისრა. მან აჯობა მასპინძელთა ლიდერს ვინს კარტერს, კარიერაში სარეკორდო, 39 ქულას მოუყარა თავი და ამასთან იმ სამქულიანის ავტორიც გახლდათ, რომელმაც შეხვედრის ბედი გადაწყვიტა მესამე ოვერტაიმში. რაც შეეხება კარტერს, მას სულ არ დაუსვენია, 63 წუთი შეუცვლელად ითამაშა და 38 ქულაც გააზერხა, თუმც ამაოდ დაშვრა.

24 თებერვალი

**კლიპერსი 123:120 პორტლენდი**

(ძირითადი დრო 101:101)

კლიპერსი: ოლოვოკანდი (24), მაკინისი (23), ოდომი (22)

პორტლენდი: ვოლესი (35), ველსი (23), პიპენი (17 ქულა, 11 მოხსნა)

**დენვერი 85:82 ატლანტა**

დენვერი: მაკდაიესი (19 ქულა, 15 მოხსნა), ვან ექსელი (18 ქულა, 10 პასი)

ატლანტა: ტერი (22)

**ჩიკაგო 90:75 ვანკუვერი**

ჩიკაგო: ბრენდი (22 ქულა, 12 მოხსნა), არტესტი (19 ქულა, 8 ჩაჭრა)

ვანკუვერი: სტრიკლენდი (15)

**დალასი 104:107 სან ანტონიო**

დალასი: ნეში (29 ქულა, 10 პასი), ფინლი (23)

სან ანტონიო: დანკანი (31 ქულა, 13 მოხსნა), ანდერსონი (24), რობინსონი (16 ქულა, 10 მოხსნა)

**შარლოტი 86:85 ფილადელფია**

შარლოტი: რობინსონი (15)

ფილადელფია: აივერსონი (47)

**ვაშინგტონი 99:106 ტორონტო**

ვაშინგტონი: ჰამილტონი (23), ლეიტნერი (18)

ტორონტო: კარტერი (19), კლარკი (17), დევისი (16)

ეს უკვე შემთხვევითობა აღარაა. თამაში „კლიპერსმაც" ისწავლა, რასაც ზედიზედ ოთხი გამარჯვებაც ადასტურებს. მუდმივად უკბილო გუნდის სინონიმად ქცეულმა „კლიპერსმა" სეზონში უკვე მეორედ მოუგო დასავლეთის საუკეთესო გუნდ „პორტლენდს", ამასთან ორმაგ ოვერტაიმში, რაც შემთხვევითობას სავსებით გამორიცხავს. ოთხი წელიწადია, „კლიპერსს" ზედიზედ ოთხი თამაში არ მოუგია.

24 თებერვალი ვერ გამოდგა იღბლიანი დღე აღმოსავლეთში უძლიერეს „ფილადელფიასთვის". დიკემბე მუტომბოს გაუჭირდა „შარლოტის" ცენტრ ელდენ კემპბელთან ჭიდილი და ოდენ ცხრა-ცხრა ქულა-მოხსნით დაასრულა შეხვედრა: ბევრს ბორგავდა ალენ აივერსონი და „ფილადელფიას" 47 ქულაც შეაწია. თუმც გუნდმა მხარი ვერ აუბა, ათ ქულაზე მეტი არავის გაუკეთებია.

25 თებერვალი

**დეტროიტი 94:101 კლივლენდი**

დეტროიტი: სტეკჰაუზი (35), სმიტი (18)

კლივლენდი: მიურეი (19)

**ლეიკერსი 106:100 ორლანდო**

ლეიკერსი: ონილი (37 ქულა, 19 მოხსნა, 6 პასი, 5 დაფარება), შოუ (20)

ორლანდო: მაკგრეიდი (25 ქულა, 8 მოხსნა, 8 პასი), არმსტრონგი (15 ქულა, 10 მოხსნა, 8 პასი)

**მილუოკი 122:95 გოლდენ სტეიტი**

მილუოკი: რობინსონი (45)

გოლდენ სტეიტი: ჯემისონი (26)

**ფინიქსი 90:80 იუტა**

ფინიქსი: მარიონი (24 ქულა, 14 მოხსნა)

იუტა: მელოუნი (22 ქულა, 10 მოხსნა), მარშალი (21 ქულა, 15 მოხსნა)

**ინდიანა 110:100 მინესოტა**

ინდიანა: მილერი (29), როუზი (29)

მინესოტა: გარნეტი (23 ქულა, 14 მოხსნა), ბრენდონი (17 ქულა, 13 პასი)

**ნიუ იორკი 88:86 საკრამენტო**

ნიუ იორკი: ჰიუსტონი (21), სპრიუელი (18)

საკრამენტო: სტოიაკოვიჩი (26), დივაცი (23)

„ლოს ანჯელეს ლეიკერსს" არა ჰყავს ქუსლმტკივანი კობი ბრაიანტი, სამაგიეროდ, ჰყავს ვეება შაკილ ონილი, რომელიც გუნდის მთავარი მექულის არყოფნაში მეტოქეთ წარმატებით აწიოკებს — კვირას წინა სეზონის უძვირფასესმა მოთამაშემ შაკილ ონილმა „ორლანდო" მოარბია, გუნდი, რომლის მაისურითაც მან ნბა-ში შემოაბიჯა და ეს მაისურა ოთხი წელი არ გაუხდია, მერე კი „ლეიკერსისაში" გადაცვალა.

**ირაკლი ფირაშვილი**



REUTERS

ინდიანა — მინესოტა. ინდიანელი ტრევის ბესტი ჩონსი ბილაფსზე დაჭარიმდა

ეროვნული ბიბლიოთეკა



REUTERS კალგარიდან

# ფლანდრიის გზები

ბელგიის ქალაქ გენტში ფლანდრიის მძლეოსანთა ჭერქვეშა ტურნირი მიმდინარეობს. მაროკოელი ჩემპიონ-სტაიერი ჰიშამ ელ გურუჯი თავის გამარჯვებას ტაბლოსთან მდგომი გვაუწყებს. სწორედ ეს დრო დასჭირდება სამი ათას მეტრზე შეჯიბრის და კენიელი პოლ ბიტოკისა და თანამემამულე საიდ ბერიყის უკან ჩამოსატოვებლად. იმავ გენტში ქალთა რვაას მეტრზე გარბენი ავსტრიელ შტეფი გრაფს (შუაში) მოუგია. ცხადია, რომ ეს შტეფი გრაფი ის შტეფი არ არის, მაგრამ თავისი წილი ოქრო ამასაც მოგებული აქვს. საინტერესო კი ის გახლავთ, რომ გრაფს ჩამოუტოვებია დიდი მოზამბიკელი მარია მუტოლა (მარცხნივ), ჩეხი ელენა ფუხსოვა კი მესამეზე გასულა.





REUTERS განტიდან

# საციგაო ოქრო

კალგარიში მოციგავეთა მსოფლიო ჩემპიონატი მიმდინარეობს. სწრაფად გაციგავების შემდეგ პატრიკ ლაიტნერი (წინა კაცი) ციგას ამუხრუჭებს, ალექს რეში კი (უკანა კაცი) ტაბლოს თუ შესცქერის. მოკლედ, გერმანელებმა გუნდური ოქრო მოიგეს.

# შეტაკება

ბუნდესლიგა ჯახაჯუხის და ტრავმების მხარეა. გელზენკირხენის „შალკე 04“ რომ დორტმუნდის „ბორუსიას“ განთქმულ რურულ დერბიში შეტაკებია, გოლი ვერცერთს გაუტანია, მაგრამ შეტაკება იმგვარი სიმძლავრისა ყოფილა, რომ გელზენკირხენელთა დანიელ კაპიტან ებე სანდს ცხვირი გასტეხია.



REUTERS გელზენკირხენიდან

# დაშვება

უცნაური ფოტოა, მაგრამ ნორდული კომბინაციის ცქერისას მეტსაც დალანდავ. ფინურ ქალაქ ლაჰტიში ნორდული კომბინაციის მსოფლიო ჩემპიონატი, სათხილამურო ორჭიდის შეჯიბრი მიმდინარეობს. ამ სპორტის მიმდევართ ერთნაირი სიჩაუქე მართებთ ტრამპლინიდან ხტომასა და თოვლზე განავარდებაში. ტრამპლინიდან ხტომისას კი არა მარტო ფრენა იტაცებს თვალს, არამედ დაშვებასაც. მსოფლიოს ჩემპიონი, გერმანელი მარკო ბააკეც ამას გვიდასტურებს.



REUTERS ლაჰტიდან

# მტრის ჯინაზე

კუბელი ხალხი არ დანებდება. მტრის ჯინაზე კუბა შენდება და მშვენიერდება. აი, ჰავანაში სპორტის და ფიზიკური განვითარების საერთაშორისო სკოლა დაფუძნებულა და შესაბამისი ზეიმიც გამართულა. რა გასაკვირია, რომ კომანდანტე ფიდელიც იქა ყოფილა და პირველ რიგში მჯდარა.



REUTERS ჰავანიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ბიკაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ავთანდილ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge